გაუჩინარდა მაჟორიტარი კანდიდატი A3

მაჟორიტარი კანდიდატები - მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი A8

მეცნიერება და ტექნიკა B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 30 ოქტომბერი, 2003 წელი. №284 (496)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### პატი - პატიაშვილს სვლები აღარ აქვს

დღეს იგი უკვე აღარ დგას ქართული პოლიტიკის ავანგარდში. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ სანახევროდაც კი ვეღარ ივსება რკინიგზელთა კულტურის სახლის არც თუ ისე დიდი დარბაზი, სადაც ბლოკ "ერთობის" ლიდერმა გუშინ დიდუბელებს მათი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მამუკა გიორგაძე წარუდგინა.

A3

## ეკონომიკა

### საქართველოს ნავთობბაზარზე ინტერესთა ჩანაცვლება იგეგმება

საქართველოს ნავთობსექტორში საინვესტიციო ძალების ახალი გადაჯგუფებებია მოსალოდნელი: ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო მორიგ ტენდერს აცხადებს ნავთობისა და გაზის რესურსების განვითარებისა და ძიების უფლების მოსაპოვებლად. ტენდერის შედეგები 28 ნოემბერს გახდება ცნობილი.

A4

## უცხოეთი

### ავღანური ნარკოტიკები - რუსეთის უდიდესი საფრთხე

ავღანური ნარკოტიკების კოლოსალური რაოდენობით, პირველ რიგში, სწორედ რუსეთის მოსახლეობა ზარალდება.

A5

## საზოგადოება

### მოტყუებული საზოგადოება, წინასაარჩევნო პარანოია და აკაკი წერეთელი ახლებურად

"ჩვენ ვერ ვიპოვეთ კანონი, პრეზიდენტის ბრძანებულება ან განკარგულება, ანდა თავად სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულება, რომელიც ერთმნიშვნელოვნად იყო შესრულებული განათლების სამინისტროსა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ," – აცხადებენ ახალგაზრდა იურისტები.

A6

## სამართალი

### გახმაურებული მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვა იწყება

რვა თვის წინ, ბახტრიონის ქუჩაზე, დარჩიაშვილების ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის ავტორ-შემსრულებლებს, რომელთა ასაკი 27 წელს არ აღემატება და რომელთა უმრავლესობას კრიმინალური წარსული აქვს, გამოძიებამ საბრალდებო დასკვნა უკვე დაუწერა და საქმე განსახილველად უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნა.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 13 |
| ქუთაისი | 13 |
| ბათუმი | 8 |
| სოხუმი | 11 |
| ფოთი | 9 |
| თელავი | 11 |
| ზუგდიდი | 13 |
| გორი | 8 |
| ახმეტა | 12 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1019 |
| ევრო | 2.4626 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5554 |
| რუბლი | 0.0702 |

# სახელისუფლებო მანქანა სრული დატვირთვით ამოქმედდა

*გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებდნენ, რომ თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით უკვე სრულდება ამომრჩეველთა სიების დაზუსტების პროცესი და, აქედან გამომდინარე, მასში ცდომილებები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. ცესკო-ს თავმჯდომარის, ნანა დევდარიანის თქმით, "ყველაზე რთულ საარჩევნო ოლქებად აღიარებულ რეგიონებშიც კი პრობლემები თითქმის მოგვარებულია". ამასობაში, არასამთავრობო სექტორი კვლავ აცხადებს, რომ ვითარება ქვეყანაში დაძაბულია და არჩევნების დემოკრატიულად, სამართლიანად გამართვას კვლავ საფრთხე ემუქრება.*

თამარ მჭედლიშვილი

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნანა დევდარიანის განცხადებით, **"ამომრჩეველთა სიების დაზუსტება უკვე სრულდება და იქ ხელოვნურად გაზრდილი სიები აღარ იარსებებს."** ასე მაგალითად, ცესკო-ს ინფორმაციით, მხოლოდ დმანისში, **"სადაც საკმაოდ სერიოზული ხარვეზები იყო აღმოჩენილი, დღეს უკვე ყველაფერი წესრიგშია."** დევდარიანის თქმით, ამომრჩეველთა სიის ელექტრონული

გაგრძელება A3 გვერდზე

# ამ არჩევნებით შევარდნაძე უნდა გავაცილოთ

მაია ქალაგანიძე

*დღეს სპორტის სასახლეში ნინო ბურჯანაძე "ბურჯანაძე-დემოკრატების" სახელით წარმოებულ წინასაარჩევნო ტურნეს დაასრულებს, რომელიც, ორი თვის წინ სამეგრელოთი დაიწყო და დედაქალაქით სრულდება. ეს ბურჯანაძის (და "დემოკრატებისაც") უკანასკნელი დიდი წინასაარჩევნო შეხვედრა იქნება. ცხადია, სპორტის სასახლეში თავს მოიყრიან ამ ბლოკის მხარდამჭერები. ეს კი იმ საზოგადოების ერთი ნაწილია, რომელიც არჩევნების შედეგების გაყალბებას ასე ადვილად აღარ გადაყლაპავს და წინააღმდეგობას გასწევს. ეს კი იქნება არა ბურჯანაძის და არა ჟვანიას, არამედ რეფერენდუმის ტოლფასი - ხალხის წინააღმდეგობა. თუმცა, "ბურჯანაძე-დემოკრატების" ყოველთვის მოზომილი ემოციების მქონე ლიდერი ზურაბ ჟვანია, რომელიც ოპოზიციაში გადასვლის შემდეგაც ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკოსის სახელს ინარჩუნებს, 2 ნოემბერს დიდ დაპირისპირებებს არ მოელის.*

გაგრძელება B1 გვერდზე



*ზურაბ ჟვანია: "სისტემა უნდა შეიცვალოს".*

# რუსეთში წინასაარჩევნო რეგისტრაცია გაიარა 62 ათასამდე პირმა

"24 საათის" შეკითხვებს პასუხობს რუსეთის ფედერაციაში საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი ზურაბ აბაშიძე

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

**- ბატონო ზურაბ, როგორი განწყობაა საქართველოს საპარლამენტო არჩევნების წინ რუსეთში?**

- რუსეთში ქართველი ამომრჩევლის განწყობა სწორედ ისეთია, როგორიც უნდა იყოს უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენის წინ. ამ არჩევნებისაგან რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ქართველებიც ელიან საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებასა და დემოკრატიის განვითარებას.

**- რამდენი საარჩევნო უბანია მოსკოვში და საქართველოს რამდენი მოქალაქე მიიღებს მონაწილეობას რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ხმის მიცემის პროცედურაში?**

გაგრძელება A5 გვერდზე



*მოსკოვში 2 ნოემბერს ექსცესები არ იქნება - გვპირდება ზურაბ ჭაფარიძე.*

# "აღორძინება" საარჩევნო კამპანიის რეკორდს ამყარებს

დალი კუპრავა

"აღორძინებამ" გუშინდელი ღონისძიებით მიმდინარე საარჩევნო კამპანიების ისტორიაში რეკორდი დაამყარა და აწი ქართული ჭიდაობით, ქვების ტყორცნითა და ქართულმუშტიანი, ინგლისური კრივით გაბეზრებულ ქართველ ამომრჩეველს პარტიები თავს ვეღარაფრით მოაწონებენ.

გუშინ რიყეზე ფოტო და ვიდეოკამერების ტევა არ იყო. იქ იყვნენ საგინესედ გამზადებული ქართველი, მომავალი თუ უკვე რეკორდსმენებიც. მაყურებლებიც იყვნენ, რომლებსაც ვერ დაეჯერებინათ, რომ ადამიანის ყურებს, კლასიკურის გარდა, "ავანგარდული" დანიშნულებაც ჰქონდათ - ძალოსნობაში ასპარეზობა.

გურამ პატარაიას ფილმში ჯოტია ცაავა მოთმინებიდან თუ არ გამოიყვანეს, რეკორდს ვერ ამყარებს, ჩხოროწყუელ ლაშა პატარაიას კი რიყეზე დურუ ხუნჭუას "ტკბილქართული" არ დასჭირვებია, ისე დაამხო ჩინელის რეკორდი - ყურებზე ჩამოცმული მარყუჟით, დამცავის გარეშე, 52-კილოგრამიანი გირა 19,9 წამით ასწია. ჩინელი ლი ძიან ხუას რეკორდი, რომელიც გინესების წიგნშია შესული, 50 კილოგრამი ყოფილა, თანაც ლი ძიანს ყურებზე დამცავებიც ჰქონია და სულ რაღაც 9,3 წამით აუწევია სიმძიმე. ლაშა პატარაიამ მეორე რეკორდიც დაამყარა - ყურებზე მიბმული ნეილონის თოკით 2350-კილოგრამიანი "ფორდის" მარკის მიკროავტობუსი 48,60 მეტრზე გადააადგილა.

ლაშა საქართველოს მრავალგზის პრიზიორია ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში და რეკორდის დამყარების სურვილი ბათუმელი კოლეგის დიმიტრი ქინქლაძის მიღწევების მერე გასჩენია. "ეს ნამდვილი დღესასწაულია,"-აღნიშნავდნენ ლაშას მეგობრები და მხარდამჭერები.

გაგრძელება B7 გვერდზე




*ყურებზე მკიდია.*

# ჩვენი არ გვეყოფოდა და მეზობლებიც უნდა ვიდარდოთ

სახელისუფლებო ბლოკის პროგრამა

სოფო ბუკია

**"ჩვენ, საარჩევნო ბლოკში - "ახალი საქართველოსთვის" - გაერთიანებულმა პოლიტიკურმა ძალებმა, დავინახეთ რა, რომ არსებობს საშიშროება საქართველოს შინაგანი ერთიანობის საბოლოოდ დარღვევის, ეროვნული იდეების უარყოფის, საქართველოს სახელმწიფოებრიობის და კონსტიტუციური, დემოკრატიული მონაპოვრების რევიზიის, საქართველოს წინააღმდეგ სხვადასხვა შეფუთვით, მაგრამ ბოლშევიკური რევანშისტული პოლიტიკური ძალების გააქტიურებისა, გადავწყვიტეთ..."** – თერთმეტწლიანი ბატონობის თავზე ხელისუფლების მომხრე პარტიებმა, არც მეტი, არც ნაკლები, გადაწყვიტეს, რომ **"საქართველოს სახელმწიფო მიზნები დააყენონ პოლიტიკურ მიზნებზე ზევით"**, რომ **"ერთიანი ძალით ხელიდან არ გაუშვან ისტორიული შანსი და შეასრულონ გამორჩეული როლი საქართველოს სახელმწიფოებრიობის, საქართველოს დამოუკიდებლობის, საქართველოს დემოკრატიის გადასარჩენად"**.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსთავში ოპოზიციური პარტიები გაყალბების წინააღმდეგ გაერთიანდნენ

მაია მოსიაშვილი

არჩევნებამდე სამი დღით ადრე რუსთავის ოპოზიციური სპექტრი ერთი ლოზუნგის ქვეშ ერთიანდება - არ დავუშვათ არჩევნების გაყალბება. გუშინ საღამოს "ნაციონალებმა", "ბურჯანაძე-დემოკრატებმა", "ლეიბორისტებმა", "ახლებმა" და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, იოსებ ალავიძის წარმომადგენელმა ერთობლივი პრესკონფერენცია ჩაატარეს და განაცხადეს, რომ ისინი თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

გია ხევიაშვილი, "ნაციონალური მოძრაობა": **"ხელისუფლება ცდილობს, რომ დადოს 63 ათასიანი სია, რომლის წარმომავლობა, ფაქტობრივად, უცნობია. ისინი ცდილობენ, რომ რეალური ამომრჩეველი სიაში არ მოხვდეს."**

ზაზა იმედაშვილი, "ბურჯანაძე-დემოკრატები": **"ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, რომ ამომრჩევლებმა მაქსიმალურად მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში. 20-21 ოქტომბერს ცესკო-სა და საოლქო კომისიაში შევიტანეთ ათასობით განცხადება, თუმცა პასუხი დღემდე არ მიგვიღია. პარტიები შევთანხმდით, რომ უმრავლესობას, ხელისუფლებას არ მივცეთ საშუალება, გააყალბოს კენჭისყრის შედეგები. მათი მხრიდან ჩვენს იგნორირებას არ დავუშვებთ."**

გაგრძელება A3 გვერდზე

# მდუმარე მისია

სავალუტო ფონდმა საქართველო უკომენტაროდ დატოვა

*საქართველოში ერთი კვირის განმავლობაში მყოფმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ და მისმა ხელმძღვანელმა პაოლო ნეოჰაუზმა საქართველო უკომენტაროდ დატოვა. უცხოელი ექსპერტები ბოლო საარჩევნო კვირას კომენტარების გაკეთებას, ჩანს, იმ მოტივით მოერიდნენ, რომ მათი განმარტებები საქართველოს ხელისუფლებას ქულებად ნამდვილად არ ჩაეწერებოდა. ეს კი "შარიან" ხელისუფლებას ექსპერტების მხრიდან მოსალოდნელ არჩევნებზე "ზემოქმედების მცდელობად" შეეძლო ჩაეთვალა. მარტივი საქმე ხომ არ არის - ფონდმა საქართველოს ხელისუფლების მიერ 100 მილიონამდე გარღვეულ ბიუჯეტს და მომავალი წლის ბიუჯეტის მეტად საეჭვო პარამეტრებს გადახედა და ახლა ან ხარჯების შემცირებას, ან კი შემოსავლების გაზრდას (შესაბამისად, საგადასახადო წნეხის დამძიმებას) საკმაოდ დაბეჯითებით ითხოვს.*

თამარ ხორბალაძე

სავალუტო ფონდის შუალედური მისიის ხელმძღვანელობამ საქართველო, როგორც მოსალოდნელი იყო, მემორანდუმის შექმნის გარეშე დატოვა. მემორანდუმიც და მომავალი წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრებიც, რის შესათანხმებლადაც ფონდის ექსპერტები საქართველოში ჩამოვიდნენ, მაინც ნოემბრის ვიზიტის შემდეგ დადგინდება.

თუმცა, მანამდე ცნობილი ხდება ის ფაქტი, რომ მოლაპარაკებებმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებსა და საქართველოს მთავრობას შორის საკმაოდ მწვავედ ჩაიარა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# "პუტინი ელცინის მავნე მემკვიდრეობისაგან თავისუფლდება"

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

**"რუსეთის პრეზიდენტი იწყებს დემოკრატიისა და ე.წ. რეფორმების პერიოდში ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას,"** - ასეთი კომენტარი გაუკეთა მოსკოვში გავრცელებულ ხმებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის შესაძლო გადადგომაზე რუსმა სენატორმა, გენერალმა მანილოვმა.

**"რატომღაც, ჩვენს დემოკრატებს ჰგონიათ, რომ რეფორმები არმიის განადგურებასა და რუსეთის სიმდიდრეების დატაცებას ნიშნავს. ეს ასე არ არის. რუსეთის პრივატიზაციას ჩვენ არ დავუშვებთ,"** - აცხადებს გენერალი.

რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის სხდომა 29 ოქტომბერს მშვიდ გარემოში დაიწყო, მაგრამ სენატორებს ღელვა აშკარად ეტყობოდათ. რუსული სენატის წევრთა უმრავლესობა სწორედ იმ ოლიგარქთა მრავალრიცხოვანი არმიის წარმომადგენელია, რომელსაც კრემლმა ამ დღეებში დაუნდობელი ომი გამოუცხადა. ამიტომ, რუსეთის ისტორიაში პირველად ხდება ის, რომ გუბერნატორ-ოლიგარქების წარმომადგენლები პარლამენტში იმაზე ფიქრობენ, გაქცევით უშველონ თავს თუ არჩევნებს დაელოდონ.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 რეკლამა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 არჩევნები

B1 სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მეცნიერება და ტექნიკა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# სნსკ
## საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

## ბაქო-თბილისი-ერზრუმის (შაჰ-დენიზის) სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტი

**დღეს, 30 ოქტომბერს, თბილისში ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის კომპანიის ხელმძღვანელები საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციასთან ერთად ხელს მოაწერენ ხელშეკრულებებს ბუნებრივი გაზის საქართველოსათვის მოწოდების შესახებ.**

**გაზსადენის ინვესტორებსა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას შორის გაფორმდება ხელშეკრულებები, რომლის მიხედვითაც ინვესტორები გარანტიას აძლევენ საქართველოს ბუნებრივი გაზის შეუფერხებლად და გარანტირებულად მიწოდებისა და, აგრეთვე, ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების სრულად შესრულების შესახებ.**

ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის პროექტის განვითარების ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ პროექტის ინვესტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, გაზსადენის პროექტის მშენებლობის დასრულების შემდეგ, საქართველო ამ პროექტიდან მიიღებს შაჰ-დენიზის ბუნებრივი გაზის მნიშვნელოვან მოცულობებს, კერძოდ: სატრანზიტო გადასახადის სახით საქართველო უფასოდ მიიღებს აზერბაიჯანიდან თურქეთში საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირებული ბუნებრივი გაზის მოცულობის 5 პროცენტს. საქართველო წელიწადში უფასოდ მიიღებს 1.5 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს.

გარდა ამისა, საქართველო სპეციალურ ფასში – 55 აშშ დოლარი ყოველი ათასი კუბური მეტრი გაზისათვის – შეისყიდის ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის პროექტის ინვესტორებისაგან ბუნებრივი გაზის დამატებით მოცულობებს (წელიწადში 500 მილიონი კუბური მეტრის ოდენობით) პროექტის ფუნქციონირების დაწყებიდან 20 წლის განმავლობაში.

პროექტის მოქმედების ვადის 40 წლის განმავლობაში, გაზსადენის პროქტის პარამეტრების შესაბამისად, საქართველო სატრანზიტო გადასახადის სახით უფასოდ მიიღებს 50 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს. აგრეთვე, სულ სპეციალური ფასით საქართველო შეისყიდის 8.8 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს.

ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის პროექტიდან ბუნებრივი გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ უფასოდ მიღებული და სპეციალური ფასით შესყიდული გაზის მონეტიზაციის შედეგად საქართველოს ბიუჯეტის მიერ მისაღები შემოსავალი პროექტის ხანგრძლივობის 40 წლის განმავლობაში სავარაუდოდ შეადგენს 7 მილიარდ აშშ დოლარს, ანუ წელიწადში საშუალოდ 175 მილიონ აშშ დოლარს.

**ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის პროექტის ინვესტორებთან ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების გაფორმება სტრატეგიული მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს საქართველოსთვის, რადგან იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. საქართველოს გავლით შაჰ-დენიზის გაზის ტრანსპორტირება მოხდება ევროპის ქვეყნებშიც, რომელნიც კასპიის გაზს განიხილავენ თავიანთი ენერგეტიკული უსართხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტად. ეს საქართველოს და მთლიანად ჩვენს რეგიონს კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირებს ევროპასთან.**

**გაზსადენის პროექტის განხორციელებით და ბუნებრივი გაზის მოწოდების ალტერნატიული და სტაბილური წყაროს არსებობით, საქართველოს ექლევა უნიკალური შესაძლებლობა აადორძინოს უკვე არსებული და განავითაროს ახალი ენერგეტიკული, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო პროექტები, რაც მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს ქვეყანაში ენერგეტიკული კრიზისის პრობლემების გადაჭრას და ეკონომიკის აღორძინებას.**

**საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ოფისი თბილისში**
**სანაპიროს ქუჩა № 4**
**ტელ: 92-02-46/47**
**ცხელი სატელეფონო ხაზი 92-02-54**
**ელ. ფოსტა** gioc@gioc.ge

აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფანი

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# თავდასხმა

გუშინ, გვიან ღამით თავს დაესხნენ "ახალი მემარჯვენეების" მაჟორიტარ კანდიდატს ნაძალადევის რაიონში ზეიად ჩოხელს. [illegible] ცეცხლსასროლი იარაღიდან ორჯერ ესროლეს, მაგრამ ზეიად ჩოხელი არ დაჭრილა. [illegible]

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, [illegible]

თავად "ახალი მემარჯვენეების" [illegible]

მოვლენების საავადმყოფო [illegible]

24 საათი

# არჩევნებს ინტერნეტში ხელისუფლება უდირიჟორებს

მაია მოსიაშვილი

"ქვემო ქართლში ინფორმაციული უზრუნველყოფის, ანალიზის და სტრატეგიული გარდაქმნების ცენტრი," - ასე ეწოდება არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელშიც მხოლოდ ოთხი ადამიანია გაერთიანებული და ოთხივე ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომელია. გუშინ მათ ახალი კომპიუტერული პროგრამის პრეზენტაცია გამართეს.

- "archevnebi. iatp. ge" - ამ ვებ გვერდზე კენჭისყრის დღეს ყველას ექნება შესაძლებლობა ინტერნეტში ადევნოს თვალი ქვემო ქართლში არჩევნების მსვლელობას. თითოეული უბნიდან ყოველ საათში მივიღებთ ინფორმაციას, რომელიც გამოგზავნიდან 7 წუთში განთავსდება ინტერნეტში," - განაცხადა ცენტრის ხელმძღვანელმა თამაზ ყარალაშვილმა.

ვინ უნდა მიაწოდოს უბნებზე ყოველი საათის ბოლოს მისული ამომრჩევლის რაოდენობა ვებ გვერდის შემქმნელებს? ამ კითხვაზე პასუხი ყარალაშვილს აქვს და თან არც აქვს. "ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ, რა ინფორმაცია უნდა მიგველო და რა იქნებოდა ლეგიტიმური. ვერც არასამთავრობოებს, ვერც ხელისუფლებას ვერ ვენდობოდით, ამიტომ მივმართეთ ეუთოს, მათი დამკვირვებლების პროგრამაში ჩართვა და დასაფინანსებლად 18 ათასი დოლარი ვთხოვეთ. მათ დაფინანსებაზე უარი გვითხრეს, თუმც იდეა მოიწონეს. ამის შემდეგ ჩვენ მოვძებნეთ ენთუზიასტი დამკვირვებლები, რომელთა ვინაობა ანონიმურია და მათ მხოლოდ არჩევნების შემდეგ დავასახელებთ," - განაცხადა ყარალაშვილმა. მისივე თქმით, "ენთუზიასტები" ქვემო ქართლის 354 უბნიდან 280-ზე, ანუ 70%-ზე მათ უკვე ჰყავთ.

ვინ არიან ის ადამიანები, რომელთა კეთილსინდისიერებაზე იქნება დამოკიდებული რამდენად სწორი საარჩევნო ინფორმაცია გავა 2 ნოემბერს ინტერნეტში? "პარტიული ნიშნით არ შეგვირჩევია, პირადი ნაცნობობით შევარჩიეთ", - ამბობს ყარალაშვილი და კითხვის გამეორების შემდეგ "ბრაზდება" - "ჩვენ მარტო ოთხი კაცი ვართ და რა ვქნათ?! თუ გინდათ დაწერეთ, რომ სახელისუფლებო ბლოკის ხალხი გვყავს..." (!)

ვინ იქნება პასუხისმგებელი იმ ინფორმაციის სისწორეზე, რომელიც მთელი მსოფლიოსთვის ხელმისაწვდომი იქნება? ცენტრის წარმომადგენლებს არც ამ კითხვაზე აქვთ პასუხი. "ჩვენ მაინც გავუშვებთ ამ პროექტს ინტერნეტში, თუნდაც არც ერთი არასამთავრობო არ ჩაერთოს ამაში, თუნდაც მერე არკვიონ, ვინ მოგვაწოდა ციფრები," - კატეგორიულად აცხადებს ყარალაშვილი.

ყველაფერ აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ ინტერნეტში ქვემო ქართლის არჩევნების გაშუქებას, ძირითადად, სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები მოემსახურებიან და ინფორმაციასაც ისე მიაწვდიან ვებ გვერდს, როგორც ეს სახელისუფლებო ბლოკს ეკადრება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დსთ-ს აღმასრულებელი მდივანი იური იაროვი, რომელიც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონიტორინგის განხორციელების მიზნით ჩამოვიდა, საკუთარი მისიის უფლებამოსილების გასარკვევად დღეს ცესკო-ს თავმჯდომარეს ნანა დევდარიანს შეხვდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანთან თედო ჯაფარიძესთან ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები შეიკრიბნენ და 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჯორჯ ჰოლმსონი, რომელიც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის მიზნით თბილისში 21-წევრიან ჯგუფთან ერთად აშშ-ს სენატორის ჯონ მაკკეინის უშუალო დავალებით ჩამოვიდა, ლეიბორისტული (შრომის) პარტიის ლიდერ შალვა ნათელაშვილს შეხვდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ბიულეტენების ბეჭდვის პროცესი ხვალ დასრულდება. ცესკო-ს თავმჯდომარის ნანა დევდარიანის ინფორმაციით, ვერ მოესწრო ამომრჩეველთათვის არჩევნებზე მისაწვევი ბარათების დაბეჭდვა, რომლითაც უწინ მოსახლეობა არჩევნების თარიღს ახსენებდნენ. ცნობილია, რომ საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვა 17 ოქტომბერს დაიწყო. ცესკომ შეკვეთა მისცა ოთხ სტამბას: „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“, შპს „ფორმა“, ს/ს „კეგელი“, ს/ს „კარტოგრაფია“, რომლებმაც 2 ნოემბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნებისა და რეფერენდუმისთვის 6 მლნ (3 მლნ – საარჩევნო, 3 მლნ – სარეფერენდუმო) ბიულეტენი უნდა დაბეჭდონ. **მედია-ნიუსი**

# ჩვენი არ გვეყოფოდა და მეზობლებიც უნდა ვიდარდოთ

პირველი გვერდიდან

სწორედ ამ ფრაზებით იწყება საქართველოს ხელისუფლების საარჩევნო პლატფორმა, რომელსაც ეწოდება [illegible]

[illegible] **ბის რთულ ეტაპზე არიან ჩვენი მეზობელი ქვეყნები. ოთხი მეზობელი ქვეყნიდან - სამი (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი) თვითონ იმყოფება გარდამავალ პერიოდში, ხოლო მეოთხე (თურქეთი) განიცდის დიდ სოციალურ-ეკონომიკურ სირთულეებს. ეს არ აძლევს საქართველოს საშუალებას, ეფექტურად გამოიყენოს მეზობლობის რესურსები. პირიქით კი ხდება,"** – ვერაფერს იტყვი, ღრმა ანალიზია! [illegible]

[illegible] ალნიშნული პროგრამები საერთაშორისო ფულითაა დაწერილი და მათი საარჩევნოდ გამოყენება პირდაპირ ეწინააღმდეგება საარჩევნო კანონს.

**"პროგრამა უაღრესად კონკრეტიზებულია. იგი ძალიან ამბიციურია და მალე ისარგებლებს საზოგადოების მხარდაჭერით,"** – აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა გიორგი გაჩეჩილაძემ გუშინდელ პრეზენტაციაზე.



ისინი შევარდნაძის პროგრამით ხელმძღვანელობენ.

მიუხედავად მინისტრის შეფასებისა, ამ პროგრამაში ძნელად თუ ამოიკითხავთ რაიმე კონკრეტულს. ეკონომიკური პროგრამა ციფრების გარეშე, ზოგადად არის დაწერილი. როგორც გაჩეჩილაძე აღნიშნავს, ყურადღება გამახვილებულია მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე, ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე, საგადასახადო პოლიტიკაზე და ა.შ.

შეხვედრას ჯანდაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძეც დაესწრო. მისი თქმით, მომავალი ოთხი წელიწადი მისი უწყება, სახელისუფლებო ბლოკის სხვა სუბიექტების მხარდაჭერით, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებით, დაუცველი ფენის სოციალური დაცვის უზრუნველყოფით და შრომითი კანონმდებლობის გაუმჯობესებით იქნება დაკავებული.

# სახელისუფლებო მანქანა სრული დატვირთვით ამოქმედდა

პირველი გვერდიდან

ვერსიის მიხედვით, ამ საარჩევნო ოლქში თავდაპირველად 33.000 ამომრჩეველი იყო მითითებული, თუმცა საოლქო კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და მონაცემების მიხედვით, დმანისში უკვე რეალური სურათია დადგენილი და იქ სულ 16.000 ამომრჩეველია რეგისტრირებული. ცესკო-ში ასევე აცხადებენ, რომ რამდენიმე ათასითაა შემცირებული თეთრიწყაროს რაიონის ამომრჩეველთა რაოდენობაც.

თუმცა, მოესწრება თუ არა უკანასკნელ სამ დღეში ამომრჩეველთა სიების დაზუსტება, ეს კვლავ უცნობია. ამის მიუხედავად, ცესკო-ს თავმჯდომარე ნანა დევდარიანი დარწმუნებულია, რომ 30 ოქტომბერს ყველაფერი წესრიგში იქნება და საპარლამენტო არჩევნებზე სიებთან დაკავშირებული პრობლემები არ შეიქმნება. **"ამომრჩეველთა ხელნაწერი სიები შსს-დან უკვე გადასულია საარჩევნო ოლქებსა და უბნებში, სადაც ამჟამად მათი გადამოწმების პროცესი მიმდინარეობს,"** – ამბობს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. მისივე თქმით, 30 ოქტომბრიდან ამომრჩეველთა სიები ყველა საარჩევნო უბანზე უნდა გამოაკრან.

სანამ საარჩევნო ადმინისტრაციები ამომრჩეველთა მონაცემების დადგენას აგრძელებენ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები იმ დარღვევებს ავლენენ, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ხელისუფლების აქტიურ ზეწოლაზე, როგორც ამომრჩეველთა, ასევე საარჩევნო კომისიების წევრთა მიმართ.

გუშინ, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანმა არჩევნებმა" გაავრცელა განცხადება, სადაც აქცენტი სწორედ ამ სახის წინასაარჩევნო დარღვევებზეა გაკეთებული.

**"წინასაარჩევნო პერიოდის მიწურულს, საარჩევნო ადმინისტრაციების შემადგენლობაში მომხდარი სერიოზული ცვლილებები საფრთხეს უქმნის არჩევნების ნორმალურ ადმინისტრირებას. საქართველოს თითქმის ყველა რაიონში საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში შეიცვალნენ წევრები, უმეტესგან - მასობრივად, ხოლო ზოგიერთ საარჩევნო ოლქში როგორც საუბნო საარჩევნო კომისიის, ასევე საოლქო კომისიის თავმჯდომარეებიც.**

**მნიშვნელოვნად განახლებული საარჩევნო კანონმდებლობის და ცესკო-ს მიერ ბოლო დროს მიღებული მრავალრიცხოვანი ნორმატიული აქტების ფონზე, საარჩევნო კომისიების ძირეული, ზოგიერთ შემთხვევაში არაკანონიერი ცვლილება არჩევნების წესების დაცვით ჩატარებისთვის სერიოზულ საშიშროებას ქმნის.**

**წინასაარჩევნო პერიოდის დასასრულს, ამომრჩევლებზე გახშირებული ზეწოლის ფაქტები და თანამდებობის პირების მიერ თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება საარჩევნო სუბიექტების მხარდაჭერაზე მიუთითებს, როგორც საარჩევნო კანონმდებლობის უხეშ დარღვევებზე, ასევე არადემოკრატიული საარჩევნო მეთოდებით კამპანიის წარმართვაზე.**

**არჩევნებამდე 4 დღით ადრე ამომრჩეველთა სიებში არსებული სრული ქაოსი ნათლად მიანიშნებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ და შესაბამისმა ორგანოებმა თავი ვერ გაართვეს ქართველი ამომრჩევლის, საერთაშორისო და ადგილობრივი საზოგადოებრიობის წინაშე აღებულ ვალდებულებებს.**

**დღეს "სამართლიანი არჩევნები" მოუწოდებს მთელ ქართულ საზოგადოებას, თითოეულ ამომრჩეველს, რომ პრობლემების მიუხედავად, უზრუნველყონ არჩევნების ნორმალურად ჩატარება, რადგან არჩევნებში მონაწილეობით თითოეული ჩვენგანი წყვეტს არჩევნების სამართლიანობას და ქვეყნის მომავალს,"** – ნათქვამია ამ განცხადებაში.

"სამართლიანი არჩევნების" რეგიონული კოორდინატორები უშუალოდ მიუთითებენ შემდეგ დარღვევებზე:

**საგარეჯოში, სიღნაღში, რუსთავში, დუშეთში, ახმეტაში, ყვარელში, ლაგოდეხში, ოზურგეთში, ხობში, ჩხოროწყუში, ფოთში, ლანჩხუთში, სენაკში, აბაშაში, ხარაგაულში, ასპინძაში, მცხეთაში, თერჯოლაში, მარტვილში, ამბროლაურში, ბაღდათში, ჩოხატაურში, წყალტუბოში, ისანში, სამგორში, მთაწმინდაში, ვაკეში, ნაძალადევში შეიცვალნენ საარჩევნო კომისიის წევრები.**

**ერთდროულად, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები და წევრები შეიცვალნენ** [illegible]

**საოლქო კომისიის თავმჯდომარეები შეიცვალნენ** [illegible]

**გამოვლენილია ხელისუფლების მხრიდან სახელისუფლებო ბლოკის სასარგებლო აგიტაციის ფაქტები ახმეტაში, გურჯაანში, ტყიბულში, ახალციხეში, ონში, ფოთში, ლანჩხუთში, სიღნაღში, საგარეჯოში, რუსთავში.**

**ტყიბულის რაიონის განათლების განყოფილების თანამშრომლებმა, რაიონის გამგებლის - თამაზ კუბლაშვილის უშუალო დავალებით, შემოიარეს სკოლები და პედკოლექტივს აიძულებდნენ, არჩევნების დღეს სახელისუფლებო ბლოკისა და მისი მაჟორიტარი კანდიდატის – ბონდო შალიკიანისთვის ხმის მიცემას. ასეთივე დავალება აქვს მიღებული რაიონულ პოლიციას, სახანძროს და საბიუჯეტო დაწესებულებების თანამშრომლებს.**

**ახალციხის რაიონის გამგებელი დავით მეტრეველი, მასმედიის საშუალებებით, სამთავრობო ბლოკის სახელით აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს....**

ასეთივე სახის წინასაარჩევნო დარღვევებია გამოვლენილი დმანისში, [illegible]

[illegible]

# პატი - პატიაშვილს სვლები აღარ აქვს

*ჯუმბერ პატიაშვილის ქარიზმა თანდათან ხუნდება. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ გარკვეული ხნით გაუჩინარებული, საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის პოლიტიკურ სარბიელზე ხელახლა გამოჩენას, 90-იანი წლების დასაწყისში, საზოგადოება ინტერესით შეხვდა. მაშინ ბევრს მიაჩნდა, რომ პატიაშვილი შეთქმულებისა და ინტრიგების მსხვერპლი გახდა და მისგან სენსაციური "სიმართლის" გამჟღავნებას ელოდა. მაგრამ გავიდა წლები, პატიაშვილმა კი მასების ცნობისმოყვარეობა ვერ დააკმაყოფილა. შესაბამისად, მის პერსონასაც ნელ-ნელა ჩამოსცილდა იდუმალების ხიბლი. პატიაშვილისადმი ინტერესი განელდა. დღეს იგი უკვე აღარ დგას ქართული პოლიტიკის ავანგარდში. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ სანახევროდაც კი ველარ ივსება რკინიგზელთა კულტურის სახლის არც თუ ისე დიდი დარბაზი, სადაც ბლოკ "ერთობის" ლიდერმა გუშინ დიდუბელებს მათი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მამუკა გიორგაძე წარუდგინა.*

გიორგი ასანიშვილი

თავის დაღმასვლას პატიაშვილი, ეტყობა, კარგად გრძნობს. ამიტომაც არის იგი ყველაზე და ყველაფერზე განაწყენებული და გაღიზიანებული. "ერთობის" ლიდერი ლამის მთელ სამყაროს - ხელისუფლებას, ოპოზიციას, მასმედიას, დასავლეთს, ამერიკას - ერთდროულად უმხედრდება.

**"ოპოზიციად ჩვენ არც საქართველოს პრეზიდენტი გვცნობს და არც ამერიკა... მე ბეიკერის მეგობარი არა ვარ და ამაზე სულაც არ მწყდება გული... ხელისუფლებამ შეგნებულად მიიყვანა ქვეყანა ამ მდგომარეობამდე, რათა გაუბედურებული ხალხის მართვა გაუადვილდეს... მასმედია დღევანდელი მმართველი ძალისა და ფსევდოოპოზიციის ხელშია. ასეთ პირობებში, როგორ უნდა იაქტიურო? რაღა აზრი აქვს არჩევნებში მონაწილეობას, როდესაც მოსახლეობისთვის ხმის მიწვდენას ვერ ახერხებ?"** - აღშფოთებას და გაწბილებას ვერ მალავს პატიაშვილი. გუშინ მან რისხვა დაატეხა ტელევიზიის პირველ არხს, სადაც "ათი წელია, არ მიუწვევიათ"; "რუსთავი-2"-ს, რომელიც, თურმე, "ანტიქართული მიმართულებისაა" და არ აშუქებს ისეთ მოვლენებს, როგორიც არის, მაგალითად, სიღნაღის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ჰამლეტ გონაშვილის ვაჟის წარდგენა.

წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებით უკმაყოფილოა პატიაშვილის დიდუბელი ფავორიტი მამუკა გიორგაძეც. მისი აზრით, ტელევიზიების მიერ "ერთობა" იმიტომ არის დაბლოკილი, რომ პატიაშვილის თანამებრძოლები არ ჩხუბობენ და სკანდალებს არ აწყობენ. **"მასმედიას საზოგადოების ყურადღება იმაზე გადააქვს, რამდენი მუშტი მოხვდა მიშა სააკაშვილს და რამდენჯერ ჩაარტყეს წიხლი დავით ბერძენიშვილს. ეს შეგნებულად კეთდება,"** - თავისი უფროსი პარტიული მეგობრის მსგავსად, "ერთობის" წინააღმდეგ პირის შეკვრაზე საუბრობს მამუკა გიორგაძეც. მისივე მტკიცებით, პატიაშვილის წინააღმდეგ მიმართული ჯვაროსნული ლაშქრობა არახალია. **"ჯუმბერ პატიაშვილმა ორჯერ მოიგო საპრეზიდენტო არჩევნები, მაგრამ ეს ოქმებში არ ასახულა"** – აცხადებს "სახალხოელთა" ლიდერი.

ჰოდა, რაღა გასაკვირია "ძმაბიჭებში დაჩაგრული" პატიაშვილის მრისხანება?. **"ყველაფრის ღირსი ხარ, ქართველო!"** - ესღა შესძახა გამწარებულმა მცირერიცხოვან აუდიტორიას, როდესაც დარბაზში ვიღაცამ მოსახლეობის პასიურობაზე დაიჩივლა.



მამუკა გიორგაძეს და ჯუმბერ პატიაშვილს გამარჯვების იმედი აქვთ.

"ერთობის" ლიდერისგან განსხვავებით, დიდუბის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი უფრო ოპტიმისტურად არის განწყობილი. **"დარწმუნებული ვარ, 2 ნოემბრის არჩევნები შეცვლის ქვეყანაში არსებულ ვითარებას და ჩვენი საზოგადოება ნორმალურ პირობებში იცხოვრებს",** – ჰპირდებოდა მამუკა გიორგაძე გუშინ თავის მხარდამჭერებს.

მაგრამ ასეთ ზოგად საუბრებზე მეტად, ხალხს უფრო "ფოჩიანი კამფეტების" შეპირება უყვარს. გუშინდელ აუდიტორიას არც ამაზე დასწყვიტეს გული. "ერთობა" პირობას იძლევა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ბუნებრივი აირის ღირებულება ორჯერ შემცირდება, ხოლო ისინი, ვინც საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში მუშაობდნენ, 60 დოლარის ეკვივალენტ პენსიას მიიღებენ.

და ეს ყველაფერი "დიდი რუსეთის" წყალობით მოხდება - ბლოკ "ერთობას" ვლადიმირ პუტინის "ედინაია როსიასთან" შესაბამისი შეთანხმება ჰქონია გაფორმებული.

ასე რომ, საიდან უბერავდა გუშინ სიო (პოლიტიკური) რკინიგზელთა კულტურის სახლში, მგონი, ძნელი მისახვედრი არ არის.

# "ნაციონალებს" ინციდენტები თან სდევს

გუშინ ზუგდიდში, სამხარეო ადმინისტრაციის შენობის წინ გამართული "ნაციონალების" [illegible]

[illegible]

24 საათი

# სიებს აჭარაში შობადობის მატება ეტყობა

*"ადენაუერის ფონდმა" წინასაარჩევნო ასპარეზი ამჯერად "აღორძინების" წარმომადგენლებს დაუთმო. "დემოკრატიული კავშირი" ერთი იმ პოლიტიკურ პარტიათაგანი აღმოჩნდა, ვინც ამ პოლიტიკური ფონდის შეფასებით, მომავალი მოწვევის პარლამენტში აუცილებლად მოხვდება. შესაბამისად, წინასაარჩევნოდ ფონდის წარმომადგენლებმა "აღორძინებასაც" დაუთმეს ტრიბუნა. თუმცა, გუშინდელ მაგიდას მხოლოდ პირობითად შეიძლება დაერქვას "მრგვალი," "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე ცოტნე ბაკურიას გუშინ "ოპონირებას" მხოლოდ ჟურნალისტები უწევდნენ, ძირითადად იმ სტილში, როგორც ეს ჩვეულებრივი პრესკონფერენციის დროს ხდება ხოლმე.*

ლელა მჭედლიძე

რასაკვირველია, ბაკურიამ გუშინ იმის მტკიცებით დაიწყო, რომ **"აღორძინება" სიმშვიდის და სიფხიზლის სადარაჯოზე დგას, რადგან ახლა ბევრია ისეთი პარტია, ვისაც დესტაბილიზაცია და არჩევნების ჩაშლა სურს... არჩევნების ობიექტურად ჩატარების შემთხვევაში, "აღორძინებას" კონკურენტი საერთოდ არ უნდა ჰყავდეს. ბათუმში გამართული 24 ოქტომბრის აქციის შემდეგ კი ბლოკის ავტორიტეტმა და რეიტინგმა საგრძნობლად იმატა"(?!).** საინტერესო ის არის, რომ ეს ცოტნე ბაკურიას სურვილი ან დასკვნა კი არ ყოფილა, არამედ ბატონი ცოტნეს განცხადებით, ერთ-ერთი უცხოელი პოლიტიკოსის შეფასება, რომელიც მან "აღორძინების" ლიდერებთან საუბრისას გამოთქვა. თუ კონკრეტულად რომელ პოლიტიკოსზეა საუბარი, ცოტნე ბაკურიას, ალბათ, "სახელმწიფო საიდუმლოების" გაცემის შიშით აღარ დაუკონკრეტებია. სამაგიეროდ, თამამად განაცხადა, რომ ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ვალტერ შვიმერი ბათუმში წინასაარჩევნო მზადებით, კონკრეტულად კი, ამომრჩეველთა სიებისადმი საგულდაგულო მიდგომით იმდენად აღფრთოვანდა, რომ დაასკვნა, ამგვარი რამ მთელი საქართველოსათვის ნიმუშად უნდა იქცეს და მთელი ქვეყნის მასშტაბით განზოგადდესო. როგორც ბაკურია განმარტავს, დედაქალაქში გამოკრული, მკვდარი სულებით გაბერილი სიების ნაცვლად, აჭარაში უკვე კარგა ხანია, რაც რეალური, ამომრჩევლის ფოტოსურათიანი სიებია გამოკრული; მართალია, ბაკურიას ეს ყველაფერი უკვე იმაზე პასუხად გაახსენდა, თუ რატომ დააგვიანა "აღორძინებამ" ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ამომრჩეველთა საერთო სიების გამოგზავნა. აჭარაში რომ ცენტრთან შედარებით მართლაც "ოაზისია", თურმე, ამომრჩეველთა სიებს სხვა მხრივაც ემჩნევა. მაგალითად, ბაკურიას განმარტებით, **"ბოლო არჩევნებიდან დღემდე, ამომრჩეველთა სია რამდენიმე ათასით აჭარაში შობადობის მატების გამო გაიზარდა!"** მოკლედ, გამოდის, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აჭარაში დაბადებულმა ბავშვებმა საპარლამენტო არჩევნებისათვის დაბადებასთან ერთად დავაჟკაცებაც მოასწრეს...

ბაკურიას მეორე განმარტებით, აჭარაში სამუშაო პირობები იმდენად მომხიბვლელი ყოფილა, რომ სხვადასხვა რაიონიდან ხალხი სამუშაოდ და საცხოვრებლად იქ გადადის! მოკლედ, საქართველოში, წესით, არც მიგრაციის პრობლემა უნდა იდგეს. წინასაარჩევნოდ აჭარაში NDI-ს 32 დამკვირვებელი ჩადის, 70 დამკვირვებელი - ევროპის საბჭოდან, აშშ-დან, უკრაინიდან, ბალტიისპირეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. კარგი იქნება, რომ ამ დამკვირვებლებმა, "უმნიშვნელო" დარღვევებთან ერთად, ბაკურიას მიერ ჩამოთვლილი კეთილდღეობის ნიშნებიც შენიშნონ. თორემ, თავად "აღორძინება", ცენტრში ამომრჩეველთა სიების გასაყალბებლად შეკრული შევარდნაძე-ჟვანია-სააკაშვილის ალიანსის გარდა, ვერაფერს ხედავს, თუ, რა თქმა უნდა, ამას "თავისუფლების ინსტიტუტისა" და "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" აგენტობის ძველ ამბავსაც არ დავუმატებთ...

# გაუჩინარდა მაჟორიტარი კანდიდატი

გუშინ, გვიან საღამოს გაუჩინარდა ჭიათურის რაიონის მაჟორიტარი კანდიდატი "აღორძინებიდან", ცნობილი ადვოკატი თემურ გოგსაძე. სამართალდამცველებმა დაადგინეს, რომ იგი 14.00 საათზე, საკუთარი ავტომანქანით გაემგზავრა თბილისიდან. 18.00 საათზე გოგსაძე ჩავიდა საჩხერეში და "აღორძინების" რაიონული ორგანიზაციის ოფისში შეხვდა საარჩევნო შტაბის წევრს ჯონდი ბულაძეს. ამ უკანასკნელის თქმით, თემურ გოგსაძე აღელვებული იყო. ჯერ დაუჩივლია, მანქანა გამიფუჭდაო, შემდეგ კი უთქვამს, რომ მგონი ვიღაც მომდევსო.

დაახლოებით საღამოს რვის ნახევარზე, საჩხერის პოლიციის შემოვლითმა ჯგუფმა, რაიონული ცენტრიდან რამდენიმე კილომეტრში, დაუსახლებელ ადგილას იპოვა თემურ გოგსაძის ავტომანქანა. მაჟორიტარი კანდიდატის მოწმობა და სხვა საბუთები მანქანის სალონში ეყარა, თუმცა ადგილზე ძალადობის რაიმე ნიშანი არ ჩანდა. რასაკვირველია, მაშინვე გაჩნდა გატაცების ვერსია, მაგრამ გამოძიება არ გამორიცხავს ინსცენირებასაც, რათა ამით კანდიდატს, გარკვეულწილად, რეიტინგი აეწია. ამასთან, სამართალდამცველებს საეჭვოდ მიაჩნიათ ის ფაქტიც, რომ გოგსაძემ თბილისიდან საჩხერემდე გზას ოთხი საათი მოანდომა.

გუშინ პოლიციამ საჩხერის რაიონის შესასვლელ-გასასვლელები გადაკეტა...

# რუსთავში ოპოზიციური პარტიები გაყალბების წინააღმდეგ გაერთიანდნენ

პირველი გვერდიდან

გელა წითლიძე, "ახლები": **"მე საოლქო კომისიის წევრი გახლავართ, აქ არიან ჩემი კოლეგები "დემოკრატებიდან" და "ნაციონალებიდან". სამივე ვადასტურებთ, რომ კომისიას შემოსულ განცხადებებზე არ უმსჯელია. აქედან იბადება ეჭვი, რომ მზადდება სია, რომელიც არჩევნების გასაყალბებლად არის გაკეთებული."**

შეთანხმებული პარტიების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი დღეს საოლქო კომისიას მიმართავენ თხოვნით, დამტკიცდეს ის სია, რომელზეც პარტიებმა ამდენი ხნის მანძილზე იმუშავეს. როგორ მოიქცევიან ისინი იმ შემთხვევაში, თუ საოლქო მათ პოზიციას არ გაიზიარებს, ჯერ გადაწყვეტილი არ არის. პარტიები სამართლებრივი გზით აპირებენ ბრძოლას და, ამასთან, არჩევნების არჩატარებას კატეგორიულად გამორიცხავენ.

რუსთავის საოლქო კომისიის თავმჯდომარემ მამუკა მუმლაძემ "24 საათს" განუცხადა, რომ არანაირი 63 ათასიანი სია არ არსებობს და მუშაობა ჯერ არ დამთავრებულა. კითხვაზე, გაითვალისწინებს თუ არა კომისია ოპოზიციური პარტიების მიერ წარმოდგენილ მასალებს, მუმლაძე ასე პასუხობს: **"ყველაფრის გათვალისწინება არ შეიძლება. იმას ვითვალისწინებთ, რაც რეალურია. ხალხის გარეთ დარჩენა ჩვენ ყველაზე მეტად არ გვაწყობს. ეგ შეიძლება ოპოზიციას უფრო აწყობდეს, რომ არეულობა მოხდეს. ამიტომ მათ მონაცემებს მთლიანად ვერ ვენდობით."**

სიებთან დაკავშირებით შექმნილ სირთულეებზე კომენტარი გააკეთეს ქალაქის მერმა მერაბ ტყეშელაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ლაშა მინდელმა. მათი აზრით, ხელისუფლება ცდილობს, არჩევნების ჩაშლის ან არეულობის შემთხვევაში, ოპოზიციას შეაწმინდოს ხელი.

**"ისინი დიდი ხანია ავრცელებენ ხმებს, თითქოსდა მერს და ოპოზიციას არჩევნების ჩაშლა სურთ. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ მართლაც რამე რომ მოხდეს, აქეთ გამოიშვირონ ხელი,"** - აცხადებენ ისინი. მერაბ ტყეშელაშვილის თქმით, ის ცესკო-ს თავმჯდომარეს ესაუბრა, რომელმაც მერს შესთავაზა, პოლიციასთან ერთად, სიები გადაამოწმოს.

**"ისინი საკითხს ასე აყენებენ: მიიღეთ ეს სიები და არჩევნები ისე ჩაგვატარებინეთ, როგორც ჩვენ გვსურს. თუ არ მიიღებთ, არჩევნების ჩაშლის მსურველებად გამოგაცხადებთ. შეიძლება ითქვას, რომ მათი მხრიდან ეს არის, ფაქტობრივად, ბიძგი არჩევნების ჩაშლისკენ",** - განაცხადა ლაშა მინდელმა.

## "გსეკ" - მთავარი სამიზნე

### კონტროლის პალატა ყოველწლიურად ერთსა და იმავეს აცხადებს, ვითარება კი უცვლელია

*"შემოწმების შედეგები აღმაშფოთებელია," – ასეთი დასკვნა გააკეთა კონტროლის პალატამ საქართველოს ენერგეტიკაში შექმნილი მდგომარეობის შესწავლის შემდეგ. პალატის დასკვნით, ენერგეტიკაში კრიზისი სულ უფრო და უფრო ღრმავდება, მოშლილია აღრიცხვიანობა, ხოლო შემოსავლები სად მიდის, კაცმა არ იცის. ფაქტობრივად, კონტროლის პალატის დასკვნაში ახალი არაფერია. პალატის მიერ წარმოდგენილი ახალი მასალების შინაარსი წინა წლების დასკვნებისგან დიდად არ განსხვავდება.*

ეთერ მაჭალაშვილი
მაია ურუშაძე

რეგიონებში "გსეკ"-ის მიერ ენერგომომარაგების პოლიტიკის დანერგვისთანავე კონტროლის პალატა კომპანიის ფინანსური საქმიანობით დაინტერესდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლო ორი წლის მანძილზე 4-ჯერ ხელმძღვანელგამოცვლილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში სულზე მოლამოილი უზუსტობები ბევრი "საკბილო" იპოვა.

არასწორი ფინანსური პოლიტიკა, ქაოსი ელექტროენერგიის აღრიცხვა-განაწილებაში, დენის საფასურის ამოღების ცუდი მაჩვენებლები – აი, იმ პრეტენზიების არასრული ნუსხა, რომელიც კონტროლის პალატამ 2002 წლისა და 2003 წლის პირველი კვარტლის მონაცემების შესწავლის შედეგად ენერგეტიკის დარგის ხელმძღვანელობას წარუდგინა.

ენერგოქაოსის მიზეზებს კონტროლის პალატა, უპირველეს ყოვლისა, "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ("გსეკ") მიერ ჩატარებულ "არადამაკმაყოფილებელ მუშაობაში" ხედავს, რაც მომხმარებელთა დენის საფასურის აღრიცხვას ხელს უშლის. "გსეკ"-ის მოუწესრიგებელი ფინანსური მუშაობა შედეგად აღრიცხვა-ამოღებაზე აისახება.

კონტროლის პალატა საბოლოო ბაზრისა და "გსეკ"-ის მრიცხველებს შორის დაფიქსირებულ სხვაობაზეც საუბრობს. როგორც ირკვევა, საბითუმო ბაზრის მონაცემებით, "გსეკ"-მა 29,7 მილიონი კილოვატსაათით მეტი ელექტროენერგია მოიხმარა, ვიდრე ეს "გსეკ"-ის მრიცხველზეა ნაჩვენები. სხვაობა თანხობრივად მილიონ ორასი ათას ლარს აჭარბებს. ამ სხვაობას მესტიის რაიონისა და ჩხოროწყუს ენერგოკომპანიის მიერ მოხმარებული ელექტროენერგია იწვევს. როგორც ირკვევა, მესტიაში "გსეკ"-ს ფილიალი საერთოდ არა აქვს და რაიონის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვა-ამოღებას საერთოდ არ აწარმოებს.

გარდა ამისა, კურიოზული ვითარებაა მცხეთისა და წყალტუბოს მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიხვის საქმეშიც. ამ რაიონების მიერ დახარჯული დენის რაოდენობა ზუსტად არ აღირიცხება, რადგან მრიცხველები გაუმართავია. "გსეკ"-ს კი ამ მრიცხველების მოვლა-პატრონობის არათუ საშუალება, არამედ უფლებაც არა აქვს, რადგან ეს მოწყობილობები "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას" ეკუთვნის.

ვარციხეჰესების კასკადის მე-2 ჰესიდან წყალტუბოს რაიონს დენი პირდაპირ მიეწოდება. კონტროლის პალატამ განსხვავება იპოვა ჰესისა და "გსეკ"-ის წყალტუბოს ფილიალის მრიცხველთა მაჩვენებლებში. განსხვავება საკმაოდ სოლიდურია – 1420 ათასი კილოვატსაათი.

კონტროლის პალატა ყურადღებას ამახვილებს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის სხვადასხვა ფილიალებში გამოვლენილ დარღვევებზე. პალატის ინფორმაციით, მოუწესრიგებელია აღრიცხვიანობა კომპანიის ყველა ფილიალში, რაც შეუძლებელს ხდის რეალური ენერგობალანსის შედგენასა და ტექნიკური და კომერციული დანაკარგების ფაქტობრივი ოდენობის სისწორის დადგენას.

"არაეფექტურად წარიმართა ფულადი სახსრების ხარჯვა, სამუშაოების (მომსახურების) შემსრულებლების შერჩევა არ წარმოებს კონკურსის წესით, რაც კომპანიას თანხების რაციონალური გამოყენების საშუალებას მისცემდა," – წერია კონტროლის პალატის დასკვნაში. ამის მაგალითად კი პალატას შპს "გრანიტ-ელექტრონიქსისა" და "გსეკ"-ს შორის 2002 წლის აგვისტოში გაფორმებული ხელშეკრულება მოჰყავს, რომლის მიხედვითაც, "გრანიტ-ელექტრონიქსი" გარკვეული სამუშაოების საზღაურად "გსეკ"-ისგან 445 ათას 400 ლარი უნდა მიეღო. "სამუშაოს შესრულებაზე შედგენილი აქტებით თანხა ... სამუშაოები ჩატარებულა 25 ტრანსფორმატორზე, თუმცა ანაზღაურებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულება, ანუ გადასახდელზე 2000 ლარით მეტი," – წერია კონტროლის პალატის დასკვნაში.

როგორც ირკვევა, "გსეკ" "სიტყვაზე ენდო" "არმენერგოს", რაც კანონით ისჯება. სწორედ ამიტომ კონტროლის პალატას "არმენენერგოსთვის" 2002 წლის მაისში გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი 9 ათას 447 ლარი არ მოსწონს. როგორც ირკვევა, ეს თანხა "გსეკ"-მა სომეხ პარტნიორს აუნაზღაურა სომხეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიისა და საბაჟო გადასახადისთვის, მაგრამ "არმენენერგოსთვის" ამ თანხების რეალობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი არ მოუთხოვია.

მოკლედ, შემოწმების შედეგად კონტროლის პალატამ "გსეკ"-ს ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დაარიცხა 138 ათას ორასი ლარი, მათ შორის ჯარიმა-საურავების სახით - 66 ათას ექვსასი ლარი. კომპანიისთვის, რომელშიც ახალი მმართველი ერთი წელია, რაც შევიდა, ეს თანხა საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება.

მონიტორინგი

## "სოციალურხარჭებბარღვეული" მთავრობა კვლავ საზეიმო სანახაობებს აფინანსებს

24 ოქტომბრისათვის, როგორც იქნა, დასრულდა სექტემბრის თვის ლტოლვილთა შემწეობების დაფინანსება.

გაგრძელდა სექტემბრის თვის ხელფასების დაფინანსება. ამჯერად პრიორიტეტი მიენიჭათ: საქართველოს სახელმწიფო კანცელარიას, პარლამენტს, კონტროლის პალატას, საარჩევნო კომისიას, კულტურის სამინისტროს (დეტალურად იხილეთ ცხრილში).

სამაგიეროდ, ძალოვანი სტრუქტურებს დაუფინანსდათ "სხვა საქონელი და მომსახურების" მუხლით გათვალისწინებული ხარჯები. სოციალურ ვალდებულებებში არსებული გარღვევის მიუხედავად, კვლავ გრძელდება სხვადასხვა ღონისძიებების, სტიპენდიების თუ დახმარებების დაფინანსება, რაც "ეფექტურად" გამოიყენება წინასაარჩევნოდ.

ხშირად ეს ხორციელდება პრეზიდენტის ფონდიდან. გამოიყენება სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტების, აგრეთვე კულტურის სამინისტროს პროგრამული ხარჯები.

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

**2003 წლის 20-24 ოქტომბრის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები**

| № | დასახელება | [illegible] |
|---|---|---|
| | [illegible] | |
| 1 | [illegible] | 3,476.3 |
| | [illegible] | 65.8 |
| | [illegible] | 100.0 |
| | [illegible] | 102.5 |
| | [illegible] | 200.0 |
| | [illegible] | 663.0 |
| | [illegible] | 1,300.0 |
| | [illegible] | 1,045.0 |
| 2 | [illegible] | 1,800.0 |
| | [illegible] | 500.0 |
| | [illegible] | 1,300.0 |
| 3 | [illegible] | 160.0 |
| | [illegible] | 160.0 |
| 4 | [illegible] | 21.5 |
| | [illegible] | 21.5 |
| 5 | [illegible] | 48.8 |
| | [illegible] | 20.7 |
| | [illegible] | 28.1 |
| 6 | [illegible] | 69.2 |
| | [illegible] | 69.2 |
| 7 | [illegible] | 150.0 |
| 8 | [illegible] | 1.4 |
| 9 | [illegible] | 576.9 |
| | [illegible] | 200.0 |
| | [illegible] | 100.0 |
| | [illegible] | 100.0 |
| | [illegible] | 100.0 |
| | [illegible] | 50.0 |
| | [illegible] | 4.9 |
| | [illegible] | 22.0 |
| 10 | [illegible] | 2.0 |
| | [illegible] | 2.0 |
| 11 | [illegible] | 200.0 |
| | [illegible] | 200.0 |
| 12 | [illegible] | 5,144.2 |
| | [illegible] | 4,384.0 |
| | [illegible] | 697.7 |
| | [illegible] | 62.6 |

## საქართველოს ნავთობბაზარზე ინტერესთა ჩანაცვლება იგეგმება

მაია ურუშაძე

*საქართველოს ნავთობსექტორში საინვესტიციო ძალების ახალი გადაჯგუფებებია მოსალოდნელი: ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო მორიგ ტენდერს აცხადებს ნავთობისა და გაზის რესურსების განვითარებისა და ძიების უფლების მოსაპოვებლად. ტენდერის შედეგები 28 ნოემბერს გახდება ცნობილი. როგორც შარშან, წელსაც სააგენტო ეძებს ინვესტორს, რომელიც ნავთობსაძიებო სამუშაოებს ამერიკული "რამკოს" მიერ ამ ორი წლის წინ დაწუნებულ ტერიტორიაზე ჩაატარებს.*




**საქართველოს სალიცენზიო ტერიტორიები:**

**I** – შავი ზღვის შელფი – გაუცემელი ტერიტორია;
**IIA** – შავი ზღვის შელფი – "ანადარკო";
**IIB** – შავი ზღვის შელფი – "ანადარკო";
**IIC** – შავი ზღვის შელფს მიღმა ზონა – სატენდერო ტერიტორია;
**IID** – შავი ზღვის შელფს მიღმა ზონა – სატენდერო ტერიტორია;
**III** – შავი ზღვის შელფი – "ანადარკო";
**IVA** – აფხაზეთის ზონა – გაუცემელი ტერიტორია;
**IVB** – აფხაზეთის ზონა – გაუცემელი ტერიტორია;
**V** – ქართულ-გერმანული ამხანაგობა "გეორგეროილი" ("საქნავთობის" ლიცენზიით);
**VIA** – საქართველოს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი";
**VIB** – საქართველოს ნავთობის ეროვნული კომპანია "სანავთობი";
**VIIA** – საქართველოს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი";
**VIIB** – ქართულ-გერმანული ამხანაგობა "გეორგეროილი" ("საქნავთობის" ლიცენზიით);
**VIII** – ბორჯომის რაიონი – **სატენდერო ტერიტორია;**
**IX** – ქართულ-ბრიტანული კომპანია "ჯეი-ქეი-ექსი";
**IXA** – გაუცემელი ტერიტორია;
**X** – **სატენდერო ტერიტორია** (დააბრუნა "რამკო"-მ);
**XA** – **სატენდერო ტერიტორია;**
**XIA** – საქართველოს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი";
**XIB** – ქართულ-შვეიცარიული კომპანია "იორის ველი" ("NPL"-ის ლიცენზიით);
**XIC** – ქართულ-კანადური კომპანია "კანარგო-ნორიო" ("კანარგოს" ლიცენზიით);
**XID** – ქართულ-კანადური კომპანია "კანარგო-ნაზვრევი" ("კანარგოს" ლიცენზიით);
**XIE** – ქართულ-კანადური კომპანია "კანარგო-ნინოწმინდა" ("კანარგოს" ლიცენზიით);
**XIF** - ქართულ-შვეიცარიული კომპანია "იორის ველი" ("NPL"-ის ლიცენზიით);
**XIG** – ქართულ-კანადური კომპანია "კანარგო-ნორიო" ("კანარგოს" ლიცენზიით);
**XIH** – ქართულ-კანადური კომპანია "კანარგო-ნორიო" ("კანარგოს" ლიცენზიით);
**XII** – ქართულ-ამერიკული "ფრონტერა ისტერნ ჯორჯია";
**XIII** – ქართულ-კანადური კომპანია "კანარგო-ნაზვრევი" ("კანარგოს" ლიცენზიით);
**XIV** – საქართველოს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი".

როგორც ჩანს, "კანარგო" საქართველოში ნავთობის დაძიება-მოპოვების ზრდას გეგმავს. კომპანიამ შარშანდელ ტენდერზე შვეიცარიული "ენ-პე-ელ"-ის მიერ დაბრუნებული ორი სალიცენზიო ბლოკის დამუშავების ნებართვა მიიღო. გარდა ამისა, ორი წლის წინ "კანარგო" "საქნავთობის" მიერ დატოვებულ ნორიო-საცხენისის ბლოკზეც შევიდა. როგორც ნავთობისა და გაზის მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს დირექტორმა გიორგი ითონიშვილმა დაგვიზუსტა, **"იქ "კანარგომ" ჰორიზონტალური ბურღვა ჩაატარა და კარგი შედეგიც მიიღო. წარმოიდგინეთ, ჰორიზონტალური ბურღვის დაწყების შემდეგ კომპანიამ ნავთობის მოპოვება დღე-ღამეში 10-დან 170 ტონამდე გაზარდა."**

შესაძლოა, სწორედ ეს იყოს იმის მიზეზი, რომ საქართველოში, მიმდინარე წლის 9 თვეში, ნავთობის მოპოვება 67 პროცენტით გაიზარდა. 2003 წლის 9 თვეში კომპანია "კანარგომ" ნავთობმოპოვება 97 პროცენტით გაზარდა, შვეიცარულმა "ენ-პე-ელ"-მა - 50, ხოლო "ფროტერამ" - 59 პროცენტით. სხვათა შორის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ "საქნავთობის" მოპოვება 14 პროცენტით შემცირდა.

სავარაუდოდ, კომპანია წელს სამოქმედო არეალს კიდევ უფრო გაიფართოებს. ნავთობისა და გაზის მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო ნავთობმოპოვების სამუშაოებზე უფლების მოსაპოვებლად ახალი ტერიტორიების გაცემას აპირებს.

ქართულმა მხარემ სატენდეროდ "რამკოს" მიერ დაწუნებული მეათე სალიცენზიო ბლოკი მოამზადა. ბლოკი ახმეტის, თელავის, სიღნაღის, ლაგოდეხის, გურჯაანის, ყვარლის, თიანეთის, დუშეთისა და ახალგორის რაიონებს მოიცავს. როგორც ცნობილია, "რამკომ" საქართველოს სალიცენზიო რუკაზე მეათე ბლოკად გამოყოფილ კახეთის ზონაში საძიებო სამუშაოების წარმოებისთვის 14 მილიონ დოლარამდე დახარჯა. ამ თანხაში ის ხარჯებიც შედის, რაც "რამკომ" პანკისის ხეობასთან ახლომდებარე ტერიტორიაზე საძიებო სამუშაოების ორგანიზებას მოახმარა. იგი ხეობაში განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა რეგიონი და უფრო უსაფრთხო ტერიტორიაზე გადაენაცვლა. მას შემდეგ კი, რაც მის მიერ გაბურღული ახალი ჭაბურღილიდან ნავთობი ვერ მიიღო, სამუშაოების გაგრძელება არაკომერციულად მიიჩნია და საქართველოდან გასვლა გადაწყვიტა. თუმცა, "რამკოს" მოღვაწეობას საქართველოში უკვალოდ არ ჩაუვლია. ნავთობის ნაცვლად კომპანიამ კახეთში წყალი იპოვა.

შარშანდელი ბლოკებიდან წელს ტენდერზე ისევ გავიდა ე.წ. "აჭარა-თრიალეთის" მერვე სალიცენზიო ბლოკი, რომელიც ბორჯომის რაიონს მოიცავს. მტკვრის აუზის ზედა წელი საქართველოში ჯერ კიდევ გამოუკვლევ რეგიონად ითვლება. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ნავთობი მდინარის მთელ სიგრძეზე იყოს. ბლოკი სპეციფიურია. ნავთობსაძიებო სამუშაოები აქ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული საგანგებო რეკომენდაციების დაცვით უნდა განხორციელდეს.

ტენდერზე გადის მეათე "ა" სალიცენზიო ბლოკიც. ის კავკასიონის სამხრეთ ფერდობის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს.

მოკლედ, სამივე სალიცენზიო ბლოკი, რომლებიც წელს ნავთობისა და გაზის მარეგულირებელმა სახელმწიფო სააგენტომ ტენდერზე გამოიტანა, ინვესტორს შარშანდელს აქეთ ამაოდ ელის. შარშან ამ ბლოკების ათვისებისათვის განაცხადი ორ კომპანიას – ქართულ "საქნავთობსა" და ქართულ-კანადურ "კანარგოს" ჰქონდა. **"სამწუხაროდ, მათ შარშან ვერ დააკმაყოფილეს სატენდერო პირობები, რის გამოც უარი მიიღეს,"** – განაცხადა გიორგი ითონიშვილმა "24 საათთან" საუბრისას. მისი თქმით, სააგენტომ წელს სატენდერო ნუსხაში არ შეიტანა კიდევ ორი სალიცენზიო ბლოკი – მეორე "გ" და მეორე "დ". ითონიშვილის განცხადებით, **"ჯერ "ანადარკომ", რომელიც შავი ზღვის შელფს ამუშავებს, უნდა განსაზღვროს თავისი შემდგომი სტრატეგია."**

## მდუმარე მისია

პირველი გვერდიდან

ფონდი, რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, 2003 წლის ბიუჯეტის ხარჯების შეკვეცასაც ითხოვდა და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია - 2004 წლის ხარჯების შემცირებას. მიზეზი მარტივია - საქართველოს ხელისუფლებიგან განსხვავებით, ფონდი ნათლად ხედავს, რომ მომავალ წელს საქართველოს ხელისუფლებას "საგარეო შემოდინებების" იმედი არ უნდა ჰქონდეს და, შესაბამისად, მათი გათვალისწინება ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროდ თავის მოტყუება იქნებოდა. ამიტომ, ბიუჯეტის დასაბალანსებლად ხარჯები უნდა შემცირდეს, ან საკუთარი შემოსავლები გაიზარდოს.

ცხადია, რომ წინასაარჩევნოდ საქართველოს ხელისუფლება მომავალი წლის ისედაც მცირესახსრებიანი ბიუჯეტის ხარჯების შემცირებაზე ვერ წავიდოდა - მას ხომ მომავალი წლის ბიუჯეტიდან (როგორც სხვადასხვა სახელისუფლებო უწყებების, ისე რეგიონების ხელმძღვანელობების მისამართით) გარკვეული ფინანსური გარანტიები აქვს გაცემული, რაც საარჩევნოდ მათ მხარდაჭერას უზრუნველყოფს.

ამიტომ, მეორე გზა იქნა არჩეული და მთავრობამ, რომელმაც 2003 წლის ერთხელ უკვე კორექტირებული ბიუჯეტის ხარჯები 86 მილიონზე მეტით გაარღვია, მომავალ წელს შემოსავლების გაზრდის პასუხისმგებლობა აიღო თავზე:

**"ფონდთან მიღწეული შეთანხმებით, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში ხარჯების სტრუქტურა არ შეიცვლება, თუმცა პარლამენტში 30 სექტემბერს წარდგენილ ბიუჯეტის პროექტში შემოსავლების პარამეტრი 1,484 მილიონი ლარიდან 1,520 მილიონ ლარამდე გაიზრდება,"** - განაცხადა გუშინ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასიკო გიგოლაშვილმა. ეს გახლდათ თითქმის ერთადერთი კონკრეტული ციფრი, რომელიც ხელისუფლებისა და სავალუტო ფონდის "მდუმარე" მისიის შეხვედრების შემდეგ გახმოვანდა.

თუმცა ერთია - პასუხისმგებლობის აღება, მეორე - მისი შესრულების გარანტიების შექმნა. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ხელისუფლებას ასეთი გარანტიები მოსთხოვა და მიიღო კიდეც ჯერ კიდევ არსებული საგადასახადო შეღავათების გაუქმების, ანუ საგადასახადო წნეხის დამძიმების პირობა.

ეს არის მთავარი შედეგი ამჟამინდელი მისიის ვიზიტისა. ამას გარდა, ფონდმა, ცხადია, სხვა პირობების შესრულებასაც გადახედა და "აღმოაჩინა", რომ ისევ არ არის შესრულებული სამ მსხვილ სახელმწიფო საწარმოში აუდიტის ჩატარების მოთხოვნა, არადამაკმაყოფილებელ დონეზეა ელექტროენერგიის გადასახადის ამოღების მაჩვენებელი, მისაღებია მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები…

გარდა საგადასახადო შეღავათების გაუქმებისა, სსფ-ს ექსპერტებმა საქართველოს ხელისუფლებას საბაჟო კანონმდებლობის "ოპტიმიზაციაც" ურჩიეს და წარმომადგენლებიც დატოვეს საბაჟოში მიმდინარე რეფორმის მონიტორინგის საწარმოებლად. მისიამ ასევე მოითხოვა "აგრობიზნესბანკის" პრივატიზების განხორციელება. სავალუტო ფონდის რეკომენდაციით, ამ ბანკის პრივატიზაცია ჯერ კიდევ 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირების პროექტშიც იყო გათვალისწინებული, მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ პროექტის დამტკიცება საქართველოს პარლამენტის საგანგებო სესიაზე ვერ მოხერხდა. ბანკის პრივატიზებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ისიც აფერხებს, რომ ბანკის ზედამხედველობას საქართველოს მთავრობა და ევროგაერთიანება ახორციელებენ, ობიექტის პრივატიზაციისთვის კი ორივე მათგანის თანხმობაა საჭირო. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში „აგრობიზნესბანკი" 2004 წელს საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში შევა და მისი პრივატიზაციიდან მომავალ წელს სახელმწიფო ბიუჯეტი 5 მილიონ ლარს მიიღებს.

მოკლედ, ასეთია დღევანდელი შედეგი, თუმცა, სავარაუდოდ, ნოემბრის მისიის დროს დღეს არსებული პოლიტიკური ფონი ნაწილბრივ მაინც მოხსნილი იქნება და სავალუტო ფონდისა და საქართველოს ხელისუფების მოლაპარაკებების შედეგებიც უფრო ახლოს იქნება ქვეყნის ეკონომიკაში რეალურად შექმნილ სიტუაციასთან.

ყველაფერი ზემოთქმულის მიუხედავად, დღეს საქართველოს ხელისუფლება მაინც ოპტიმისტურად არის განწყობილი. იგი ვარაუდობს, რომ სსფ-ს მომავალი დასკვნა დადებითი იქნება და საქართველოს პარიზის კლუბის წევრთა წინაშე არსებული დავალიანების გასტუმრება არ მოუწევს. ეს არც არის გათვალისიწნებული მომავალი ბიუჯეტის პროექტში.

## რა ემართება "სონის?"

ადამ მჭედლიძე

როცა რამდენიმე დღის წინ "სონიმ" 20 ათასი თანამშრომლის (მთელი შტატის 13 პროცენტი) დათხოვნის შესახებ განაცხადა, ყველასათვის - როგორც საქმიანი, ისე არასაქმიანი სამყაროსათვის - აშკარა გახდა, რომ იაპონურ გიგანტს მძიმე დღეები უდგას. მაგრამ ეს დღეები ერთბაშად არ მოსულა.

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მეორე კვარტალი კომპანიისათვის და მის ინვესტორთათვის ნამდვილ კოშმარად იქცა, მიმომხილველებმა "სონის" არნახული ზარალი "აპრილის შოკად" მონათლეს როცა ორი დღის განმავლობაში აქციები 25 პროცენტით გაუფასურდა. ხოლო როცა ვითარება არც მესამე კვარტალში გამოსწორებულა, ცხადი გახდა, რომ კომპანიას გადამწყვეტი ნაბიჯები უნდა გადაედგა.

ეს ნაბიჯები კი ასეთი იქნება: იხურება ფინანსური მომსახურების შტო, კორეაში უპირველეს მეტოქესთან, "სამსუნგთან" ერთად იწყება მუშაობა ბრტყელეკრანიან ეკრანებზე. თანამშრომლების გათავისუფლებაზე უკვე მოგახსენეთ.

რამ მიიყვანა "სონი" აქამდე. ერთის მხრივ ამ ლეგენდარული მარკის კომპიუტერები და მობილურები კარგად იყიდება (თუკი არ ჩავთვლით წაგებაზე მომუშავე ერთობლივ პროექტს "ერიქსონთან" ერთად). მაგრამ ამავე დროს აშკარაა, რომ აუდიო-ვიზუალურ ბაზარზე კომპანიას ერთობ გაუჭირდა. თვით "პლეისტეიშენის" გაყიდვებიც კი გამძაფრებული კონკურენციის ბოლო დროს დიდ პრობლემებს აწყდება. ვერც "სონის" ჰოლივუდური განყოფილება ბრწყინავს. განსხვავებით "უორნერისა" თუ "უნივერსალისაგან" იაპონური გიგანტის კუთვნილი "კოლამბია" ბოლო დროს ბლოკბასტერებით ვერ დაიკვეხნის.




*"სონის" მძიმე დღეები უდგას.*

"ჩვენ მოვდუნდით და მოთხოვნილებას ფეხს ვერ ვუწყობთ," - აღიარებს "სონის" მთავარი აღმასრულებელი ნობუიუკი იდეი. მისივე თქმით, "სამსუნგის" ბოლოდროინდელი აღმავლობის მიზეზი სწორედ ისაა, რომ კორეული კომპანია მოთხოვნილებას წინ უსწრებს. "სამსუნგი" უკვე აშკარად ჩაგრავს "სონის" აუდიოვიზუალურ ბაზარზე. ასევე დიდი უპირატესობა აქვს კორეულ გიგანტს მობილურების ბაზარზე, მაგრა, "სონის" მდგომარეობას აქ ის გარემოება ამსუბუქებს, რომ იაპონური კომპანიის კოზირი მობილურები არასოდეს ყოფილა. "სამსუნგის" საქონელი, სხვა ყველაფერთან ერთად, "სონის" სიიაფითაც ჩაგრავს.

თუკი ბოლო ათწლეულების მანძილზე "სონის" მარკა მაღალი ხარისხის ლამის ერთადერთი მყარი გარანტია იყო, ახლა ვითარება მკვეთრად შეიცვალა. ხარისხის გარანტად იქცნენ არა მხოლოდ "სამსუნგი," არამედ იგივე "ელჯი" და იაპონური "მაცუშიტას" კუთვნილი მარკები "პანასონიკი" და "ტექნიკსი." მაშინ როცა "მაცუშიტამ" დივიდი პლეიერების ბაზრის ნახევარი მიიტაცა და მიმდინარე წლის მეორე-მესამე კვარტალში ამ კომპანიის მოგება 31 პროცენტით გაიზარდა, იმავე პერიოდში "სონის" მოგებები 66 პროცენტით დაეცა.

ყველაფერი ალბათ იმის გამო, რომ "სონი" სტაბილურმა წარმატებებმა მოადუნა. ამგვარი რამეები ხშირად ხდება და ძალიან ხშირად სავალალო შედეგებითაც მთავრდება. მაგალითად "პოლაროიდის" გაკოტრებაც იკმარება.

მოკლედ

### დღეს მეცხრე ბლოკს ჩართავენ

"თელასის" "რაოელი" მენეჯერები დღეს თბილსრესის მეცხრე ენერგობლოკის ამოქმედებას გეგმავენ. ბლოკის ტესტირება უკვე დასრულდა. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ენერგობლოკი სისტემას პიკის დროს 280 მეგავატ სიმძლავრეს შეჰმატებს. შეგახსენებთ, რომ ბლოკის ტესტირებამ "სიმენსის" სპეციალისტთა თანდასწრებით ჩაიარა. **24 საათი**

### თბილგაზი რეპრესიებს იწყებს

გუშინ "გამოჩენილი თვითნებობის გამო" "თბილგაზის" მმართველმა "ახალმა მენეჯმენტმა" "ლაგუნა-ვერეს" სასამართლოში უჩივლა. "თბილგაზმა" დავალიანების მქონე მსხვილი საწარმოებისა და ორგანიზაციების მასობრივი გამორთვებიც დაიწყო. გაზი შეუწყდა კომპანიის 19 ურჩ გადამხდელს. "თბილგაზში" განაცხადეს, რომ გამორთულ 19 ორგანიზაციას, საერთო ჯამში, "თბილგაზის" მიმართ 1 280 000 ლარი მართებს. ამ ორგანიზაციებს შორის არიან ს/ს "ამალთეა", ს/ს "ბაგრატიონი 1882", ს/ს ელექტროტექნიკური ქარხანა, სამშენებლო ტრესტის N26-ე ფილიალი, საგზაო კომპანია "თბილისი წარმოება-1", შპს "შხარა", მე-2 სამშობიარო სახლი, "ლაგუნა-ვერე", ოპერისა და ბალეტის თეატრი, შპს "მშენებელი" და სხვა. "ახალი მენეჯმენტი" მზად არის, დავალიანების მქონე ყველა ორგანიზაციასთან ვალის გასტუმრების ინდივიდუალური გრაფიკი შეიმუშაოს. "თუ ურჩი გადამხდელები მოლაპარაკებებზე არ წამოვლენ, გაზმომარაგება არ აღდგება," - განაცხადეს კომპანიაში. **ინტერ-პრესი**

### თბილისის გაზიფიკაცია შეჩერდა

თბილისელები ბუნებრივი აირის სახლებში შეყვანას 10 ნოემბრამდე ვეღარ შეძლებენ. სააქციო საზოგადოება "თბილგაზის" მმართველმა "ახალმა მენეჯმენტმა" ბრძანება გამოსცა, რომლის მიხედვითაც, 10 ნოემბრამდე თბილისში ყველა სახის გაზიფიცირება აიკრძალა. როგორც "თბილგაზში" განაცხადეს, დედაქალაქში გაზიფიკაცია ტექნიკური ნორმების დარღვევით მიმდინარეობდა, რაც მოსახლეობის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდა. "შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელიც გაზიფიცირების ახალ ნორმებს დაადგენს. გადაისინჯება გაზიფიცირების აქამდე მოქმედი ტარიფები. არ არის გამორიცხული, მოსახლეობამ 10 ნოემბრიდან სახლებში ბუნებრივი აირის შეყვანა შეღავათიან ფასებში შეძლოს," - განაცხადეს კომპანიაში. უბნებში, სადაც გაზიფიცირება დაწყებულია, სამუშაოებს "თბილგაზის" სპეციალისტები დაასრულებენ. კომპანია მოსახლეობას მოუწოდებს, რომ არ ენდონ იმ 164 ლიცენზიანტს, რომლებსაც ბინებში ბუნებრივი აირი შეჰყავთ. 10 ნოემბრიდან მოსახლეობა გაზიფიცირების საფასურს უკვე ბანკებში გადაიხდის. თბილისის საკრებულოს მიერ მიმდინარე წლის თებერვალში მიღებული გადაწყვეტილებით, დედაქალაქში გაზიფიცირება ისედაც აკრძალული იყო, თუმცა ამ ბრძანებას არავინ ემორჩილებოდა. **ინტერ-პრესი**

### აფხაზები ენგურჰესის რეაბილიტაციას თავად აპირებენ

"ენგურჰესისა" და "ვარდნილჰესის" კასკადებზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს ქართველი და აფხაზი ენერგეტიკოსები განახორციელებენ. აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სახელმწიფო საწარმო "ჩერნომორენერგოს" გენერალური დირექტორი სერგეი ბალაფში გაკვირვებას გამოთქვამს 16-17 ოქრომბერს თბილისში გამართული რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ფორუმის ერთ-ერთი მონაწილის, რუსეთის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარის არკადი ვოლსკის განცხადების გამო, რომლის თანახმად, რუსეთის 300 ენერგეტიკოსი მზადაა, ჩავიდეს აფხაზეთში და "ენგურჰესზე" სარემონტო სამუშაოები დაიწყოს. ბალაფშის განმარტებით, მას შემდეგ, რაც სექტემბრის ბოლოს რუსული "რაო ეეს როსიი"-სა და გერმანელი სპეციალისტები ვითარებას ადგილზე გაეცნენ, "ენგურჰესზე" სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება არც ერთ დონეზე არ მიღებულა. მისივე მტკიცებით, ქართული და აფხაზური მხარეები ჰიდრო და ელექტროტექნიკური სამუშაოების ჩატარებისათვის სპეციალისტების ნაკლებობას არ განიცდიან და სამუშაოების დაწყების შემთხვევაში მათ ძირითად ნაწილს სწორედ ისინი შეასრულებენ. ამასთან, მან რეაბილიტაციის პროცესში რუსი და გერმანელი სპეციალისტების მონაწილეობა არ გამორიცხა, თუმცა აღნიშნა, რომ მათი რაოდენობა, სავარაუდოდ, მინიმალური იქნება. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** რუსი და აფხაზი სპეციალისტები აფხაზეთში ჩაის კულტურის აღორძინების ერთობლივ პროგრამას შეიმუშავებენ. კრასნოდარის მხარე აფხაზეთის ჩაის წარმოებაში ინვესტიციებს დააბანდებს. ამგვარი გადაწყვეტილება თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვიტალი სმირმა და კრასნოდარის მხარის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ევგენი შულიკმა გულრიფშისა და ოჩამჩირეს რაიონებში ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების მონახულების შემდეგ მიიღეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის ინციატივით სახელმწიფო კანცელარიაში გამართული შეხვედრა გუბერნატორების და "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ხელმძღვანელობის ურთიერთშეთანხმებით დასრულდა. რეგიონები ელექტროენერგიას გადახდის მაჩვენებელის შესაბამისად მიიღებენ. გუბერნატორების მხრიდან ერთადერთი პრეტენზია კომპანიის ფილიალების ხელმძღვანელების მიმართ გამოითქვა. რაც შეეხება არჩევნებს, თბილისი ელექტროენერგიას უწყვეტი გრაფიკით მიიღებს, ხოლო რეგიონებში 24-საათიანი ელექტრომომარაგებით მხოლოდ საარჩევნო უბნები იქნებიან უზრუნველყოფილნი. როგორც სორნტონმა განმარტა, იმ რაიონებში და სოფლებში, სადაც მოხდება გამხოლოება, უბანი ელექტროენერგიას მიიღებს, მაგრამ სადაც ეს ვერ მოხერხდება, მთლიანად რაიონი ან სოფელი მაინც არ ჩაირთვება. ასეთ ადგილებში კომპანია უბნებს გენერატორების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით უზრუნველყოფს. **ინტერ-პრესი**

მოკლედ

## ჯორჯ ბუში: ერაყში შიშის ატმოსფეროს შექმნით ვერ შეგვაშინებენ

აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ერაყში ბოლო დღეებში მომხდარი ტერაქტების სერიას გამოეხმაურა. მისი თქმით, ამერიკას ვერ შეაშინებენ ისინი, ვინც ერაყში "შიშის ატმოსფეროს" შექმნას ცდილობს. ტრაგიკული მოვლენების ორგანიზატორები აშშ-ს პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინის ერთგულ თანამებრძოლებად მონათლა. ამასთანავე, მან აღნიშნა, რომ ამ მოვლენებში უცხო ქვეყნების ტერორისტებიც მონაწილეობენ. მან პარალელი გაავლო ერაყში მოქმედ კამიკაძე-ტერორისტებსა და 11 სექტემბრის ტრაგედიის მონაწილეებს შორის. **"მათ ერთნაირი იდეოლოგია გააჩნიათ: ჩვენ უდანაშაულო ადამიანებს დავხოცავთ და ვნახოთ, აშშ და მისი მეგობრები შექმნილ სირთულეებს როგორ გაუმკლავდებიან,"** - განაცხადა ბუშმა.

მან, ამავე დროს, აღნიშნა, რომ ვაშინგტონმა სირიას და ირანს უკვე ნათლად გააგებინა, რომ მათ უნდა აღკვეთონ ერაყის საზღვარზე უცხოელი ტერორისტების გადასვლა.

ამასობაში, ერაყში ვითარება სულ უფრო და უფრო დრამატულ ხასიათს იძენს. გუშინ აქ უკრაინელი სამშვიდობო ძალების პატრულზე ძლიერი თავდასხმა განხორციელდა, რის შედეგად შვიდი უკრაინელი დაიჭრა; მოსულში დაუდგენელმა პირებმა აშშ-ს პატრულს ცეცხლი გაუხსნეს. ამჯერად ეს თავდასხმა მსხვერპლის გარეშე დასრულდა; ქალაქ ფალუჯაში კამიკაძე-ტერორისტმა ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული ავტომანქანა ააფეთქა, რასაც ხუთი მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე შეეწირა.

ამავე დროს, სააგენტო "ბიბისიმ" გამოაქვეყნა ერაყის ომის დროს დაღუპულ ერაყელთა რაოდენობა. ამ მონაცემების თანახმად, საბრძოლო ოპერაციების ყველაზე ცხელი ფაზის პერიოდში, ერაყში 13 ათასი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის - 4300 მშვიდობიანი მაცხოვრებელი იყო. სააგენტო "ბიბისიმ" ეს ინფორმაცია ამერიკულ კვლევით ჯგუფზე დაყრდნობით გაავრცელა.

## ავღანეთში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომლები მოკლეს

გუშინ აშშ-ს ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ ოფიციალური განცხადება გააკეთა, სადაც ნათქვამია, რომ ავღანეთში ამ უწყების ორი თანამშრომელი მოკლეს. განცხადებაში ნათქვამია, რომ სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომლების მკვლელობა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ავღანეთის რიგ რაიონებში "თალიბანის" მებრძოლები კვლავ აგრძელებენ მოქმედებას. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს განცხადებით, მათი თანამშრომლები შაბათს დაიღუპნენ. 43 წლის უილიამ კარლსონი და 32 წლის კრისტოფერ გლენ მიულერი "თალიბანის" წევრების ალყაში მოხვდნენ. ორივენი ამერიკული სპეცრაზმის ვეტერანები იყვნენ და ავღანეთში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს კონტრაქტით იმყოფებოდნენ. კარლსონიც და მიულერიც სადაზვერვო სააგენტოს ოპერატიულ დირექტორატს ექვემდებარებოდნენ. ეს დანაყოფი კი საიდუმლო აგენტურული ოპერაციების დაგეგმვითა და განხორციელებით არის დაკავებული.

უნდა ითქვას, რომ ეს ავღანეთში ამერიკელი მზვერავების დაღუპვის პირველი შემთხვევა არ არის. 2001 წლის 25 ნოემბერს მაზარი-შარიფში, დატყვევებული "თალიბების" და "ალ-ქაიდას" მებრძოლების ამბოხების შედეგად, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომელი ჯონ მაიკლ სპენი დაიღუპა.

ამერიკული დაზვერვის უწყება ამჯერად იტყობინება, რომ მისი დაღუპული კონტრაქტორი თანამშრომლები სოფელ შკინში ტერორისტების შესახებ სადაზვერვო ცნობებს აგროვებდნენ. საუბარი შეეხება პაკისტან-ავღანეთის სასაზღვრო რაიონს, სადაც დაუდასტურებელი ინფორმაციით, ოსამა ბინ ლადენი და "თალიბანის" ლიდერი მოლა ომარი აფარებენ თავს. სოფელი შკინი კი პაქტიკას რაიონში მდებარეობს. ეს არის ტერიტორია, სადაც, გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილის ჟან-მარი გუენის განცხადებით, თალიბებმა გარკვეული კონტროლი აღადგინეს.

# ავღანური ნარკოტიკები - რუსეთის უდიდესი საფრთხე

ლევან ღირსიაშვილი


ავღანელი ფერმერების მიერ მოყვანილი ოპიუმი რუსეთისთვისაც მზადდება.

REUTERS

გაერო-ს ნარკოტიკებთან და დამნაშავეობასთან ბრძოლის სააგენტოს აღმასრულებელმა დირექტორმა ანტონიო მარია კოსტამ ყოველწლიური მოხსენება წარადგინა, რომელიც ავღანეთში 2003 წლის ოპიუმის მოსავალს და გავრცელებას შეეხება. ანტონიო მარია კოსტამ აღნიშნული მოხსენება მოსკოვში გააკეთა, რაც არც თუ შემთხვევითია. ავღანური ნარკოტიკების კოლოსალური რაოდენობით, პირველ რიგში, სწორედ რუსეთის მოსახლეობა ზარალდება.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ნარკოტიკების საერთო ბრუნვის 80 პროცენტი ავღანური წარმოშობისაა და რუსეთის ფედერაციაში ტაჯიკეთის გავლით აღწევს. **"ნარკომანია რუსეთისათვის შედარებით ახალი პრობლემაა, რომელმაც ძალის მოკრება არც თუ დიდი ხნის წინ დაიწყო. დასაწყისში რუსეთი გადასაზიდ პუნქტს და ევროპაში ნარკოტრაფიკის მარშრუტს წარმოადგენდა, მაგრამ ჩვენ ისტორიიდან კარგად ვიცით, რომ ის ქვეყნები, რომლებიც თავდაპირველად ნარკოტრაფიკის მარშრუტს წარმოადგენენ, ძალიან სწრაფად ვითარდებიან, როგორც ნარკოტიკების მომხმარებელი ქვეყნები,"** - განაცხადა ანტონიო მარია კოსტამ.

მისი თქმით, თავის დროზე ავღანეთის თალიბურ რეჟიმს საერთაშორისო თანამეგობრობის წევრები ბრალს სდებდნენ იმაში, რომ ავღანეთი ოპიუმის წარმოების მსოფლიო ცენტრად გადაიქცა. ნარკოტიკების წარმოებამ ამ ქვეყანაში 2000 წელს პიკს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ამ მსოფლიო სენთან ბრძოლის გაერო-ს სააგენტოს ხელმძღვანელი ნარკობიზნესის წინააღმდეგ ავღანეთის ამჟამინდელი ხელისუფლების აქტიურობას პრეზიდენტ ჰამიდ კარზაის მეთაურობით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, აშკარაა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევის გარეშე ამის მიღწევა წარმოუდგენელია. **"რა შეიძლება გაკეთდეს ოპიუმის წარმოების აღკვეთისათვის? აქ ორი კომპონენტი არსებობს. პირველი, ეს არიან ფერმერები, რომლებსაც ყაყაჩო მოჰყავთ და მეორე - ნარკობარონები. აუცილებელია ფერმერთა დარწმუნება იმაში, რომ მათ სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოებას მიჰყონ ხელი. საერთაშორისო თანამეგობრობამაც, ერთის მხრივ, მათზე ზეწოლა უნდა მოახდინოს, ხოლო მეორეს მხრივ, უნდა დაეხმაროს. რაც შეეხება ნარკოდილერებს, აქ თავისი სიტყვა კანონმა უნდა თქვას,"** - აცხადებს ანტონიო მარია კოსტა.

მისი თქმით, კოალიციის ძალებმა მხოლოდ ახლა, ანუ ავღანეთში შესვლიდან ორი წლის შემდეგ დაიწყეს ზრუნვა არასამხედრო საკითხების მოსაწესრიგებლად. ანტონიო მარია კოსტა აღნიშნავს, რომ ნარკოტიკებთან და სხვა სახის დანაშაულებთან ბრძოლაში აუცილებელია კოალიციის სამხედრო დანაყოფების აქტიური ჩართვა. **"ერთი კვირის წინ გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელმაც მიიღო რეზოლუცია ავღანეთში სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაფართოების თაობაზე, რითაც მათ უფლება მიეცათ, ქაბულს გარეთაც იმოქმედონ,"** - განაცხადა მოხსენების ავტორმა.

მისი თქმით, რუსეთში, ისევე როგორც ავღანეთში, აუცილებელია კანონების გამკაცრება. ამასთანავე, ნარკობიზნესთან ბრძოლაში აქტიურად უნდა ჩაერთონ საზოგადოების ფართო ფენები, ახალგაზრდობაში უნდა გაძლიერდეს ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა და ა.შ.

თუმცა საეჭვოა, ასეთი ზომების გატარებით, რუსეთში ავღანური ნარკოპარტიების შეღწევა მოხერხდეს, რომელიც სხვადასხვა ექსპერტული შეფასებებით, წლის ბოლოს არნახულ მასშტაბებს მიაღწევს. რუსეთის უდიდესი ბაზრის დაკარგვას კი საერთაშორისო ნარკობარონები არაფრის დიდებით არ დაუშვებენ. თანაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ნარკობარონების უკან ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მოკალათებული მაღალჩინოსნები დგანან, ამ საფრთხის შემცირებას უახლოეს მომავალში არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია.

## ერთი დაღუპული, ერთი დაკარგული და 11 გადარჩენილი მაღაროელი


ერთ-ერთი გადარჩენილი მაღაროელი.

REUTERS

როსტოვის ოლქში "ზაპადნაიას" მაღაროში სამაშველო სამუშაოები დასრულდა. მაშველებმა მიწის ზედაპირზე 12 მაღაროელი ამოიყვანეს, რომელთაგან ერთი უკვე გარდაცვლილია. დაკარგულად ითვლება კიდევ ერთი მაღაროელი, რომლის მოსაძებნად სამუშაოები გრძელდება. ყველა გადარჩენილი მუშა მაღაროდან თავისი ფეხით გამოვიდა. მათ დასახვედრად მაღაროსთან სასწრაფო დახმარების მანქანები იყო მობილიზებული. ექიმების თქმით, ზოგიერთ მაღაროელს სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია და მკურნალობა ესაჭიროება. მაღაროელებმა მიწის ქვეშ ექვსი დღე-ღამე დაჰყვეს.

როგორც ცნობილია, ავარია მაღაროში გასულ ხუთშაბათს, საღამოს მოხდა, როდესაც მაღაროში წყლის დიდი ნაკადი შევარდა. 25-მა ადამიანმა მიწის ზედაპირზე ამოსვლა მაშინვე მოასწრო, ხოლო 46 მაღაროელი 750 მეტრის სიღრმეზე ბლოკირებული დარჩა. შაბათს მაშველებმა 33 მაღაროელი ამოიყვანეს.

გუშინვე ინციდენტი მოხდა პრიმორიეს "ცენტრალურ" მაღაროშიც, რომელიც მეთანის აირის აფეთქების შედეგად ჩამოინგრა და მიწისქვეშ რამდენიმე მაღაროელი აღმოჩნდა, თუმცა ამჯერად, მათი ამოყვანის ოპერაცია გუშინვე წარმატებით დასრულდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით პროკურატურაში უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. სამართალდამცავებმა მაღაროში უსაფრთხოების წესების არასრულყოფილად დაცვა უნდა გამოიძიონ.

# "პუტინი ელცინის მავნე მემკვიდრეობისაგან თავისუფლდება"

პირველი გვერდიდან

ოთხშაბათს რუსეთის პროკურატურამ სთხოვა რუსეთის პარლამენტის ზედა პალატას, უკანონოდ სცნოს ვასილი შახნოვსკის არჩევა და მოუხსნას მას იმუნიტეტი. შახნოვსკი "იუკოსის" აქციების 4,5 პროცენტს ფლობს. მას გადასახადების დამალვაში ედება ბრალი.

რუსეთის პოლიტიკურ წრეებში ცნობილია, რომ ფედერაციის სუბიექტთა წარმომადგენლები ფედერაციათა საბჭოში სწორედ კერძო კაპიტალისა და მსხვილი ბიზნესის ინტერესების ლობირებისთვის სხედან. მათი უმრავლესობა შესაბამისი კანონების მიღებით ოლიგარქთა საქმეებს კანონიერ, სამართლებრივ ველში აქცევს. ამიტომ, რუს პოლიტოლოგთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო შეიძლება თავად იქცეს წინასწარი ძიების იზოლატორად.

"პრეზიდეტის ბოლოდროინდელი ქმედებები და განცხადებები აშკარად მიანიშნებენ, რომ ქვეყანაში ნამდვილი "სასამართლო რეფორმა" დაიწყო – ერთის მხრივ, პრეზიდენტი აცხადებს, რომ იგი ქვეყნის სამართალდამცავ სისტემაში ვერ ჩაერევა, მისი საქმეები კი საპირისპიროზე მეტყველებენ. "იუკოსის" ირგვლივ შექმნილმა აჟიოტაჟმა პუტინის ამომრჩეველი უნდა დაარწმუნოს, რომ წარსული მემკვიდრეობისაგან გათავისუფლება მისი პროგრამაა," - განაცხადა "24 საათთან" საუბარში რუსეთის ფონდ "პოლიტიკას" პრეზიდენტმა ვიაჩესლავ ნიკონოვმა.

ალექსანდრ ვოლოშინი ელცინის ოჯახის უკანასკნელი მოჰიკანია, რომელიც "კრემლის ოჯახის" ინტერესებისა და ბორის ელცინის ხელშეუხებლობის გარანტი იყო. ალექსანდრ ვოლოშინის გადადგომაზე მოსკოვში ჯერ კიდევ გასულ შაბათს ალაპარაკდნენ, როცა მიხაილ ხოდორკოვსკის დაპატიმრების ინფორმაცია გავრცელდა. მოსკოველი ანალიტიკოსების აზრით, კრემლიდან რუსეთის მსხვილი ბიზნესის პირველი ლობისტების - ვოლოშინისა და მისი მოადგილის სურკოვის წასვლა და პეტერბურგელი ჩეკისტებით მათი ჩანაცვლება ქვეყანაში დაწყებული სამხედრო-პოლიციური სახელისუფლებო ვერტიკალის გაძლიერებას ემსახურება.

მოსკოველი პოლიტიკოსები კრემლის ადმინისტრაციის უფროსის გადადგომის შესახებ დაუდასტურებელმა ინფორმაციამ ორ ბანაკად გახლიჩა. რუს მემარჯვენეთა ლიდერი ბორის ნემცოვი მოსკოვში ჟურნალისტებს ეუბნება, რომ "პრეზიდენტს, სამწუხაროდ, არ სჭირდება დემოკრატიულ ძალებთან და ბიზნესმენებთან შეხვედრა, რადგანაც გიგანტურ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებს, ეს კი მოახლოებულ არჩევნებზე უარყოფითად იმოქმედებს." რუსი მემარჯვენეები ალექსანდრ ვოლოშინის კრემლიდან წასვლას ტოტალიტარული სახელმწიფოს ფუნდამენტის გამაგრებას უკავშირებენ. სამაგიეროდ, პუტინის რადიკალური ნაბიჯები, კერძოდ, კრემლის ადმინისტრაციაში პეტერბურგელი ჩეკისტებისა და პუტინის პირადი მეგობრების ნაცადი არმიის მოყვანა ახარებს რუს კომუნისტთა ლიდერს. გენადი ზიუგანოვი ბოლომდე პრეზიდენტის ოპოზიციაში კი რჩება, მაგრამ ბოლშევიზმის იდეებისადმი ქედის მოუხრელობაც არ შეუძლია. ძველი პრეზიდენტის გარემოცვისაგან გათავისუფლებამ რუს პოლიტოლოგებს გაახსენა თავის დროზე ელცინის პირადი მცველის კორჟაკოვისა და კრემლის უშიშროების სამსახურის უფროსის ბარსუკოვის ჩაშლილი პუტჩი, რომელთაც ოლიგარქთა დაპატიმრების მცდელობა ჩაუვარდათ. ამ მოვლენას რუსეთში ანატოლი ჩუბაისისა და ელცინის გარემოცვის აღზევება მოჰყვა. აი, სწორედ ასეთი მემკვიდრეობისაგან გათავისუფლებას ლამობს დღეს პრეზიდენტი პუტინი. პოლიტოლოგი ნიკონოვი სვამს ლოგიკურ შეკითხვას, გაჰყვება თუ არა ხალხი საკუთარ პრეზიდენტს? "ქვეყანაში ვლადიმირ პუტინის მზარდი რეიტინგი ამ შეკითხვაზე კარგი პასუხია. პუტინი ტიპური "ხალხის რჩეულია".

რაც შეეხება ვოლოშინის გადადგომას, ოფიციალური კრემლი ამას უარყოფს და აცხადებს, რომ ადმინისტრაციის უფროსი, ჯერ-ჯერობით, არსად წასვლას არ აპირებს.

## ამერიკა ირანთან დიალოგს იწყებს

ამერიკასა და ირანს შორის ურთიერთობები, ბოლო დროს, მოულოდნელად დათბა. სახელმწიფო მდივნის მოადგილემ, არმიტიჯმა გუშინ ოფიციალურად განაცხადა, რომ ვაშინგტონის მიზანს თეირანში ხელისუფლების შეცვლა არ წარმოადგენს და რომ ვაშინგტონი თანახმაა, ირანთან დაიწყოს შეზღუდული დიალოგი ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე. ბოლო თვეების მანძილზე აშშ ირანთან ყოველგვარ კონტაქტზე უარს აცხადებდა. არმიტიჯიმა დასძინა, რომ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის საკითხი დღის წესრიგში არ დგას.

ბოლო დროს ირანმა რამდენიმე ისეთი ნაბიჯი გადადგა, რომლებიც აშკარად მიანიშნებდა ამერიკასთან პრობლემების მოგვარების სურვილზე. ჯერ იყო და, თეირანმა სცნო ერაყის მმართველი საბჭო, რომელიც ამერიკელების მიერაა დასმული, ამას მოჰყვა განცხადება, რომ თეირანი წყვეტს ურანის გამდიდრებას და თანახმაა, გაერო-ს ატომურ სააგენტოსთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობაზე, შემდეგ, უკვე მოულოდნელად, ირანის წარმომადგენელი მადრიდის დონორთა კონფერენციაზეც გამოჩნდა და განაცხადა, რომ თეირანს სურს, თავისი წვლილი შეიტანოს ერაყის აღდგენის საქმეში, ბოლოს კი ირანის ხელისუფლებამ მის მიერ დაკავებულ "ალ-ქაიდას" წევრთა სია გაერო-ს გადასცა.

ამერიკელი მაღალჩინოსნების აზრით, მართალია, ეს ნაბიჯები თავისი შინაარსით არც ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ წარმოადგენს მინიშნებას იმაზე, რომ ირანი თანამშრომლობისათვის მზადაა.

ამერიკასა და ირანს 1979 წლის შემდეგ დიპლომატიური ურთიერთობები არა აქვთ. აშშ აცხადებს, რომ ირანის მისწრაფება, შექმნას ატომური ბომბი და მისი მხარდაჭერა რადიკალური პალესტინური ორგანიზაციებისადმი, ურთიერთობების მოგვარებას შეუძლებელს ხდის. ბოლოს მათ შორის ვითარება წელს მაისში დაიძაბა, როდესაც ვაშინგტონმა განაცხადა, რომ საუდის არაბეთში მოწყობილი ტერაქტების უკან ირანი იდგა და მასთან ყოველგვარი კავშირები გაწყვიტა.

ორმხრივი უნდობლობა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ორი საერთო მტრის, "თალიბანისა" და სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ბრძოლამაც ვერ გაალღო ყინული.

ექსპერტთა ნაწილის აზრით, ირანთან დიალოგისაკენ ამერიკას ერაყში ვითარების გაუარესებამ უბიძგა. ერაყის მოსახლეობის დიდი ნაწილი შიიტია და მათზე ირანს გარკვეული გავლენა აქვს.

# რუსეთში წინასაარჩევნო რეგისტრაცია გაიარა 62 ათასამდე პირმა

პირველი გვერდიდან

- ბოლო თვეების მანძილზე, ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეები რუსეთში მყოფ ქართველ ამომრჩეველთა სხვადასხვა რაოდენობას ასახელებდნენ და ვარაუდობდნენ 150 ათასიდან 200 ათასამდე ხმას, მაგრამ რეალური სურათი სხვაა. რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, რუსეთის ფედერაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა 100 ათასს არ აღემატება. მათ შორისაა ადგილობრივ ორგანოებში რეგისტრირებული პირებიც. ეს მონაცემები, პრინციპში, ემთხვევა ჩვენი სათვისტომოების ინფორმაციას. 2000 წელს რუსეთში ჩატარებული აღწერით, ეთნიკურ ქართველთა რაოდენობა 700 ათასამდეა, ისინი რუსეთის მოქალაქეები არიან და, ბუნებრივია, ნოემბრის არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. საარჩევნო უბნები იქმნება რუსეთის იმ ქალაქებსა და რეგიონებში, სადაც საქართველოს მოქალაქეთა შესაბამისი რაოდენობაა. წინასაარჩევნო რეგისტრაცია გაიარა 62 ათასამდე პირმა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანს უნდა ველოდოთ არჩევნებზე. საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ნოემბრის არჩევნებში ერთი საარჩევნო უბანი 2 ათასზე მეტ კაცს ვერ მიიღებს. შესაბამისად, რუსეთის მთელ ტერიტორიაზე სულ გაიხსნება 31 საარჩევნო უბანი, აქედან 16 – მოსკოვში იქნება. რეგისტრირებულ პირთა სიები და მონაცემები საარჩევნო უბნების შესახებ დროულად გაიგზავნა ცესკოში. მათი გაცნობა არანაირ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

იმის გათვალისწინებით, რომ ახალი საარჩევნო კანონის მიხედვით დამატებითი სიები არ არის დაშვებული, მოსკოვში ამა წლის 19 ოქტომბრამდე საქართველოს მოქალაქეებს ჰქონდათ საშუალება, მისულიყვნენ საკონსულოში და გაევლოთ რეგისტრაცია. ხოლო ვისაც დააგვიანდა რეგისტრაცია, სამწუხაროდ, საარჩევნო კანონის თანახმად, არ ექნება არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

**- მიიღო თუ არა უკვე საქართველომ რუსეთის ტერიტორიაზე საარჩევნო უბნების გახსნის ოფიციალური, იურიდიული უფლება? თუ გრძნობთ მხარდაჭერას რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან?**

- რა თქმა უნდა! მე არც ვისაუბრებდი უბნების რაოდენობაზე, რომ არ გვქონდეს რუსეთის მხრიდან მიღებული ოფიციალური უფლება. რაც შეეხება მხარდაჭერას, მას ვგრძნობთ გახსნილ უბნებზე. უკვე ისმის ზარები რუსეთის შესაბამისი ორგანოებიდან, დახმარებას გვთავაზობენ.

**- დღეს ყველა არჩევნების გაყალბებაზე საუბრობს. რატომ გაჩნდა ეს ეჭვი? როგორი ელექტორატი ჰყავს საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს ამ მხრივ მოსკოვში? "რუსეთუმეები" სჭარბობენ, თუ აქაც ანტირუსული ვნებები მძვინვარებს?**

- ეჭვის გაჩენის მიზეზი შედეგების გაყალბებისადმი უნდა ვეძიოთ ჩვენს ცუდ მემკვიდრეობაში, მავნე ტრადიციებშიც და ერთგვარ უნდობლობაშიც. მაგრამ მოსკოვის გადასახედიდან ნათლად ჩანს, რომ, დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით, საქართველო არამც თუ ჩამორჩება, არამედ წინ უსწრებს დსთ-ს უმეტეს სახელმწიფოებს. კონკრეტული მაგალითების ჩამოთვლა ჩემგან შეიძლება უხერხული იყოს, მაგრამ თუ განვიხილავთ საერთო სურათს, ვფიქრობ, დასკვნების გამოტანა შესაძლებელი იქნება. რაც შეეხება რუსეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, ჩვენი საელჩოს ფუნქციებში შედის მხოლოდ საარჩევნო უბნების ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა. ხოლო, ვის დაუჭერენ მხარს ჩვენი თანამემამულეები, ეს მათი პირადი არჩევანია. ჩვენი აზრით, რუსეთში მყოფი ქართველი ამომრჩევლის წინასაარჩევნო განწყობილებანი დიდად არ განსხვავდება მთლიანად საქართველოს ელექტორატისაგან. საერთოდ, როგორც წესი, უცხოეთში მცხოვრები ამა თუ იმ სახელმწიფოს დიასპორა ერთგვარად თავად ამ სახელმწიფოს მინი-მოდელია. ამიტომაც, არა მგონია, არჩევნების შედეგები რუსეთში დიდად განსხვავდებოდეს საქართველოში ჩატარებული არჩევნების შედეგებისაგან. ალბათ, განსაკუთრებული ის იქნება, რომ რუსეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები, და ეს ბუნებრივიცაა, განსაკუთრებულად უჭერენ მხარს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას.

**- მოგეხსენებათ, რომ მოსკოვში საკმაოდ მრავლად არიან საქართველოს ხელისუფლებით უკმაყოფილო ძალებიც. ჩვენ, ჟურნალისტებს გვაქვს ინფორმაცია, რომ მოსკოვში და მოსკოვის ოლქში გარკვეული ძალები გეგმავენ საარჩევნო უბნების პიკეტირებას.**

- საარჩევნო უბნების დაცვას განახორციელებენ ჩვენი დაცვის წარმომადგენლები და რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები, რის შესახებაც მოლაპარაკებები მიმდინარეობს. რაც შეეხება პიკეტებს, ამის შესახებ ჩვენ ინფორმაცია არ გვაქვს. მინდა გამოვთქვა იმედი, რომ 2 ნოემბერს მოსკოვში არანაირ ექსცესებს არ ექნება ადგილი, რადგანაც ეს მთელი საქართველოს ინტერესებშია.

**- სხვადასხვა მონაცემებით, რუსეთში მცხოვრებ ბევრ ჩვენს თანამემამულეს ორი პასპორტი აქვს, ორმაგ მოქალაქეობას კი ორივე ქვეყნის კანონმდებლობა კრძალავს. როგორ იქნება ამ მხრივ საქმე არჩევნებზე? თუ ამ პროცესის გაკონტროლება არარეალურია?**

- მოგეხსენებათ, საქართველოს კანონმდებლობა არ უშვებს ორმაგ მოქალაქეობას, ამიტომაც საარჩევნო უბნებზე მოხდა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების რეგისტრირება იმ ინფორმაციის მიხედვით, რომელიც გააჩნია ჩვენს საკონსულოს და რომელიც მოგვაწოდა რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ

**- ბატონო ზურაბ, ჩვენი კანონმდებლობა საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოს თანამშრომელთა მონაწილეობასაც კრძალავს წინასაარჩევნო პროცესში...**

- რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს არც ერთი თანამშრომელი არ გახლავთ საარჩევნო კომისიის წევრი.

## ბაქო-ჯეიჰანს მსოფლიო ბანკიც დააფინანსებს

მსოფლიო ბანკი აპირებს, გამოყოს 250 მილიონი დოლარის სესხი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისათვის, – იუწყება გაზეთი "გარდიანი" მის ხელში ჩავარდნილ დოკუმენტებზე დაყრდნობით.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა სპეციალური 220-გვერდიანი დოსიე მოამზადეს, რომელშიც ნათქვამია, რომ ბაქო-ჯეიჰანი გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ბუნებას, გაზრდის ეროვნებათშორის დაძაბულობას და დააჩქარებს გლობალურ დათბობას. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მილსადენი არღვევდა მსოფლიო ბანკის 173 ინსტრუქციას და სთხოვდნენ ბანკს, სესხის გაცემაზე უარი ეთქვა.

"გარდიანის" ინფორმაციის თანახმად, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ ბანკის საბჭოს კრედიტის გაცემის თაობაზე რეკომენდაცია მისცა.

მილსადენის მოწინააღმდეგეთა წარმომადგენელი ანდერს ლუსტგარტენი აცხადებს: "სსფ-ს გადაწყვეტილება მოწმობს, რომ მისთვის მთავარი ნავთობკომპანიების ინტერესებია. მაშინ, როდესაც ერაყის რეკონსტრუქციის გამო, სხვა ქვეყნებში საერთაშორისო დახმარება მცირდება, სსფ ნავთობკომპანიებისა და აშშ-ს პოლიტიკური ინტერესების სუბსიდირებას ახდენს."

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია კი აცხადებს, რომ ნავთობიდან მიღებული შემოსავლები ხელს შეუწყობს აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში სიღარიბის დაძლევასა და მილსადენის გასწვრივ მცხოვრები მილიონობით ადამიანის კეთილდღეობის ამაღლებას. კორპორაციის მტკიცებით, პროექტი სოციალური და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვით ხორციელდება.

ოპონენტებს არგუმენტები არ ელევათ. "ბანკი არ ითვალისწინებს, რომ ქურთისტანის მუშათა პარტიამ უკან წაიღო თავისი განცხადება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და მილსადენი ერთ-ერთ სამიზნედ გამოაცხადა. ბანკმა კარგად უნდა იცოდეს, რომ დიდი შანსია, მათი ინვესტიცია კვამლში გაუჩინარდეს," – ამბობს ნიკოლას ჰილდიარდი, ბაქო-ჯეიჰანის თავგადაკლული მოწინააღმდეგე და "კორნერ ჰაუზის" წარმომადგენელი.

მსოფლიო ბანკმა მილსადენის მოწინააღმდეგე კოალიციის არგუმენტები დაუსაბუთებლად მიიჩნია. ახლა ჯერი ევროპის ბანკზეა, რომელმაც ბაქო-ჯეიჰანისათვის კიდევ 250 მილიონი დოლარის გამოყოფის საკითხი 11 ნოემბერს უნდა გადაწყვიტოს.

# "მის საქართველო" ბავშვთა სახლში



რა ახლოს ხარ, მის!

*მსოფლიოში უკვე ტრადიციად ქცეული, რომ სილამაზის კონკურსში გამარჯვებული გოგონები საქველმოქმედო აქციებში იღებენ მონაწილეობას. გუშინ "მის საქართველომ" ირინა ონაშვილმა მსოფლიო გამოცდილება ქართულ სინამდვილეში დანერგა და ბავშვთა სარეაბილიტაციო სახლებს "ბელურას" და "ცისარტყელას" მცხოვრებლები მოინახულა. "მის საქართველომ" დიზაინერ თათა ვარდანაშვილთან ერთად ბავშვებს იმიჯ-ცენტრის, "ორიფლეიმისა" და "ნესტლეს" მიერ დაწესებული საჩუქრები გადასცა.*

თამარ დვალი

რამ გადაგაწყვეტინა სილამაზის კონკურსში მონაწილეობის მიღება? რას გრძნობდი როცა შენი გვარი გამოაცხადეს? შვილები თუ გყავს? რამდენი წლის ხარ? – ეს იმ კითხვების ნუსხაა, რომლებსაც პატარები "მის საქართველოს" უსვამდნენ.

**"ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ასე ახლოს ვნახავდი "მის საქართველოს" და ავტოგრაფსაც ჩამოვართმევდი. ირინასთან სურათი გადავიღე და მიხარია, რომ ჩემს ამხანაგებს ვაჩვენებ, "** – გვითხრა 13 წლის მარიამ იარაჯულმა. მარიამი სარეაბილიტაციო ცენტრ "ცისარტყელაში" რამდენიმე წლის წინ შემთხვევით მოხვდა. **"ჩემი მშობლები სადგურზე ვაჭრობენ და სულ დაკავებულები არიან. ერთ დღეს ჩემი მეზობელი ქუჩაში იჯდა და წიგნს კითხულობდა, ამ დროს "ცისარტყელას" მასწავლებელმა დაინახა და ცენტრში წაიყვანა. მერე იმან მე მითხრა და ასე აღმოვჩნდი ამ სახლში."**

თითქმის, ყველა ბავშვის ცხოვრების ისტორია ერთმანეთს ჰგავს. უმეტესობას მშობლები ყავს, მაგრამ, რთული პირობების გამო, მათთვის არ სცალიათ.

**"ჩვენთან, ძირითადად, სამი კატეგორიის ბავშვები არიან - ქუჩიდან მოყვანილები, ინვალიდები და რისკის ზღვარზე მყოფი ოჯახებიდან. სარეაბილიტაციო ცენტრი "ბელურები" 50 ბავშვზეა გათვალისწინებული, ღამით კი, დაახლოებით, 25 ბავშვი რჩება. ცენტრში ბავშვებისათვის კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული და ფსიქოლოგიური პროგრამები გვაქვს; ვაწყობთ გამოფენებს; თვეში ორჯერ ვმასპინძლობთ გამოჩენილ ადამიანებს. ამჟამად, ბავშვებთან მუშაობს რეჟისორი გოჩა კაპანაძე. მიმდინარეობს რეპეტიციები და საშობაოდ ბავშვები ახალ სპექტაკლს "ჭინჭრაქას" წარუდგენენ მაყურებელს. დღევანდელ დღეს კი ისინი განსაკუთრებულად ელოდნენ, რადგანაც დიდი სურვილი ჰქონდათ, მის საქართველო პირადად ენახათ. ბევრმა მათგანმა იგი ტელევიზორშიც ვერ იხილა, "** – გვითხრა არასამთავრობო ორგანიზაცია "ბავშვთა გარემოს" ხელმძღვანელმა ნანა იაშვილმა.

როგორც იმიჯ-ცენტრის წარმომადგენლებმა განაცხადეს, მსგავსი ღონისძიებები მათი მხრიდან კვლავ იგეგმება და მომავალშიც გაგრძელდება. **"ვფიქრობ, რომ ბავშვები ასეთ საღამოებზე თავს საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად თვლიან. გარდა იმისა, რომ მათ მატერიალურ დახმარებას ვუწევთ, აქ მოსვლით და ყურადღებით იმასაც ვაგრძნობინებთ, რომ ჩვენ ისინი გვახსოვს. შევეცადეთ, სათამაშოებთან ერთად პრაქტიკული ნივთებიც გადაგვეცა, მაგალითად - კედლის საათი, მაისურები, სახატავები, შამპუნები და სხვა ბევრი წვრილმანი, "** – განაცხადა დიზაინერმა თათა ვარდანაშვილმა.

# უკანასკნელი გამოკვლევა

*შვედეთში ჩატარებული უკანასკნელი გამოკვლევების მიხედვით, რძე შეიცავს ორგანიზმისათვის საჭირო 18-დან 14 ვიტამინსა და მინერალს. ექსპერტები უკვე ასაბუთებენ, რომ ეს პროდუქტი არის ძირითადი მინერალებისა და ვიტამინების ბუნებრივი წყარო და მისი მოხმარება ორგანიზმს აუცილებელი ნივთიერებებით უზრუნველყოფს. როგორც აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლად შეიძლება საქართველოში რძეს ფართო მოხმარების პროდუქტი ეწოდოს, მოქალაქეების ნაწილისთვის მასში შემავალი ვიტამინები, სრული სახით, მიუწვდომელი რჩება.*

მაკა ჭაიანი

პრობლემას ქმნის ის, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ე.წ. სოფლის რძეს იღებს. კარგია, თუ – გადადუღებული სახით, მაშინ ვიტამინებისა და მინერალების რაღაც ნაწილი მაინც აღწევს ორგანიზმამდე (მიუხედავად იმისა, რომ ასეთ რძეს ხშირ შემთხვევაში დიდი რაოდენობით წყლით აზავებენ). მაშინ კი, როცა რძე აუდუღებელია, ადვილი შესაძლებელია, სტაფილოკოკით, რომელიმე სხვა ბაქტერიით, ან რამდენიმე ბაქტერიით ერთად დაავადდეთ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს დაავადებული პირუტყვი, ან არასტერილიზებული ჭურჭელი, რომელში ჩამოსხმული რძეც საკუთარი ბინის ეზოში თუ ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოვაჭრეებთან შეიძინეთ.

ეს არ გახლავთ ვარაუდი და მისი დადასტურება ლაბორატორიული ანალიზით შეიძლება. "სკანაგრი ჯგუფის" დაკვეთით (ეს ჯგუფი წარმოადგენს საერთაშორისო საკონსულტაციო ფირმას სოფლის მეურნეობის დარგში და მოსახლეობისთვის სწორი კვების შესახებ კომპეტენტური ინფორმაციის მიწოდება მისი ერთ-ერთი მიმართულებაა), სოფლის რძის ასეთი ანალიზი ორგანიზაცია "ექსპერტიზა+"-მა ჩაატარა. გადაუდუღებელ პროდუქტში სტაფილოკოკის, სალმონელოზის ჩხირები და სხვა დარღვევები დაფიქსირდა. პასტერიზებული რძის ანალიზისას მსგავსი რამ არ აღმოჩენილა. არც შეიძლებოდა აღმოჩენილიყო, რადგან პასტერიზება უსაფრთხოების გარანტია.

"სკანაგრი"- საკონსულტაციო ფირმის მიერ თბილისში ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, რძის მომხმარებლის, თითქმის, ნახევარი იყენებს პასტერიზებულ რძეს, ერთი მესამედი კი - მხოლოდ პასტერიზებულს. "ეს სასიკეთო ტენდენციაა, როცა ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი ირჩევს პასტერიზებულ პროდუქტებს, - ამბობს შვედი ექსპერტი, დიეტოლოგი ოსა მობერგი, - რადგან პასტერიზაციის დროს ნადგურდება ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში ბაქტერიები, ორგანიზმისთვის აუცილებელი ვიტამინები და მინერალები კი უდანაკარგოდ ნარჩუნდება."

საქართველოში პასტერიზებული ქარხნული რძე იშვიათობა არ არის. ამ ბოლო დროს კი ქართულ ბაზარზე გამოჩნდა პროდუქცია წარწერით UHT. ეს რძის ახალი, ულტრამაღალი ტემპერატურით დამუშავების აღმნიშვნელი ნიშანია. ამ შემთხვევაში პროდუქტი ორი-ხუთი წამით 138 გრადუსამდე ცხელდება, შემდეგ კი მომენტალურად ცივდება. UHT უზრუნველყოფს მიკრობების გაუვნებელყოფას, ორგანიზმისთვის აუცილებელი კომპონენტების, რძის ნატურალური გემოსა და კვებითი ღირებულების შენარჩუნებას. ასეთი რძის შენახვა 60-90 დღის განმავლობაშია შესაძლებელი. ამის საშუალებას ამგვარად დამუშავებული რძის ასეპტიკური შეფუთვაც იძლევა.

ძირითადი მიზეზი, რომლის გამოც, მოსახლეობის ნაწილი სოფლის რძეს ირჩევს, მისი შედარებითი სიიაფე და მისდამი მოსახლეობის ტრადიციული კეთილგანწყობაა. ეს ის შემთხვევაა, როცა მიზანი საშუალებას ვერ ამართლებს. რძე საკვები ნივთიერების ბუნებრივი წყაროა, მაგრამ ამ ფუნქციას მხოლოდ იმ შემთხვევაში ასრულებს, როცა ვიტამინებითა და მინერალებით სრულად არის გაჯერებული. ჯგუფი "სკანაგრი" ამ პროდუქტის შესაძლებლობების თაობაზე ვრცელ ინფორმაციას ავრცელებს. მაშ ასე, რატომ არის რძე სასარგებლო? პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ სხვა მინერალებთან ერთად დიდი რაოდენობით კალციუმს შეიცავს.

კალციუმი არეგულირებს სისხლის წნევას, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას; აქვს დამცავი ეფექტი ნაწლავის და მკერდის კიბოსგან; აუცილებელია მოზარდი ორგანიზმის ძვლოვანი მასის ჩამოყალიბებისთვის; იცავს კბილებს კარიესისგან. კალციუმის არასათანადო რაოდენობით მიღება დამანგრევლად მოქმედებს ორგანიზმზე. ამ დროს ორგანიზმი საჭირო რაოდენობით კალციუმს ძვლებიდან იღებს. ამ პროცესის დროში გახანგრძლივების შემთხვევაში, ძვლები თხელდება და ადვილად მსხვრევადი ხდება. ამ დაავადების სამკურნალო საშუალება კი არ არსებობს.

მონიტორინგი

# მოტყუებული საზოგადოება, წინასაარჩევნო პარანოია და აკაკი წერეთელი ახლებურად

ნინო ცინცაძე

*"ჩვენ ვერ ვიპოვეთ კანონი, პრეზიდენტის ბრძანებულება ან განკარგულება, ანდა თავად სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულება, რომელიც ერთმნიშვნელოვნად იყო შესრულებული განათლების სამინისტროსა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ," – აცხადებენ ახალგაზრდა იურისტები.*



ახალგაზრდა იურისტები კანონიერების ძიებაში.

სამშაბათს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფისში მასპინძლებმა საზოგადოებას მათ მიერ 2003 წლის 30 იანვრიდან 30 სექტემბრამდე შესრულებული განათლების სისტემის მონიტორინგის შედეგები წარუდგინეს. **"წლების განმავლობაში მრავალ სამინისტროსთან მოგვიწია მუშაობა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ, ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით, ასეთი რთული ბასტიონი არც ერთი არ ყოფილა - შინაგან საქმეთა სამინისტროც კი,** - თქვა ქალბატონმა თინა ხიდაშელმა, – **რვა თვის განმავლობაში სამინისტროს 29-ჯერ მივმართეთ სხვადასხვა ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნით. ჩვენი მოთხოვნა მხოლოდ ორჯერ დააკმაყოფილეს, ისიც - არასრულად და დაგვიანებით. ამით მათ უხეშად დაარღვიეს "ინფორმაციის თავისუფლების" ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები."** იმან, რომ სამინისტრომ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა, კვლევის სრულყოფილად ჩატარებას სერიოზულად შეუშალა ხელი. ამის გამო, იურისტებს სასამართლოში სარჩელი აქვთ შეტანილი. თუმცა, იმ მასალებშიც, რაც მათ საზოგადოებასა და მასმედიას წარუდგინეს, კანონდარღვევის უამრავი ფაქტია დაფიქსირებული. პრეზენტაციის დასრულებისას მონიტორინგის შედეგები ანტიკორუფციული საბჭოს მდივანს, ბატონ კახა უგულავას გადაეცა.

## კვლევის მიზანი და შედეგები

კვლევა მიზნად ისახავდა "განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის" მონიტორინგს, განათლების სამინისტროს მიერ "ინფორმაციის თავისუფლების" ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებისა და ანტიკორუფციული საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შემოწმებას, ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული თანხების ხარჯვის მიზნობრიობისა და ეფექტურობის დადგენას. ის კანონდარღვევები, რაც კვლევის ამ მიმართულებებით ჩატარებისას გამოვლინდა, იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ ყოველი მათგანის განხილვა გაზეთის ფურცლებზე, პრაქტიკულად, შეუძლებელია; ამიტომ თქვენს ყურადღებას მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევაჩერებთ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციისათვის ჯერ არაფერი რომ არ გაკეთებულა, ეს "განათლების შესახებ" კანონის 27-ე, 52-ე და 57-ე მუხლების უხეშად დარღვევაა. დასკვნაში ნათქვამია, რომ სამინისტრომ ხუთი წელი მხოლოდ კითხვარებისა და აკრედიტაციის ინსტრუქციის შემუშავებას მოანდომა. სამაგიეროდ, იგი მაინც აგრძელებს ლიცენზიების გაცემას ახალ-ახალი უმაღლესი სასწავლებლების დასაფუძნებლად. მათ ეფექტურობასა და პროფესიონალიზმზე კი პასუხისმგებლობას, პრაქტიკულად, არ იღებს. რაც შეეხება უმაღლეს სასაწავლებლებში ჩასარიცხ სტუდენტთა სახელმწიფოსგან დაკვეთილ რაოდენობას, ამ მხრივ, განათლების სამინისტროს დიდად მოუნდომებია და 2000 წლიდან დღემდე გეგმას გადაჭარბებით ასრულებს: 2000-01 სასწავლო წელს უმაღლეს სასწავლებლებში, წინა წლებთან შედარებით, 825 სტუდენტით მეტი ჩაირიცხა, 2002-02 წელს - 2639 სტუდენტით, ხოლო 2002-03 წელს - 2535 სტუდენტით მეტი. კითხვაზე, რატომ ატყუებენ ამ ახალგაზრდებს და რას ჰპირდებიან მათ მომავალში, პასუხის გაცემა არავის სურს.

არამიზნობრივად და არაეფექტურად იხარჯება სამინისტროს მიერ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებიც. წლების განმავლობაში განათლების სამინისტრო ბიუჯეტიდან აფინანსებს რამდენიმე ჟურნალ-გაზეთს: "დილა", "ნაკადული", "ბალავარი", "სკოლა და ცხოვრება", "რუსკოე სლოვო", "ნერგი" და "სახალხო განათლება". სამინისტროს განმარტებით, მათი დაფინანსება იმიტომ ხდება, რომ ამ ჟურნალ-გაზეთების დამფუძნებელი თავად სამინისტროა. სხვა მხრივ, ეს გამოცემები ჩვეულებრივ შპს-ებს წარმოადგენენ. მიუხედავად მონიტორინგის ჯგუფის მრავალმხრივი მცდელობისა, მიელო ინფორმაცია ამ გამოცემებზე მოთხოვნილების, საზოგადოების ინტერესის, სამინისტროს ინტერესისა და ამდენი გამოცემის არსებობის მიზეზის შესახებ, განათლების სამინისტრო მუდმივად არაადეკვატურ პასუხს იძლეოდა.

პრაქტიკულად, არ განხორციელებულა პრეზიდენტის 2000 წლის 1 მარტის N80 ბრძანებულებით დამტკიცებული "არასრულწლოვანთა დაცვის, განვითარებისა და საზოგადოებასთან ადაპტაციის სახელმწიფო პროგრამა", რომლისათვისაც ბიუჯეტიდან სამი მილიონი ლარი იყო გამოყოფილი.

განათლების სამინისტრო ერთადერთი ორგანოა, რომელმაც სრული იგნორირება გაუკეთა ეროვნული ანტიკორუფციული საბჭოსა და პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულ რეკომენდაციებს.

## სამი ჯიპი და გაუთვითცნობიერებელი მასწავლებლები

ახალგაზრდა იურისტების მიერ მომზადებულ დასკვნაში წერია, რომ სამინისტრომ სამი წლით შეაჩერა განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის ყველა იმ კომპონენტის განხორციელება, რაც, უშუალოდ, ზიანს აყენებს სკოლებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს და სამი წელი დაუთმო ოფისისა და ადმინისტრაციის რეკონსტრუქციასა და შენახვას. რეალურად, სამინისტროს ექვსი წელი დასჭირდა საჭირო სამართლებრივი ბაზის მოსამზადებლად, რათა პროგრამის სასკოლო გრანტების ნაწილი დაწყებულიყო. მართალია, დაიწყო, მაგრამ ერთობ არაეფექტურად მიმდინარეობს. 2002 და 2003 წელს გრანტები 210-210 სკოლაზე უნდა გაცემულიყო, თუმცა, ჯერჯერობით, მათი გაცემა არ მომხდარა.

მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ მასწავლებელთა, დაახლოებით, 48 პროცენტი მიმდინარე რეფორმისა და სასკოლო გრანტების შესახებ არასწორ ინფორმაციას ფლობს. სკოლაში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის, "სოროსის" ფონდისა და წითელი ჯვრის მიერ განხორციელებული პროექტები მათ მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული რეფორმის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები ჰგონიათ. კვლევამ ცხადყო ისიც, რომ სამი წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ მსოფლიო ბანკისაგან კრედიტით აღებული თანხის მხოლოდ 8 პროცენტი დაიხარჯა რეალურად იმ პროექტებზე, რაც უნდა განხორციელებულიყო. დანარჩენი თანხის ძირითადი ნაწილი კი ოფისის აშენებასა და მის კეთილმოწყობას მოხმარდა. კეთილმოწყობილი ოფისის თანამშრომლები, ასევე, კეთილმოწყობილი მანქანებით გადაადგილდებიან: სახელმწიფოს ანუ ჩვენს მიერ აღებული კრედიტიდან 77 ათასი ამერიკული დოლარი ოფისისათვის და სამი ჯიპის შესაძენად დაიხარჯა.

## სამინისტროს რეაქცია

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრებმა დასკვნები სამინისტროს გადაუგზავნეს და პრეზენტაციაზე სამინისტროს წარმომადგენლებიც მიიწვიეს. სამინისტროს არცერთი წარმომადგენელი იურისტების ოფისში არ გამოცხადებულა. სამაგიეროდ, განათლების მინისტრმა სამშაბათს, დილას პრესკონფერენცია მოიწვია. ჟურნალისტებს დაურიგდათ განათლების სამინისტროს განცხადება, რომელშიც კონკრეტული პასუხი არც ერთ ბრალდებაზე არ არის გაცემული, მთელი ეს პრობლემები კი წინასაარჩევნო ჭრილშია განხილული. განცხადებაში "ე.წ. არასამთავრობო რესურსებს" პოლიტიკური დაკვეთის შესრულება ბრალდება. ამიტომ, მინისტრი მასწავლებლებსა და განათლების მუშაკებს მოუწოდებს, არჩევნების ჩატარებამდე უსაგნო და უსაფუძვლო დისკუსიაში არ ჩაებან. განცხადების ბოლო აბზაცი ასე ჟღერს: "საქართველოს განათლების სისტემის დისკრედიტაციაზე გამეცადინებული ამ ადამიანების ყველაზე მძლავრი არგუმენტი, სამწუხაროდ, ის არის, რომ თვითონ მათ არა აქვთ ცოდნა, ან - ცოდნის მოპოვების უნარ-ჩვევა, ან - ზნეობა. ეს, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ, განათლების იმ სისტემის ბრალიც უნდა იყოს, რომელშიც მათ გაიარეს, მაგრამ ასევე იმისაც, რის შესახებაც აკაკი წერეთელი გულდაწყვეტით წერდა: "მარტო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა". (სტილი დაცულია). როდესაც ქალბატონმა თინა ხიდაშელმა ეს განცხადება ხმამაღლა წაიკითხა, დამსწრე საზოგადოების დიდი ნაწილის მოთხოვნა იყო, იგი სასწრაფოდ დათო გოგიჩაიშვილისათვის გადაეგზავნათ "ჰედლაინების" ნაწილში გამოსაყენებლად.

ზღვარზე

# როგორ ზრუნავენ მუნიციპალიტეტები გაჭირვებულ მოსახლეობაზე

IREX

ნანა ქადაგიშვილი

*"24 საათის" წინა ნომერში მხოლოდ დედაქალაქში მოქმედი მუნიციპალური სოციალური პროგრამები წარმოგიდგინეთ. როგორც აღმოჩნდა, მუნიციპალური პროგრამების სიუხვით ქალაქი რუსთავი თბილისს ოდნავ ჩამოუვარდება.*

რუსთავის ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის ილია ჭავჭავაძის განცხადებით, სოციალური პროგრამებისთვის ადგილობრივ ბიუჯეტში 42 470 ლარია გათვალისწინებული. ეს პროგრამებია: ინტეგრირებული სკოლა-ბაღის დახმარება; მოხუცთა სახლ "ქსენონის" დახმარება; ბავშვთა დაცვის პროგრამა; მოსახლეობის ჰუმანიტარული დახმარება; მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება; ინვალიდთა სოციალური დახმარებისა და რეაბილიტაციის პროგრამა; მოსახლეობის ქვეწარმავალთაგან დაცვის "ჰერპეტოლოგიური" პროგრამა; ხსნის არმიის თანადაფინანსების პროგრამა (მარტოხელა პენსიონერებისთვის უფასო სასადილოს დაფინანსებას ითვალისწინებს); ფსიქო-სოციალური სატელეფონო მომსახურების პროგრამა; მოსახლეობის მედიკამენტებით დახმარება.

გარდა ამისა, რუსთავის მერია მარტოხელა პენსიონერებს, პირველი ჯგუფის უსინათლოებსა და 16 წლამდე ასაკის ბავშვობიდან ინვალიდებს 22-ლარიან ოჯახურ დახმარებას უხდის, მრავალშვილიან ოჯახებს კი - ბავშვზე სამ ლარს. აღნიშნული დახმარებებისთვის ყოველთვიურად 36 ათასი ლარი გამოიყოფა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, აგრეთვე, 20 ათასი პენსიონერის ელექტროტრანსპორტით მგზავრობა, წყლისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადასახადი, სტომატოლოგიური მომსახურება, თვეში სამჯერ სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება და დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და ლტოლვილთა დაკრძალვის ხარჯები 100-300 ლარის ფარგლებში.

ფოთში ადგილობრივი ბიუჯეტიდან სამი სოციალური პროგრამა ფინანსდება: საოჯახო დახმარება, რაც ერთი ოჯახისთვის წელიწადში 220 ლარს უტოლდება; ერთჯერადი მატერიალური დახმარება 20-დან 200 ლარამდე; ამის გარდა, ადგილობრივი ხელისუფლება გაჭირვებული მოქალაქეებისთვის აფინანსებს სასადილოს, სადაც დღეში 60 ადამიანი სადილობს.

ბათუმის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ქალაქის ბიუჯეტიდან ფინანსდება ერთჯერადი დახმარებები, შეღავათები კომუნალურ გადასახადებსა და ტრანსპორტით მგზავრობაზე. ერთჯერად დახმარებებს ბათუმის სოციალურად დაუცველი მოსახლეობა 2000 წლიდან, საკრებულოს იმავე წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით, იღებს. დახმარება 20-დან 100 ლარამდეა. ინვალიდებისთვის კომუნალურ გადსახადებზე (წყალი, ნარჩენების გატანა, ბინის ქირა) შეღავათი 1999 წელს დაწესდა. გარდა ამისა, პირველი-მეორე ჯგუფის ინვალიდებისთვის ავტობუსით, ტროლეიბუსითა და სამარშრუტო ტაქსით მგზავრობის ხარჯებსაც ქალაქის მერია ფარავს.

**პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.**

# „ვიზიარებ თქვენს მდგომარეობას!"

*სოსო წინამძღვრიშვილი მწვრთნელია. 1975-1993 წლებში საზოგადოება "დინამოში", "ქარიშხალასა" და "მართვეში" ახალგაზრდებს კრივში ამეცადინებდა. აღზრდილი ჰყავს საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულები. 1993 წელს საქართველოდან წავიდა, მაგრამ სამშობლო მის ყველაზე დიდ ტკივილად რჩებოდა. ამიტომ დაბრუნდა უკან, ქვეყნისთვის სიკეთის კეთების სურვილით.*

აქედან ჰოლანდიაში წავედი, რა თქმა უნდა, არალეგალურად, - **იხსენებს ბატონი სოსო,** - ვერ გავუძელი საქართველოში დაწყებულ ქაოსს და წავედი... დატვირთული ცხოვრება მქონდა. საქართველოსა და საკავშირო გამარჯვებული ვიყავი კრივში ახალგაზრდებს შორის. ფიზკულტურის ინსტიტუტი დავამთავრე, სამწვრთნელო მოღვაწეობა დავიწყე. ექვსი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ნაკრებს ვემსახურებოდი. იმდენად სავსე ცხოვრება მქონდა, შინ მისულს წყებად მხვდებოდა დეპეშები, წერილები, მიპატიჟებები... ჩემი ადგილი მქონდა, ჩემი საქმე და უცებ, თითქოს, ცელი მოიქნიესო, ჰაერში დავრჩი. ამას გავერიდე.

როგორ ვთქვა, ჩემზე მოახდინა ყველაფერმა განსაკუთრებული გავლენა-მეთქი? რა თქმა უნდა, სხვებიც განიცდიდნენ ომს, უბედურებას, მაგრამ მე მეტის მოთმენა აღარ შემეძლო. ბოლოს მცხეთის რაიონში ვმუშაობდი. იქ შემომთავაზეს სპორტული კლუბის ამოქმედება. სიამოვნებით დავთანხმდი. ჩემი დიდი პაპის, ილია წინამძღვრიშვილის სახელობის სკოლა მოქმედებს იქ, ჩემი ფესვები იქაა და უარს როგორ ვიტყოდი? შეჯიბრზე წავიყვანე ერთხელ ბიჭები და დაბრუნებულებს დარბაზი გატეხილი, გაქურდული დაგვხვდა. მე მათ ვასწავლიდი, - ცხოვრებაში არავინ უნდა დაჩაგროთ, რაც უფრო ძლიერები ხართ, მით მეტად თავშეკავებულები უნდა იყოთ, ჩხუბის კამათში გადატანა უნდა შეგეძლოთ, სიტყვით ბევრი რამის მოგვარება შეიძლება-მეთქი, - არადა, ასეთი ამბავი დაგვხვდა. ასეთი უმსგავსობების ატანა ძნელია. იარაღსაც ვერ ავიღებდი ხელში, ამიტომ წავედი.

სამი შვილი მყავს და ორი შვილიშვილი. გოგონები ახალი გათხოვილები იყვნენ და მაშინ წამოსვლა ვერ გადაწყვიტეს. ერთი ქალიშვილი ახლაც აქაა. დაბრუნება ბევრმა რამემ გადამაწყვეტინა - სამშობლო ხომ სხვა რამეა... ადრე მინდოდა, სავარჯიშო კომპლექსი გამეკეთებინა ბავშვებისთვის, თავიდანვე ძლიერები და ჯანსაღები რომ გამოსულიყვნენ. მინდა, ეს იდეა განვახორციელო. თბილისის მერთან მინდოდა შეხვედრა, მაგრამ ვერ მოვახერხე, - არ სცალიაო. განათლების სამინისტროში მივედი – ეკუთვნით მათ ეს საკითხი - ახლა მაგისთვის ვის სცალია, ნაარჩევნებს მოდიო... სახელმწიფო დაწესებულებებშიც, ქუჩაშიც საოცარი დაძაბულობაა. ადამიანებში ადამიანობა აღარ იგრძნობა.

ათი წლის განმავლობაში ვცხოვრობდი ჰოლანდიაში, ნორვეგიასა და ისრაელში. ცოტა-ცოტა ყველა ენა ვისწვლე. წელს ჩამოვედი და გულწრფელად მინდა ვუთხრა ჩვენს ხალხს: ვიზიარებ თქვენს მდგომარეობას, ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, ქართველი ხალხის მოშლილ ფსიქოლოგიურ, მორალურ მდგომარეობას, გულწრფელად გითანაგრძნობთ და მოგიწოდებთ, დაიცვათ უფლის სიყვარული, სიმართლე, გამოიყენოთ თქვენი კანონიერი უფლება და ქვეყანა ჩააბაროთ ადამიანებს, რომლებსაც ნამდვილად შესტკივათ მასზე გული. აირჩიეთ ისინი, ვინც საქართველოს სახელს, სიამაყეს დაუბრუნებს, თქვენ კი – სიმშვიდეს და ბედნიერებას.

მოკლედ

## პატრიარქის მოწოდება

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მოუწოდებს პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, უარი თქვან არჩევნების დროს უღირსი მეთოდების გამოყენებაზე და აცხადებს, რომ საქართველოს ხვალინდელ დღეს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები განსაზღვრავს.

**"მინდა ვურჩიო ყველა პოლიტიკოსს, უპირველეს ყოვლისა, დაანახონ ხალხს, რა გაუკეთებიათ, რა სიკეთე მოუტანიათ ქვეყნისთვის, რის გაკეთებას აპირებენ მომავალში საქართველოს სასიკეთოდ. ჩვენმა ერმა ყოველივე ამის საფუძველზე უნდა გააკეთოს არჩევანი,"**- ბრძანა პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას.

მისივე განცხადებით, არჩევნებზე ყველა მოქალაქე უნდა მივიდეს და გამოხატოს საკუთარი ნება. ამასთან, ილია მეორე მოგვიწოდებს, სიფრთხილე გამოვიჩინოთ არჩევანის გაკეთებისას.

**"სანამ ვინმეს მისცემდეთ ხმას, კარგად უნდა აწონ-დაწონოთ ყველაფერი, კარგად გააანალიზოთ, თუ რისი გამკეთებელია ესა თუ ის პიროვნება. აუცილებლად უნდა გაარჩიოთ, სად არის თეთრი და სად - შავი, სადაა მშვიდობა და სად – არა,"** - განაცხადა უწმინდესმა.

## თბილისობის ბაზრობები

მერიის გადაწყვეტილებით, ბაზრობები დედაქალაქის ხუთივე რაიონში გაიმართება. გლდანი-ნაძალადევი - თემქის სამშობიარო სახლთან, გურამიშვილის გამზირზე, დუმბაძის გამზირსა და გლდანის მეხუთე-მეექვსე მიკრორაიონების საზღვარზე; მთაწმინდა-კრწანისი - გორგასლის მოედანზე, ქვემო ფონიჭალაში, რესპუბლიკის მოედანზე და ფილარმონიასთან; დიდუბე-ჩუღურეთი - დიღმის მასივში, წერეთლის გამზირზე, ხეთაგუროვის ქუჩაზე და მარჯანიშვილის მოედანზე; ვაკე-საბურთალო - სპორტის სასახლესთან, დიდ დიღომში, ვაკეში, თსუ-ის ტერიტორიაზე, ყაზბეგის გამზირზე და ნუცუბიძის ქუჩაზე; ისანი-სამგორის - ქეთევან წამებულის მოედანზე, მოსკოვის გამზირსა და ლილოს დასახლებაში. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** დედაქალაქის მერიის მრჩეველთა საბჭო თბილისობის დღესასწაულზე, ტრადიციულად, თბილისის ხუთ საპატიო მოქალაქეს აირჩევს. დღემდე საპატიო მოქალაქეებად არჩეულები არიან - სიმონ ჩიქოვანი, აკაკი შანიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ლადო კეცხოველი და სხვა გამოჩენილი ადამიანები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მრავალშვილიანმა დედებმა დღეს რუსთაველის გამზირი გადაკეტეს. ისინი "თბილისობის" დღესასწაულისთვის 100-ლარიანი დახმარების მიღებას მოითხოვდნენ. როგორც მომიტინგე დედები აცხადებდნენ, პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, "თბილისობისთვის" მათთვის 70 ლარი გამოიყო, რასაც უნდა დამატებოდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადმორიცხული 30 ლარი, მაგრამ მრავალშვილიანები ქალაქის მერს ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ ვანო ზოდელავა მათთვის მხოლოდ 30 ლარის მიცემას აპირებს. აქციის მიმდინარეობა პოლიციის ჩარევის შემდეგ მშვიდობიანად შეწყდა და რუსთაველზე ტრანსპორტის მოძრაობა განახლდა. მერიის წარმომადგენელი აქციის მონაწილეებს არ შეხვედრია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალური დირექტორის დევიდ სორნტონისა და სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის შეხვედრაზე არჩევნებისთვის ქვეყნის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხიც განიხილეს. როგორც აღინიშნა, 2 ნოემბერს თბილისი ელექტროენერგიას უწყვეტი გრაფიკით მიიღებს, ხოლო რეგიონებში 24-საათიანი ელექტრომომარაგებით მხოლოდ საარჩევნო უბნები იქნება უზრუნველყოფილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რაჭა-ლეჩხუმსა და ყაზბეგში დაგეგმილი რადიაციული წყაროების მოძიება, დაუფინანსებლობის გამო, აღარ განხორციელდება. როგორც რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა ლერი მესხმა განმარტა, ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტომ "მაგატემ" უარი განაცხადა საქართველოში რადიაციული წყაროების მოძიებითი სამუშაოების დაფინანსებაზე, მოტივად კი ქვეყანაში რადიაციული ნივთიერებების ერთიანი საცავის არარსებობა დაასახელა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** რაიონში ჯილეხით დაავადების ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. 23 წლის მამაკაცი ჯილეხის კანის ფორმით მკურნალობას ქუთაისის ინფექციური პათოლოგიის ცენტრში გადის. ამჟამად ეპიდემიოლოგები სიტუაციას ადგილზე სწავლობენ. მიმდინარეობს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და დაავადების წყაროს დადგენა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** კოკისპირული წვიმის გამო, დედაქალაქის მოსახლეობა არ დაზარალებულა, თუმცა სანიაღვრე სამსახურის მუშა ბრიგადა მაინც საგანგებო რეჟიმში მუშაობდა. როგორც სანიაღვრე სამსახურის უფროსმა ნოდარ ზარდიაშვილმა განაცხადა, წყალდიდობის თავიდან ასაცილებლად კახეთის გზატკეცილზე, მოსკოვის გამზირსა და სანაპიროებზე სანიაღვრე ჭები იწმინდებოდა, რათა ნიაღვრით ჩამოტანილ მიწასა და ფოთლებს არ დაეფარა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გადაუღებელი წვიმების შედეგად „ეი-ი-ეს თელასის" კუთვნილი ოცდაათამდე ფიდერი გამოვიდა მწყობრიდან, რის გამოც, ელექტროენერგია დედაქალაქის, თითქმის, ყველა რაიონს შეზღუდვებით მიეწოდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სს „თბილგაზის" გენერალური დირექტორის ნოდარ გობიანიძის ბრძანებით, 10 ნოემბრამდე დედაქალაქში გაზიფიკაციის სამუშაოები მთლიანად შეწყვეტილია.

„თბილგაზის" მმართველი კომპანიის „ახალი მენეჯმენტის" გადაწყვეტილებით, კომპანიაში შეიქმნება მუშაჯგუფი, რომელიც შეისწავლის არსებულ ტექნიკურ ნორმებს, ყველა ობიექტს და 10 ნოემბრის შემდეგ გაზიფიკაცია მხოლოდ დაწესებული ნორმებით იქნება შესაძლებელი. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს უზენაესი სასამართლო დღეს ორი ჩეჩენი პატიმრის, ხანჩუკაევისა და მაგომედოვის საქმესთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას გამოაცხადებს.

განჩინება, რომელსაც მოსამართლეები ბიბილაშვილი, გვენეტაძე და გოგელია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადმოკვეთასა და იარაღის უკანონო ტარებაში ბრალდებული ჩეჩნების საქმეზე გამოიტანენ, საბოლოო იქნება და გასაჩივრებას აღარ დაექვემდებარება.

2003 წლის 15 ივლისს საოლქო სასამართლომ ხანჩუკაევისა და მაგომედოვის საქმესთან დაკავშირებით გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა, რომელიც გენერალურმა პროკურატურამ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. პროკურორი გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის ხელახალ გამოძიებას მოითხოვს.

ხანჩუკაევი და მაგომედოვი 2002 წლის 4 აგვისტოს გირევის საგუშაგოზე დააკავეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საოლქო სასამართლოში დღეს სამი ჩეჩენი პატიმრის – რუსლან გელოგაევის, ჰუსეინ ალხანოვისა და რუსტამ ელიხაჯიევის (იგივე ბეკხან მულკოევის) სასამართლო პროცესი დაიწყება.

საქმის განხილვა 15 ოქტომბრისთვის იყო დანიშნული, თუმცა სასამართლოში ელიხაჯიევი ვერ მიიყვანეს და პროცესი ჩაიშალა.

ჩეჩენ პატიმრებს ბრალად ედებათ შარშან აგვისტოში საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთა და იარაღის უკანონო ტარება. გარდა ამისა, მათ წინააღმდეგ საქმეა აღძრული, შარშან, 4 ოქტომბერს №5 საპყრობილეში ბადრაგისათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის კოლონიაში დაიწყო 2002 წლის იანვარში მომხდარი ხანძრისას დამწვარი საცხოვრებელი კორპუსის რემონტი, რომელიც იუსტიციის სამინისტროს სპეცსახსრებიდან ფინანსდება. ხანძრის შემდეგ, კორპუსის მწყობრიდან გამოსვლის გამო, კოლონიის ტერიტორიაზე ე.წ. ბარაკები ააშენეს, რაც უსაფრთხოების თვალსაზრისით, დაწესებულების გაკონტროლებას ხელს უშლის. ასეთი შენობებისაგან კოლონიის ტერიტორია უკვე გაწმენდილია.

10 სექტემბერს რუსთავის №2 კოლონიიდან პატიმართა მასშტაბური გაქცევის შემდეგ, კოლონიაში სარეჟიმო მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები ჩატარდა — გარე პერიმეტრის დასაცავად დაემატა სამი კოშკურა და აღდგა სიგნალიზაცია. რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში 900-მდე მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული იხდის სასჯელს.

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მე-5 საპყრობილის საკანალიზაციო ჭაში აღმოჩენილი, მამრობითი სქესის ახალშობილის გარდაცვალების მიზეზი თავის ქალის ტრავმაა, – ნათქვამია ექსპერტების დასკვნაში. მათივე აზრით, ბავშვი ცოცხალი დაიბადა.

ჩვილის გვამი 22 ოქტომბერს აღმოაჩინეს. როგორც გაირკვა, ჩვილი ქალთა კორპუსში მყოფი ჩეჩენი პატიმრის, 24 წლის კ.ლ.-სი იყო, რომელიც ნარკოდანაშაულისათვის არის დაპატიმრებული.

ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობის მუხლით არის აღძრული, რომელიც ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ხაშურელი გიორგი აბულაძე, ორი ავტომანქანის ყაჩაღური გზით გატაცების ბრალდებით, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთისა და გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციელებმა გუშინ დააკავეს.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, აბულაძის დაკავება მას შემდეგ მოხდა, რაც მან 28 ოქტომბერს, ღამის 04.00 საათზე გურამიშვილის გამზირიდან ბასრი იარაღის მუქარით, შპს „მაქსერვისის" კუთვნილი ტაქსი, ავტომანქანა „მერსედესი" გაიტაცა, რომელსაც ვასილ ცაბაძე მართავდა.

როგორც გაირკვა, აბულაძემ იმავე ღამეს იგივე ხერხით გაიტაცა ფირმა „ბსმ"-ს კუთვნილი ტაქსი, რომელსაც გოჩა წერეთელი მართავდა. ამ ავტომანქანით აბულაძე ილორისა და გურამიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე ავტოავარიაში მოჰყვა, იგი მიატოვა და სხვა ავტომანქანის გატაცება მოახერხა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ექიმებმა მოახერხეს ფსიქიურად დაავადებული, 60 წლის ლევან სტეპანიანის გადარჩენა, რომელმაც თვითმკვლელობა სცადა და დანით გულმკერდის არეში დაზიანებები მიიყენა, - აცხადებენ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში.

ამ ფაქტთან დაკავშირებით პროკურატურა მოკვლევას ატარებს.

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინწინ საქართველოში აღირიცხა 25 დანაშაული, გახსნილია – 19. ჯანმრთელობის დაზიანების ორი და ხულიგნობის ერთი შემთხვევა გახსნილია; სამი ავტოსაგზაო შემთხვევიდან ერთი სიკვდილით დასრულდა; ყაჩაღობის ოთხი შემთხვევიდან გაიხსნა სამი, ქურდობის რვა შემთხვევიდან – ხუთი; გატაცებული ერთი სატრანსპორტო საშუალება ნაპოვნია; ეკონომიკის სფეროში ჩადენილი სამივე დანაშაული გახსნილია; ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით დაფიქსირდა ერთი შემთხვევა; ამოღებულია ორი ცეცხლსასროლი იარაღი; დაკავებულია ხუთი ძებნილი; არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილია ერთი დანაშაული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მარტვილის რაიონის პოლიციამ დააკავა სოფელ დიდ ჭყონში მცხოვრები, რამდენჯერმე ნასამართლევი, ქურდული ტრადიციების, 28 წლის გოჩა ნაჭყებია, რომელმაც გაიტაცა თანასოფლელის, რევაზ კილასონიას „ვაზ-2105" მარკის ავტომანქანა. ავტომანქანა მფლობელს დაუბრუნდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მცხეთა-მთიანეთის შს სამხარეო სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლისა და საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ამხილეს თბილისში მცხოვრები, 42 წლის ლიანა გოშაძე, რომელსაც „ბმვ"-ს მარკის ავტომანქანით, 1 030 ლარის ღირებულების 1 500 კოლოფი უაქციზო სიგარეტი გადაჰქონდა. **მედია-ნიუსი**

# გახმაურებული მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვა იწყება

*უზენაეს სასამართლოში მალე ხალხმრავალი და ხმაურიანი პროცესი დაიწყება. რვა თვის წინ, ბახტრიონის ქუჩაზე, დარჩიაშვილების ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის ავტორ-შემსრულებლებს, რომელთა ასაკი 27 წელს არ აღემატება და რომელთა უმრავლესობას კრიმინალური წარსული აქვს, გამოძიებამ საბრალდებო დასკვნა უკვე დაუწერა და საქმე განსახილველად უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

ბანდიტიზმი, შეიარაღებული ყაჩაღობა, განზრახ მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა და იარაღის უკანონოდ ტარება – ამ ბრალდებებით გაასამართლებენ დარჩიაშვილების ოჯახში შეჭრილებს: მირიან ვარდოშვილს (ადამიანის გატაცების ბრალდებით უკვე მოხდილი აქვს სასჯელი), მამუკა ოქრუაშვილს, ილია ბაქაქურს და ძმებს – შალვა და მამუკა აბრამოვებს - დარჩიაშვილების მეზობლებს, რომელთა სახლშიც დააკავეს სამართალდამცველებმა დანაშაულში ეჭვმიტანილები. უზენაეს სასამართლოში ვერ მიიყვანენ კიდევ ერთ განსასჯელს – ეგრეთ წოდებულ კანონიერ ქურდს, გაბრიელ ალოევს ( მეტსახელად "გაბრო") იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დარჩიაშვილების ოჯახზე განხორციელებულ თავდასხმასა და საზარელ მკვლელობაში ბრალდებული ალოევი დაკავებიდან ორ თვეში ოფთალმოლოგიის კლინიკიდან გაექცა ბადრაგს. გაუჩინარებული დამნაშავის ადგილსამყოფელის შესახებ დღემდე არაფერია ცნობილი.

"გაბრო" ალოევი თავდასხმისას ზურაბ დარჩიაშვილმა საფანტის თოფიდან გასროლით თვალისა და შუბლის არეში დაჭრა. სწორედ ამ ჭრილობების გამო გადაიყვანეს ალოევი ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან თვალის კლინიკაში. როგორ და რანაირად მოახერხა ალოევმა ოფთალმოლოგიის კლინიკიდან გაუჩინარება, დღემდე დიდი მითქმა-მოთქმის საგანი გახლავთ. მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ პატიმარმა ბადრაგის ორი წევრი, რომლებიც მას მეთვალყურეობდნენ, მოწამლა და ამის შემდეგ უპრობლემოდ დატოვა კლინიკა. მეორე ვერსიის მიხედვით, ალოევმა მაშინ დატოვა კლინიკის შენობა, როცა ბადრაგს ჩაეძინა. ბადრაგი პატიმრის გაქცევის შემდეგ დააპატიმრეს.

შეგახსენებთ, რომ დარჩიაშვილების ოჯახში მომხდარი საზარელი მკვლელობა სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე, ოპერატიულად გახსნეს. დარჩიაშვილებთან ყაჩაღები დილის ათ საათზე შეცვივდნენ. ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა და დანების მუქარით ოჯახის წევრებს ფული მოსთხოვეს. ოჯახის უფროსმა, მიხეილ დარჩიაშვილმა, თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია. განრისხებულმა ყაჩაღებმა მის მეუღლეს - ანა დარჩიაშვილს, შვილის, რძლისა და ერთი წლის შვილიშვილის თვალწინ ყელი გამოჭრეს. ოჯახის დიასახლისი ადგილზევე გარდაიცვალა. მისმა ვაჟმა, კანცელარიის პროტოკოლის სამსახურის უფროსის მოადგილემ ზურაბ დარჩიაშვილმა კი როგორღაც მოახერხა და საფანტის პისტოლეტიდან გასროლით ორი თავდამსხმელი დაჭრა. ორმხრივი სროლის შემდეგ ყაჩაღებმა იქაურობა დატოვეს და გაიქცნენ. მომხდარიდან საათნახევარში სამართალდამცველებმა თავდამსხმელთა ექვსკაციან ჯგუფს მეზობელ კორპუსში მიაგნეს. ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ ადგილზე ოპერატიულად მისულ პოლიციას გაუმართლა – შემთხვევის ადგილზე მიყვანილმა დაგეშილმა ძაღლებმა სამართალდამცველები ცხელ კვალს - სისხლიან ნაფეხურებს გააყოლეს და მეზობლად მდებარე საცხოვრებელი კორპუსის მერვე სართულზე აიყვანეს, სადაც ყაჩაღები იყვნენ ჩაკეტილნი. აბრამოვების სახლში გადამალულმა ყაჩაღებმა ვერ მოასწრეს პოლიციელთათვის წინააღმდეგობის გაწევა და ისინი ცოტა ხანში გაკოჭილ მდგომარეობაში იატაკზე დაყრილები აღმოჩნდნენ. რაც შეეხება ნივთმტკიცებებს – ნიღბებს, დანებს, ცეცხლსასროლ ავტომატს, რომელთა გამოყენებითაც დაესხნენ ყაჩაღები დარჩიაშვილებს, ოჯახის დიასახლისი მოკლეს, ხოლო მამა-შვილი მძიმედ დაჭრეს - სამართალდამცველებმა აბრამოვების ბინიდან ამოიღეს.



*მკვლელობიდან საათნახევარში დამნაშავეები მეზობელ კორპუსში დააკავეს.*



*ბრალდებული გაბრიელ ალოევი დღემდე მართლმსაჯულებას ემალება.*

# თურქულ და უკრაინულ გემებს სოლიდური სასჯელი დააკისრეს

*თურქეთის დროშით მცურავი გემების მიერ საქართველოს ტერიტორიული წყლების დარღვევა სიახლე არ არის. ცნობილი ფაქტია, რომ თურქეთის კერძო კომპანიათა გემები, რომლებიც აფხაზეთში უკანონო გზით შედიან, კონტრაბანდული ტვირთითაა დატვირთული. უშიშროების სამინისტროს ინფორმაციით, აფხაზეთში სურსათი და სიგარეტი შეაქვთ, იქედან კი ხე-ტყესა და ქვანახშირს ეზიდებიან. არსებობს ინფორმაცია, კონტრაბანდული ნარკოტიკებისა და იარაღით ვაჭრობის შესახებაც, თუმცა, ამ ინფორმაციას ძალოვანი სამინისტროები ოფიციალურად ვერ ადასტურებენ.*

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

სხვათა შორის, საზღვრის უკანონო დამრღვევთა დაკავებას ქართველი მესაზღვრეებიც ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებენ. თუმცა, მათ ცოტა ხნის წინ გამონაკლისი დაუშვეს და საზღვრის დამრღვევი თურქული და უკრაინული გემები დააკავეს. უკრაინული გემი თევზმჭერია და მის მიერ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შესვლა ობიექტური მიზეზებითაც შეიძლება აიხსნას, თუმცა იგივეს თქმა არ შეიძლება თურქულ გემზე, რომელიც ფოთში გარე რეიდზე დააკავეს.

თურქული გემი - სახელად "ემმა" ჩრდილოეთ კორეის დროშით ცურავდა. იგი სასაზღვრო დეპარტამენტის სანაპირო დაცვის თანამშრომლებმა ფოთის ნავსადგურში გარე რეიდზე მყოფი აღმოაჩინეს. "ემმა" ორი დღის განმავლობაში ოპერატიულ მორიგესთან კავშირზე არ გამოდიოდა. მესაზღვრეებმა თბომავალი საეჭვოდ მიიჩნიეს და დააკავეს. გემის კაპიტანმა ისმაილ დენიზმა მესაზღვრეებს საბაჟო დოკუმენტაცია, ბუნებრივია, ვერ წარუდგინა. მან სიტყვიერად განმარტა, რომ თბომავალი ქალაქ თუზლადან გამოვიდა და სამსუნის მიმართულებით მიეშურებოდა. მისივე განმარტებით, თავდაპირველად გემის სახელი "კაპიტანი რენი" ყოფილა და იგი თურქეთის დროშით დაცურავდა. სამსუნში შესვლამდე კი მას ტელეფონით მეპატრონე დაუკავშირდა და დროშისა და სახელის შეცვლა უბრძანა. ხელმძღვანელების მითითებით, ეკიპაჟმა დავალების შესრულების შემდეგ გეზი საქართველოს მიმართულებით აიღო. **"თბომავალ "ემმას" კაპიტანმა საქართველოს საზღვრის გადაკვეთის შემდეგ მკაცრად დაარღვია საქართველოს კანონი "საზღვაო სივრცის შესახებ," რის შედეგადაც "ემმა" შეყვანილი იქნა საქართველოს სახელწიფო საზღვრის დაცვის სამხედრო ბაზაზე,"** - ნათქვამია მოკვლეულ მასალებში.

დაკავებული ტანკერის შესახებ მასალები საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა მოიძია და თბომავლის კაპიტანი 250 ათასი ლარით დააჯარიმა; რაც გასაჩივრებული იქნა ჯერ ფოთის, ხოლო შემდეგ ქუთაისის საოლქო სასამართლოში.

ისმაილ დენიზი ფოთის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდა. ქუთაისის საოლქო სასამართლოში საქმე სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა მამალაძემ განიხილა. მან საქმის შესწავლის შემდეგ სამართალდარღვევა საფუძვლიანად მიიჩნია და ისმაილ დენიზის საჩივარი არ დააკმაყოფილა. ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გემის კაპიტანს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის გადახდა აუცილებლად მოუწევს. 50 ათასი ლარის ოდენობით ადმინისტრაციული სახდელი დაედო უკრაინულ თევსაჭერ გემ "მიერსაც".

ქუთაისის საოლქო სასამართლომ საქართველოს საზღვრის დარღვევისთვის სოლიდური ჯარიმა უკვე მეოთხე უცხო ქვეყნის გემს დააკისრა.

# ბელგიამ ჩეჩნური გაზეთის რედაქტორს პოლიტიკურ თავშესაფარზე უარი უთხრა

ამ დღეებში ბრიუსელის პოლიციამ დააკავა პასპორტის არმქონე პირი, რომელიც პირველივე დაკითხვაზე სამართალდამცველებს გაეცნო, როგორც გაზეთ "ჩეჩენ თაიმსის" რედაქტორი და იჩქერიის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი საიდ ხაჩუკაევი.

მისი პიროვნების დასადგენად ბელგიის პოლიციამ ხაჩუკაევი დახურულ რეპატრიაციულ ცენტრში მოათავსა. რამდენიმე საათში კი მას ბელგიის სამეფოს საზღვრები დაატოვებინეს სპეციალური აგენტების თანხლებით.

რუსეთის სპეცსამსახურებსა და ინტერპოლის მოსკოვის ოფისს კონკრეტული ცნობები საიდ ხაჩუკაევის დაკავებისა და ბელგიიდან გაძევების შესახებ არ მოეპოვებათ, თუმცა კმაყოფილებას ვერ მალავენ ახმედ ზაკაევის წარგზავნილის მიმართ ბელგიის მთავრობის მიერ გამოყენებული ზომების გამო.

სპეცსამსახურების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჩეჩნეთიდან გაქცევის შემდეგ ხაჩუკაევი საქართველოს აფარებდა თავს, რამდენიმე თვის წინ კი გერმანიაში გადასახლდა და საქართველოში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილებს თითქოს მედიკამენტებს უგროვებდა.

უკვე ივნისში იგი ბრიუსელში გამოჩნდა "ჩეჩენი ჟურნალისტების კონგრესის" ორგანიზების მიზნით და ბელგიის ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭებაც სთხოვა. უცხოელთა საქმეების ოფისში გასაუბრებაზე მისულს უარი უთხრეს ბელგიის ქვეშევრდომობაზე და უკან, გერმანიაში გასახლების შესახებ გადაწყვეტილება აცნობეს. ასეთი ვერდიქტი არგუმენტირებული იქნა დუბლინის კონვენციით, რომლის თანახმადაც, თავშესაფრის თხოვნა კმაყოფილდება შენგენის ზონის მხოლოდ იმ ქვეყანაში, რომელმაც ვიზა გასცა ან პირველმა მიიღო განმცხადებელი.

რუსეთის საინფორმაციო წყაროების ცნობით, ხაჩუკაევის უფლებების დაცვა სცადა არა მარტო ახმედ ზაკაევმა, რომელიც ლონდონის სასამართლოს გადაწყვეტილებას ელის რუსეთში ექსტრადიციის თაობაზე, არამედ ბელგიაში დაფუძნებულმა ჩეჩნების სათვისტომომ და ევროპარლამენტის დეპუტატმა ბარტ სტაასმა. ისინი ბელგიის ხელისუფლებას არწმუნებდნენ, რომ თუ გერმანიაში დაბრუნებულ ხაჩუკაევს იქაური სამართალდამცველები რუსეთს გადასცემენ, მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება.

მიუხედავად ამისა, ბელგიის ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ კანონთან სრულ შესაბამისობაში მოქმედებს, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ბელგიელებს არც ისე შორეული გამოცდილება აფერხებდეთ: ცოტა ხნის წინათ ხომ იქ ჩეჩენთა ჯგუფები გამოავლინეს, რომელიც ტრეფიკინგსა და ავტომანქანების უკანონო რეგისტრაციას ეწეოდა.

*24 საათი*

# „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატები გაქურდეს

არასამთავრობო ორგანიზაციის "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატებს, რომლებიც უკვე წელიწადნახევარია უფასო დახმარებას უწევენ საოლქო სასამართლოში მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესებში მონაწილე დაზარალებულებს, გუშინ, დილით, ოფისი გაქურდული დახვდათ.

საოლქო სასამართლოსთან ახლოს, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში დაქირავებიული ბინიდან, სადაც "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატები მუშაობენ, მძარცველებმა კომპიუტერული სისტემის ბლოკი, ეგრეთ წოდებული "პროცესორები" წაიღეს. მატერიალური ზარალი გუშინვე დადგინდა, ის 2 ათას დოლარს აღემატება. პარალიზებულია ხუთი ადვოკატის პერსონალური კომპიუტერი, სადაც სისხლის სამართლის საქმეების შესახებ კონფიდენციალური მასალები ინახებოდა. განადგურებულია ადვოკატთა წელიწადნახევრიანი მუშაობის მონაცემთა ბაზა.

"გუშინ მომხდარი ნიშნავს იმას, რომ ვილაცას ჩვენს ორგანიზაციაში არსებული ინფორმაცია აინტერესებდა და ჩვენი მუშაობის შეფერხება ჰქონდა მიზნად დასახული", - აცხადებენ დაზარალებული არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი ადვოკატები, რომლებიც მონაწილეობენ პროექტში "უფასო დახმარება თბილისის საოლქო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეებზე".

სამართალდამცველებმა მომხდარ ქურდობასთან დაკავშირებით გუშინვე აღძრეს სისხლის სამრთლის საქმე, თუმცა ქურდობაში ეჭვმიტანილები ჯერ არ ჰყავთ. სხვათა შორის, ადვოკატთა გაქურდული ოფისი თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოდან რამდენიმე მეტრის დაშორებით მდებარეობს.

*24 საათი*

# რუსთავში ეკლესია გაძარცვეს

გუშინ, გამთენიისას, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა რუსთავის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია გაძარცვეს.

ბოროტმოქმედები ეკლესიაში სამრეკლოს სარკმლიდან შევიდნენ და მხოლოდ შესაწირის ყუთი წაიღეს, რომელშიც, ეკლესიის მსახურთა ვარაუდით, მცირე თანხა თუ იქნებოდა. ისინი ძარცვის მოტივს გამორიცხავენ და მომხდარს ეკლესიის დარბევად აფასებენ.

დანაშაულის ადგილზე აღმოჩენილია სისხლი, რომელიც ერთ-ერთ მძარცველს, სავარაუდოდ, სარკმლიდან გადასვლის დროს მიღებული ჭრილობიდან სდიოდა.

მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. დაკავებულია რამდენიმე ეჭვმიტანილი.

ჯერჯერობით უცნობია, სად იყო ძარცვის დროს ეკლესიის დარაჯი, რომელიც ამჟამად არსად ჩანს და, შესაბამისად, ვერც მისი დაკითხვა ხერხდება.

*ინტერ-პრესი*

# სასჯელაღსრულების დეპარტამენტი საარჩევნო რეჟიმზე გადადის

სასჯელაღსრულების დეპარტამენტი 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით დღეიდან მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდა.

გუშინ ამ საკითხს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ოპერატიული თათბირი მიეძღვნა.

საგანგებო რეჟიმზე გადასვლის მიზანია, თავიდან აიცილონ ექსცესები. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ შოთა კოპაძემ აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების თითოეულ დაწესებულებაზე დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის თანამშრომლები არიან მიმაგრებულნი.

საპარლამენტო არჩევნებისას თბილისის N1 და ზუგდიდის, ქუთაისის, ბათუმის საპყრობილეებსა და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოებში საარჩევნო უბნები გაიხსნება.

*მედია-ნიუსი*

# ტერორისტული სექტის წევრს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს

ტოკიოს საოლქო სასამართლომ ოთხშაბათს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა "აუმ სინრიკოეს" სახელწოდებით ცნობილი სექტის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, 41 წლის ტომოსასუ ნაკაგავას, რომელსაც ბრალი ედება 1995 წელს ტოკიოს მეტროში მომწამლველი გაზის - ზარინის გამოყენებაში. როგორც ცნობილია, მაშინ გაზის გაშვების შედეგად ასობით ადამიანი დაიღუპა და დაშავდა.

ნაგავა სექტის მეათე წევრია, რომელსაც ნერვულ-პარალიტიკური გაზის გამოყენებისთვის სასამართლომ სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

ამჟამად სასამართლო განიხილავს სექტის სულიერი ლიდერის სიოკო ასაჰარას საქმეს. შვიდწლიანი სასამართლო პროცესი ამ კვირის ბოლოს უნდა დასრულდეს, თუმცა ვარაუდობენ, რომ ასაჰარას 2004 წელს გამოუტანენ განაჩენს.

ტოკიოს მეტროში ადამიანების წინააღმდეგ მომწამლველი ნივთიერების გამოყენება იაპონიის ისტორიაში ტერორიზმის ყველაზე სისხლიან აქტად რჩება.

# გერმანიაში ნეონაცისტებს იჭერენ

გერმანიაში Combat-18-ის სახელით ჩატარდა ფართომასშტაბიანი ოპერაცია ცნობილი ნეონაცისტური დაჯგუფების წინააღმდეგ.

პოლიციამ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში გაჩხრიკა 50-მდე სახლი. ისინი იარაღს, სააგიტაციო მასალებსა და სხვა დოკუმენტებს ეძებდნენ. ქალაქებში - კილსა და ფლენსბურგში ჩატარებულ ოპერაციებში მონაწილეობას 300 პოლიციელი იღებდა. რეიდების შედეგად დააპატიმრეს რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან პოლიტიკური გეგმების მქონე კრიმინალური დაჯგუფებების შექმნაში. გერმანიის პოლიციის მონაცემებით, 9 ნოემბერს, გერმანიის პრეზიდენტის ვიზიტისას, Combat-18 გეგმავდა მიუნხენში მდებარე ებრაელების ცენტრის აფეთქებას.

ვარაუდობენ, რომ დაჯგუფების წევრები აპირებდნენ, ამგვარად აღენიშნათ მათთვის ღირშესანიშნავი თარიღი. საუბარია 1938 წლის 9 ნოემბერს მომხდარ, "ბროლის ღამის" სახელით ცნობილ დარბევაზე, რომლის დროსაც ათობით ებრაელი დახოცეს და ასობით სახლი გაძარცვეს.

თავად ორგანიზაცია Combat-18 დიდ ბრიტანეთში შეიქმნა და მხოლოდ მერე გადაინაცვლა სხვა ქვეყნებში. ციფრები, რომლებიც მის სახელწოდებაში ფიგურირებს – "1" და "8" სიმბოლურია და ანბანში ადოლფ გიტლერის ინიციალების შემადგენელი ასოების რიგითობას აღნიშნავს. ამ ნაცისტური დაჯგუფების წევრები არაერთხელ ყოფილან დადანაშაულებულნი რასობრივი შუღლის გაღვივებაში. ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლის თქმით, ორგანიზაციის ძირითადი ბირთვი სულ 10 ადამიანისგან შედგება. ჯერჯერობით, უცნობია, დაკავებულთა შორის არის თუ არა ვინმე ამ ათეულიდან.

ბოლო ხანებში გერმანიაში სულ უფრო ხშირად საუბრობენ ნაცისტური მოძრაობის გააქტიურებაზე. შარშან ფართომასშტაბიანი ოპერაცია ჩატარდა ორგანიზაცია Hammer Skins-ის წინააღმდეგ. რაც შეეხება Combat-18-ს, ამ ორგანიზაციის შესახებ სამართალდამცველებმა ბასტილიის აღებისადმი მიძღვნილი ყოველწლიური აღლუმის მიმდინარეობისას ჟაკ შირაკზე თავდასხმის გამო გაიხსენეს. მათ ეჭვი ჰქონდათ, რომ ადამიანი, რომელიც საფრანგეთის პრეზიდენტზე თავდასხმის ბრალდებით დააკავეს, ნეონაცისტებთან, კერძოდ – სწორედ Combat-18-თან იყო კავშირში.

# მაჟორიტარი კანდიდატები - ვინ საიდან იკვლევს გზას პარლამენტისკენ

## მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი

სოფო ბუკია

### თიანეთი

■ ლევან ქისტაური, დამოუკიდებელი

■ შალვა დოჭვირაშვილი, დამოუკიდებელი

■ თამაზ მეჭიაური, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის",

■ არჩილ ჯამაგიძე, "ახალი მემარჯვენეები", შპს "ორბის" დირექტორი

■ილია არჩემაშვილი, "ლეიბორისტული პარტია

■ელიზბარ ხუცურაული, "აღორძინება", ინჟინერ-ეკონომისტი, შპს "საბადური"-ს დირექტორი

1999 წელს თიანეთის მაჟორიტარი დეპუტატი "ლეიბორისტული" პარტიის კანდიდატი **თამაზ მეჭიაური** გახდა. წელს მეჭიაური სახელისუფლებო ბლოკის სახელით ეცდება პარლამენტში მოხვედრას. "ლეიბორისტების" ღირსებას კი სს "მაუდის" თიანეთის ფილიალის დირექტორი **ილია არჩემაშვილი** დაიცავს.

### მცხეთა

■დავით ზეიკიძე, დამოუკიდებელი

■კობა მძევალიშვილი, დამოუკიდებელი

■ბადრი ხატიძე, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის", პარლამენტარი

■კახაბერ წოწინაშვილი, ლეიბორისტული პარტია, მცხეთის რაიონის წილკნის საკრებულოს გამგებელი, პარტიის რეგიონული ორგანიზაციის კოორდინატორი

■იოსებ ზარიძე, არასახელისუფლებო ბლოკი "სამშობლო"

ოთხი წლის წინ საკუთარ მაჟორიტარად მცხეთელებმა "მოქკავშირელი" **არმაზ შამანაური** აირჩიეს. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულად დანიშვნის გამო, პარლამენტიდან წასული შამანაურის ვაკანტური ადგილი **ბადრი ხატიძემ** დაიკავა, რომელიც წელს მცხეთაში სახელისუფლებო ბლოკის ინტერესებს დაიცავს. "ლეიბორისტების" კანდიდატია მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის საკრებულოს თავმჯდომარე **კახაბერ წოწინაშვილი**. ძველი სატახტო ქალაქის ამომრჩეველთა გულის მოგებას თბილისის პოლიციის ყოფილი შეფი **დავით ზეიკიძეც** შეეცდება. 1999 წელს ზეიკიძე ედპ-ს რიგებიდან ცდილობდა მცხეთის მაჟორიტარობას, წელს იგი დამოუკიდებელი კანდიდატია.

### დუშეთი

■ივანე თეთრუაშვილი, დამოუკიდებელი

■ბესიკ წოწკოლაური, დამოუკიდებელი

■დოდო ხეთაგური, "ახალი მემარჯვენეები", "ახალების" დუშეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე

■თემურ დოლიშვილი, "ლეიბორისტული პარტია"

■მარინა მოლოდინი, "ბურჯანაძე-დემოკრატები", ფრანგული ენის მასწავლებელი, პარლამენტარი

■მევლუდ ბურდული, "სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა"

1999 წელს "მოქკავშირელმა" **მარინა მოლოდინმა** "ლეიბორისტი" **შალვა ნათელაშვილი** დაამარცხა და დუშეთის მაჟორიტარი დეპუტატი გახდა. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში პრეზიდენტის ყოფილი სახელმწიფო რწმუნებულის კობა ბუჩუკურის მეუღლე მარინა მოლოდინი წელს დუშელთა გულის მოგებას "ბურჯანაძე-დემოკრატების" რიგებიდან შეეცდება. ნათელაშვილმა პარლამენტში მოხვედრის უფრო მარტივი გზა არჩია და საკუთარი პარტიის საარჩევნო სიას ჩაუდგა სათავეში. დუშეთში "ლეიბორისტების" მაჟორიტარობის კანდიდატი ექიმი-ვეტერინარი, "ლეიბორისტული პარტიის" დუშეთის რეგიონული ორგანიზაციის კოორდინატორი **თემურ დოლიშვილი** გახლავთ. "ნაციონალების" რჩეულია საქართველოს ტყეგზაპროექტის დირექტორის მოადგილე **მევლუდ ბურდული**.

### ყაზბეგი

■ეთერ დვალიშვილი, დამოუკიდებელი

■რეზო სუჯაშვილი, დამოუკიდებელი

■რომან მარსაგიშვილი, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის"

■ლონგინოზ ჩქარეული, "ლეიბორისტული პარტია, იურისტი, დემოკრატ იურისტთა კავშირის ყაზბეგის ფილიალის თავმჯდომარე

■ბესიკ ჩქარეული, "სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა", ფილოლოგი

■ზურაბ კობიაშვილი, "აღორძინება", მშენებელ-ინჟინერი

გასული ოთხი წლის განმავლობაში ყაზბეგელთა ინტერესებს პარლამენტში 1999 წლის დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატი **რეზო სუჯაშვილი** იცავდა. სუჯაშვილი წელსაც დამოუკიდებლად "ასპარეზობს".

### ახალგორი

■ცეზარ ჩოჩელი, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის", ეკონომისტი

■ავთანდილ ყოჩიშვილი, "ლეიბორისტული პარტია, ინჟინერ-მექანიკოსი,

■ვლადიმერ გუცაევი, "სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა", შპს "მცხეთა"-ს პრეზიდენტი

■ვარა ობგაიძე-მელაშვილი, "აღორძინება", ფინანსისტი, საერთაშორისო ჰუმანიტარული ასოციაცია "კათარზისის" მთავარი ბუღალტერი

ახალგორის ამჟამინდელი მაჟორიტარი **ავთანდილ ჩიტიშვილი** წლევანდელ კანდიდატთა სიაში არ ფიგურირებს. 1999 წელს ჩიტიშვილი "მოქალაქეთა კავშირის" ინტერესებს იცავდა. წელს სახელისუფლებო ბლოკმა ჩიტიშვილს ეკონომისტი **ცეზარ ჩოჩელი** არჩია. "ლეიბორისტების" ახალგორელი სახე **ავთანდილ ყოჩიშვილი** საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ახალგორის სამმართველოს დირექტორია. ახალგორის დეპუტატობას შეეცდება ასევე თბილისის "დინამოს" ყოფილი თავდამსხმელი **ვლადიმერ გუცაევი**. ცხრა ნომერი მაისურის ნაცვლად გუცაევი ამჯერად "ნაციონალების" ხუთნომრიანი მაისურით "იასპარეზებს".

### ბორჯომი

■ზაზა ჯოხაძე, "ახალი მემარჯვენეები", "ახლების" სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ორგანიზაციის კოორდინატორი

■როლანდ ლომიძე, "ლეიბორისტული პარტია", იურისტი

■ნოდარ გრიგალაშვილი, "სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა", პარლამენტარი

■თამაზ გელაშვილი, "აღორძინება", ინჟინერ-მექანიკოსი, შპს "მზეკაბანის" პრეზიდენტი

■პაატა გოგალაძე, , არასახელისუფლებო ბლოკი "სამშობლო", ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირის საადვოკატო ბიუროს ადვოკატი

■რევაზ აიწურაძე, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", ჟურნალისტი, შპს "ტელერადიოკომპანია სპორტი+"-ის გენერალური დირექტორი

"სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ბორჯომში **ნოდარ გრიგალაშვილი** 1999 წლის არჩევნებშიც ღებულობდა მონაწილეობას. ოთხი წლის წინ, მწერალთა კავშირის წევრი, ფილოლოგი გრიგალაშვილი "ლეიბორისტების" ღირსებას იცავდა. "ახალი მემარჯვენეების" კანდიდატი **ზაზა ჯოხაძე** "ახლების" სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ორგანიზაციის კოორდინატორია, 1999 წელს ბორჯომის მაჟორიტარობას იგი "მოქკავშირის" რიგებიდან ცდილობდა. "მრეწველთა" კანდიდატი **რევაზ აიწურაძე** თბილისის საკრებულოს წევრი გახლავთ. სახელისუფლებო ბლოკს ბორჯომში საკუთარი კანდიდატი არ მიუვლენია.

### ახალციხე

■გოჩა გვარამაძე, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის", პარლამენტარი

■თამარ სამსონიძე, "ახალი მემარჯვენეები", ახალციხის პროფესიული ლიცეუმის დირექტორი

■თეიმურაზ ონოფრიშვილი, "ლეიბორისტული პარტია, გეოფიზიკოსი, მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

■გოჩა ნათენაძე, "ბურჯანაძე-დემოკრატები", სამეწარმეო და საფინანსო სამართლის სპეციალისტი

■გოჩა კურტანიძე, "სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა",

■სერგო კაროიანი, "აღორძინება"

სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატი **გოჩა გვარამაძე** პარტიულ ერთგულებას იცავს. 1999 წელს ახალციხის მაჟორიტარობა გვარამაძემ "მოქალაქეთა კავშირის" მხარდაჭერით მოიპოვა. 1999 წლის ახალციხის მაჟორიტარობის კანდიდატთა შორის იყო ასევე "ბურჯანაძე-დემოკრატების" ფავორიტი **გოჩა ნათენაძე**. ოთხი წლის წინ იგი "ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის" რიგებში გახლდათ.

### ადიგენი

■ავთანდილ გელაძე, დამოუკიდებელი

■გოჩა ქიმაძე, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის", პარლამენტარი

■ვანო მერაბიშვილი, "სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა", პარლამენტარი

■იოსებ პაქსაძე, "აღორძინება", პოლიტოლოგი

1999 წელს ადიგენელთა გულის მოგება **გოჩა ქიმაძემ** დამოუკიდებლად შეძლო. წელს მან დამოუკიდებლობას სახელისუფლებო ბლოკის დახმარება არჩია. ადიგენის მაჟორიტარობის კანდიდატთა შორის ყველაზე ცნობილი სახეა "ნაციონალი" პარლამენტარი **ვანო მერაბიშვილი**. ოთხი წლის წინ მერაბიშვილი პარლამენტში "მოქკავშირის" პარტიული სიით მოხვდა, სახელი კი "ვაშინგტონ პოსტისთვის" მიცემული სკანდალური ინტერვიუთი გაითქვა. წლევანდელი დამოუკიდებელი კანდიდატი **ავთანდილ გელაძე** 1999 წელს "მწვანეთა პარტიის" ღირსებას იცავდა.

### ასპინძა

■ჯამბულ ხოზრევანიძე, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის", აირის საბადოების დამუშავება

■მალხაზ სანდროშვილი, "ახალი მემარჯვენეები"

■რამაზ თედორაძე, "ლეიბორისტული პარტია, ინჟინერ-მექანიკოსი

■ემზარ ასპანიძე, "ბურჯანაძე-დემოკრატები"

■კობა ოთანაძე, "აღორძინება", იურისტი

■ზვიად ბერიძე, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", თსუ მესხეთის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის მასწავლებელი

ასპინძის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ედვარდ სურმანიძემ** წელს ასპინძას "თავი დაანება". სურმანიძე "ბურჯანაძე–დემოკრატების" პარტიული სიით კმაყოფილდება. მის ნაცვლად ამ ბლოკის ინტერესებს ასპინძაში ბორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისის საკრებულოს წევრი **ემზარ ასპანიძე** დაიცავს. "ახლებმა" ასპინძაში შპს "რუსთავიჰესის" დირექტორი **მალხაზ სანდროშვილი** მიავლინეს.

### ახალქალაქი

■ანასტასი ქოჩიანი, დამოუკიდებელი

■ჰამლეტ ბაღბეკიანი, დამოუკიდებელი

■არტურ ერემიანი, დამოუკიდებელი

■ჰამლეტ შახპიტიანი, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის"

■ოთარ იაგორაშვილი, "ლეიბორისტული პარტია, არქიტექტორი, ახალქალაქისა და ნინოწმინდის ინსპექტორი

■ჰამლეტ მოვსესიანი, "ბურჯანაძე-დემოკრატები", პარლამენტარი

■მერუჟან ეზოიანი, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", ექიმი ვეტერინარი, ახალქალაქის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსი

ახალქალაქის ამჟამინდელი მაჟორიტარი **მელიქ რაისიანი** 1999 წელს "მოქალაქეთა კავშირის" მხარდაჭერით მოხვდა პარლამენტში. წელს იგი კანდიდატთა სიაში არ ფიგურირებს. მის ნაცვლად სახელისუფლებო ბლოკის ინტერესებს **ჰამლეტ შახპიტიანი** დაიცავს. "ლეიბორისტების" კანდიდატი **ოთარ იაგორაშვილი** ახალქალაქისა და ნინოწმინდის ინსპექტორი გახლავთ. "ბურჯანაძე-დემოკრატების" ფავორიტია პარლამენტარი **ჰამლეტ მოვსესიანი**. მოვსესიანი პარლამენტში "მოქკავშირის" პარტიული სიით მოხვდა. იგი სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის წევრია.

### ნინოწმინდა

■ენზელ მქოიანი, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის",

■მჰერ გრიგორიანი, "ბურჯანაძე-დემოკრატები", ექიმი

ნინოწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი **ენზელ მქოიანი** 1999 წელს დამოუკიდებელი კანდიდატი გახლდათ. წელს იგი სახელისუფლებო ბლოკის სახელს დაიცავს. "ბურჯანაძე-დემოკრატების" კანდიდატი **მჰერ გრიგორიანი** ნინოწმინდის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეა.



www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# ამ არჩევნებით შევარდნაძე უნდა გავაცილოთ

ჩემმა ოპონენტებმა შექმნეს ნამდვილი მითი უძლეველი, ყოვლისშემძლე, საშინლად ჭკვიანი ჟვანიას შესახებ.

"თუ ხალხს არ ექნება თავისი ხელისუფლების სამართლიანად და თავისუფლად არჩევის საშუალება და ხელისუფლება უკიდურეს ზომამდე მიიყვანს, მათ აჯანყების უფლება აქვთ..." - ეს იდეა დემოკრატიის იდეისაგან განუყოფელია.

ყველაფერს, რაც დღეს შევარდნაძისეულ საქართველოში თავდაყირა დგას, საკუთარი ადგილი უნდა მივუჩინოთ



პირველი გვერდიდან

**- მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარად ჩრდილში გადახვედით, მაინც თქვენ გბრალდებათ ენერგოკრიზისი თუ გაყალბება. ახლა ეგზით პოლების გამო, ლამის საერთაშორისო ორგანიზაციების კონტროლსაც გაბრალებენ...**

- სანამ სპიკერი ვიყავი, ჩემი ოპონენტების მხრიდან უკლებლივ ყველაფერი მბრალდებოდა. ზოგიერთი ბრალდება სასაცილოდ გამოიყურებოდა - როდესაც მთავრობა ბიუჯეტს აგდებდა, ჟვანია იყო დამნაშავე; როდესაც საგარეო პრობლემები დგებოდა - მაშინაც. ასეთ ვითარებას შევეჩვიე კიდეც.

ჩემი გადადგომის შემდეგ ორი-სამი თვე ინერციით კიდევ გრძელდებოდა ეს ისტერიული შიში ჩემს მიმართ. ორი წელი გავიდა და, სამწუხაროდ, არც ხელისუფლებაში და არც სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებში მყოფ ჩემს ოპონენტებს არ განელებიათ საშინელი შიში ჟვანიას ფაქტორის მიმართ. ერთხელ, ჩერჩილს მისმა მეუღლემ ჰკითხა - რატომ არის, რომ ასე საშინლად გლანძღავენო. მან ღიმილით უპასუხა - მხოლოდ იმიტომ, ძვირფასო, რომ ჩემი ძალიან ეშინიათო... მხოლოდ ამის გახსენება შემიძლია.

ცოტა ხნის წინ, ნახევრად ხუმრობით ყველა იმ ბრალდების ჩამოთვლას ვცდილობდი, რაც ბოლო ორი-სამი თვის განმავლობაში ჩემი მისამართით გაისმა - წალკის წყალსაცავის აფეთქებას რომ ვცდილობდი, ენერგოკრიზისი რომ მოვაწყვე, რომ ვარ ერთდროულად შეერთებული შტატების და რუსეთის აგენტი, რომ საქართველოში ერთდროულად სომხებსაც ვლობირებ და თურქებსაც... საკმაოდ სასაცილო სია გამოვიდა.

**- რატომ ხდება ასე?**

- შიში - სხვა ახსნა არა მაქვს. თუმცა, ეს პრობლემას აღარ მიქმნის. საზოგადოება შეეჩვია ამ აბსურდს და თავიდან თუ როგორღაც რეაგირებდა და მორიგი სისულელის საპასუხოდ კითხვები იბადებოდა, დღეს ეს ჩემი პოლიტიკური საქმიანობის თანმხლები სამწუხარო ატრიბუტი გახდა.

ჩემმა ოპონენტებმა შექმნეს ნამდვილი მითი უძლეველი, ყოვლისშემძლე, საშინლად ჭკვიანი ჟვანიას შესახებ. კიდევ ერთ ცნობილ ისტორიას გავიხსენებ - როდესაც ტალეირანი გარდაიცვალა, პარიზის სალონებში ადამიანები ერთმანეთს ეკითხებოდნენ – ნეტავ, რისთვის დასჭირდა ამის გაკეთებაო...

ნებისმიერი ჩემი ნაბიჯი და განცხადება პანიკას იწვევს და მიხარია, რომ ჩემს ოპონენტებს ასეთი მაღალი წარმოდგენა აქვთ ჩემს შესახებ.

**- დიპლომატიური დღე გქონდათ. ჯერ აშშ-ს ელჩს შეხვდით, შემდეგ - რუსეთისას. ცხადია, საუბარი არჩევნებს შეეხებოდა. ამ ქვეყნებიდან რომლისთვის არის უფრო მნიშვნელოვანი არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება?**

- საზოგადოება ხედავს იმ უზარმაზარ ძალისხმევას, რაც შეერთებულმა შტატებმა გასწია იმ პროგრამების დაფინანსებით, რაც არჩევნების სამართლიანად ჩატარებას უნდა მომსახურებოდა (რომ აღარაფერი ვთქვათ ბეიკერის და სხვა მნიშვნელოვან ვიზიტებზე). ასე რომ, პასუხი ცალსახაა.

მეორეს მხრივ, მიხარია, რომ რუსეთის საელჩო წინა არჩევნებთან შედარებით ბევრად უფრო აქტიურად ადევნებს თვალყურს ამ პროცესებს და ყურადღებას არჩევნების მშვიდობიანად, თავისუფლად და სამართლიანად ჩატარებაზე ამახვილებს.

**- ხელისუფლება ქმნის მითს მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე. როგორ ფიქრობთ, გაყალბებული არჩევნების შემთხვევაში, ხალხის მიერ გამოთქმული პროტესტი დესტაბილიზაციად ჩაითვლება?**

- დემოკრატიული თეორიის ერთ-ერთ ფუძემდებლად ჯონ ლოუბი ითვლება. იგი, დაახლოებით, 350 წლის წინ შექმნილ თავის ტრაქტატში მთავრობის შესახებ (რომელიც შემდგომ ყველა დემოკრატიული მოღვაწის და, მათ შორის, აშშ-ს დამფუძნებელი მამების საქმიანობას დაედო საფუძვლად) წერდა, რომ თუ ხალხს არ ექნება თავისი ხელისუფლების სამართლიანად და თავისუფლად არჩევის საშუალება და ხელისუფლება უკიდურეს ზომამდე მიიყვანს, მას აჯანყების უფლება აქვს... ეს იდეა, ზოგადად, დემოკრატიის იდეისაგან, განუყოფელია.

ხელისუფლება პასუხისმგებელია იმაზე, რომ ადამიანებს ქუჩაში გამოსვლა არ მოუხდეთ. მოგონილი მიზეზით, შეიძლება, რამდენიმე ასეული ან რამდენიმე ათასი ადამიანი გამოვიდეს ქუჩაში. ეს კი დესტაბილიზაციას ვერ მოახდენს. მაგრამ, თუკი ხელისუფლება სხვა გზას არ ტოვებს, თავისი პრობლემების გადასაწყვეტად ასეულობით ათასები გამოდიან ქუჩაში. თუ ამომრჩეველი დაინახავს, რომ მას საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვის საშუალება ჰქონდა, ვერც ერთი, ვერც ორი ან სამი პარტია ვერ მოაწყობს დესტაბილიზაციას.

თუ ხელისუფლება მრავალ ათას ადამიანს განუცხადებს, რომ ისინი აღარ არიან ამომრჩეველთა სიებში (რაც თბილისში ხდებოდა) და თავის მთავარ კონსტიტუციურ უფლებას ვერ გამოიყენებენ, თუ ხელისუფლება ტოტალურად გააყალბებს არჩევნების შედეგებს და გამოაცხადებს, რომ მხარდაჭერის უდაბლესი დონის მიუხედავად, მან გაიმარჯვა - ეს, მართლაც, ძალზე სახიფათო მუხტს შექმნის.

მართალი გითხრათ, ადრე ბევრად უფრო შეშფოთებული ვიყავი. პროცესებს ვაკვირდები, სიებთან დაკავშირებული ვითარება, როგორღაც, რეგულირდება და ისეთი მდგომარეობა ნამდვილად აღარ არის, როგორიც, თუნდაც, ათი დღის წინ იყო. ცალკეული ხარვეზები და პრობლემები აუცილებლად დარჩება და იმედი მაქვს, რომ ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც ყველას გვეყოფა ჭკუა და პასუხისმგებლობის განცდა, რომ 2 ნოემბერს საქართველოში მორიგი, ძალზე მძიმე კონფრონტაცია არ გავაჩაღოთ.

**- როგორ განვითარდება მოვლენები 2 ნოემბერს, რისთვის ემზადებით და როგორ?**

- პირადად მე განსაკუთრებულ მღელვარებას არ ველი. ხელისუფლებისთვის ნამდვილად სიურპრიზი იქნება, როდესაც საკუთარი მოლოდინისგან ძალზე განსხვავებულ შედეგს მიიღებს. დარწმუნებული ვარ, რომ ოპოზიციას - ჩვენ, "ნაციონალურ მოძრაობას", "ახალ მემარჯვენეებს" - ყველა შანსი გვაქვს, რომ არჩევნები სერიოზული შედეგებით მოვიგოთ და თან ისე, რომ მომავალ პარლამენტში უმრავლესობა შევქმნათ. იმედი მაქვს, ამ დღეების განმავლობაში ოპოზიციას ერთობლივად თანამშრომლობის გონიერება გვეყოფა. ეს აუცილებელია, რათა არც გაყალბება, არც შედეგების შეცვლა და არც მღელვარება არ დავუშვათ.

**- რამდენად შესწევს ოპოზიციას ძალა და უნარი, რომ ხალხის უკმაყოფილება სამართლებრივ ჩარჩოებს არ გასცდეს?**

- ვიცი ნინო ბურჯანაძის და ჩვენი ბლოკის სხვა ლიდერების განწყობა. ჩემი პირადი განწყობაც ასეთია: ჩვენი მხრიდან ისეთ ქმედებებს არ დავუშვებთ, რომელმაც შეიძლება, საქართველოში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მშვიდობა და ქვეყანა ისევ კრიზისის ზღვარზე მიიყვანოს. დარწმუნებული ვარ, ამას ვერც ერთი სხვა ოპოზიციური ძალა ვერ მოახერხებს. ამის მოხერხებას მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლება შეძლებს, თუ ის თავხედურად შეეცდება არჩევნების გაყალბებას.

ვხედავ, რომ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ძალიან ბევრს ესმის ეს საშიშროება. ესმით, რომ ასეთი მცდელობები მათ ძალზე ძვირად დაუჯდებათ.

**- არ შემიძლია, არ გკითხოთ, რას ნიშნავს საარჩევნო ვიდეორგოლში თქვენი ბლოკის წევრის, დათო სალარიძის მიერ ხელისუფლების კანდიდატის, ჩრდილელის ქება და მხარდაჭერა?**

- სალარიძის მხრიდან ეს გამაოგნებელი განცხადება ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო. საშინლად უარყოფითი რეაქცია ჰქონდა ყველას. ვესაუბრეთ დავით სალარიძეს და, როგორც ჩანს, ამ საკითხებზე ჩვენი ბლოკის საბჭოზე სერიოზული ახსნა-განმარტების მიცემა მოუწევს. არ შეიძლება, ჩვენი ბლოკის წარმომადგენელი (მით უფრო, რომ სალარიძეს სერიოზული პოზიცია უკავია ბლოკში) მხარს უჭერდეს ხელისუფლების ჩვენთვის სრულიად მიუღებელ კანდიდატს.

**- სალარიძის თქვენს ბლოკში გამოჩენა სხვა ოპოზიციური პარტიების მხრიდან ბევრი ბრალდების მიზეზი გახდა...**

- ...და ეს ხდება ვაკის ოლქში, სადაც დეპუტატის ადგილისთვის ოპოზიციის ორი ღირსეული წარმომადგენელი იბრძვის. ოლქში, სადაც კანდიდატები ლევან გაჩეჩილაძე და მაია ნადირაძე არიან, წარმოუდგენელი და მიუღებელია ჩვენგან სხვა კანდიდატის, მით უფრო, სახელისუფლო ბლოკის კანდიდატის მხარდაჭერა.

ვფიქრობ, რომ "ახლებმაც" და "ნაციონალებმაც" იციან, რამდენად მიუღებელი და მოულოდნელი იყო ჩვენთვის სალარიძის ეს განცხადება.

**- სისტემის დემონტაჟზე საუბრობენ განსხვავებული პრიორიტეტებისა და მენტალობის ოპოზიციური პარტიები. რა გაქვთ საერთო ამ მოთხოვნაში? დემონტაჟი ზოგჯერ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ახლის აშენება...**

- საერთო ის არის, რომ სისტემა, რომლითაც დღეს ეს ქვეყანა იმართება, აუცილებლად უნდა შეიცვალოს. არსებულ სისტემაში ყველა უწყება ზუსტად იმის საპირისპირო საქმით არის დაკავებული, რაც კანონით ევალება - შინაგან საქმეთა უწყება კრიმინალების მფარველობით არის დაკავებული; საბაჟო - კონტრაბანდის ხელშეწყობით; განათლების სისტემა იმისთვის არის მომართული, რომ მშობლებს ფული შვილების გაუნათლებლობაში გადაახდევინოს; ჯანდაცვის სისტემა იმისთვის, რომ ადამიანებმა სამედიცინო დახმარება მაშინ ვერ მიიღონ, როდესაც ეს მათ სჭირდებათ და ა.შ. მარტივად რომ ვთქვათ, სისტემა უნდა გამოსწორდეს. ყველაფერს, რაც დღეს შევარდნაძისეულ საქართველოში თავდაყირა დგას, საკუთარი ადგილი უნდა მივუჩინოთ და ჩვენ ყველანი მყარად უნდა დავდგეთ ფეხზე...

**- "ბურჯანაძე დემოკრატები" ამ ცვლილებებს ევოლუციისა და არა რევოლუციის გზით აპირებენ. თქვენი ბლოკი ფრთხილი, მოზომილი კომენტარებით და პოზიციით გამოირჩევა. იმდენად, რომ აჭარაში "ნაციონალების" დარბევის შესახებ კომენტარმა ამ პარტიის ლიდერთა უკმაყოფილება გამოიწვია. რას უფრთხილდებით?**

- ვფიქრობ, პოლიტიკოსის პროფესია ის არის, რომ საკუთარ ამომრჩეველს, მოქალაქეს არსებული პრობლემები გადაუწყვიტოს და ახალი არ შეუქმნას; რომ სადაც შესაძლებელია, ჩააქროს და არა - წარმოშვას კონფლიქტი, ახალი წინააღმდეგობები. ჩვენი შეცდომების ფასს რიგითი ადამიანები იხდიან. როგორც წესი, პოლიტიკოსები ნაკლებად ისჯებიან საკუთარი შეცდომების გამო. ამდენად, ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი და განმსაზღვრელია პასუხისმგებლობა ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების, მისი მომავლის წინაშე.

ნამდვილად არ ვართ რევოლუციონერები. ნინო ბურჯანაძესაც, მეც და ბევრ ჩემს მეგობარს ძალზე მკვეთრი და ისეთი ნაბიჯები გადაგვიდგამს, რომლის მსგავსითაც საქართველოში ბევრი ვერ დაიკვეხნის. როდესაც დავინახე, რომ საზოგადოებას სჭირდებოდა - გადავდექი ჩემი თაობის ყველა პოლიტიკოსისთვის სანატრელი და უმეტესობისთვის მიუღწევადი პოსტიდან. გვსურს დავამტკიცოთ - პოლიტიკაში იმიტომ მოვედით, რომ საზოგადოებას ვემსახუროთ და არა საკუთარ ამბიციებს და ინტერესებს.

**- თქვენთვის არ იყო უცხო კომპრომისი, როდესაც დესტაბილიზაციის საშიშროება შეიქმნა (გადადგომას ვგულისხმობ). აგრეთვე, არ გაკლიათ პრინციპულობა და ხალხის გვერდით დგომის უნარი. თუკი ორიოდე დღეში, ამ არჩევანის წინაშე კვლავ დადგებით, რას მოიმოქმედებთ?**

- რა თქმა უნდა, ნებისმიერ ვითარებაში საზოგადოებასთან ერთად ვიქნები. იქ ვიქნები, სადაც პატიოსანი ქართველი უნდა იდგეს (პარტიულობას რომ თავი დავანებოთ), რომელსაც ძალიან უნდა, რომ ორმა ნოემბერმა განახლება, მშვიდობა და ცვლილება მოიტანოს. ის ცვლილება, რომელსაც ასე ნატრობს ასეულობით ათასი ჩვენი თანამოქალაქე, რომელსაც ბოლო ძალით უჭირავს სული და ელოდება, როდის იშოვის სამუშაოს, როდის შეძლებს მოხუცი მშობლების მიხედვას, საკუთარი შვილის მომავლის შექმნას. აი, ეს გვჭირდება ჩვენ ორ ნოემბერს.

**- ხელისუფლებას ცალსახად ჯერ არ აუღია პასუხისმგებლობა, რომ არჩევნები არ გაყალბდება. ამგვარი განცხადება არავის ახსოვს...**

- გარანტია ჩვენ უნდა შევქმნათ. იმ ადამიანებმა, ვინც ცვლილებებს ველით - პოლიტიკოსებმა, ექიმებმა, მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, გლეხებმა, პენსიონრებმა. გარანტია არჩევნებზე მისვლით უნდა შევქმნათ. იმით, რომ მთელი დღის განმავლობაში ვიქნებით ფხიზლად, რომ არ ვიქნებით ნეიტრალურები და პროცესს გამოთიშულები.

ამაზე მყარ გარანტიას ვერ შექმნის ვერც შევარდნაძე, ვერც ბუში და ვერც ვერავინ.

**- როგორი იქნება "ბურჯანაძე-დემოკრატები"-ს დებიუტი პარლამენტში?**

- დავიწყებთ იმით, რომ სხვა ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობის ხიდებს შევქმნით და იმ პრობლემების გრძელ ნუსხას მივხედავთ (უპირველესად, ეკონომიკურის), რომელთა გადაწყვეტა, მართლაც, გადაუდებელია.

**- თუკი პარლამენტში გასული ოპოზიცია კვლავ უმცირესობაში აღმოჩნდება, როგორ იმოქმედებთ, გაქვთ რაიმე კოორდინირებული გეგმა?**

- ნინო ბურჯანაძემ რამდენჯერმე განაცხადა და აბსოლუტურად ვიზიარებ აზრს, რომ ჩვენ აქედანვე შეგვიძლია, დავაფიქსიროთ სრული მზადყოფნა, რომ ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში, პარლამენტში ძალზე აქტიურად და კოორდინირებულად ვითანამშრომლოთ სხვა ოპოზიციურ ძალებთან. ეს რეალურად შექმნის ხელისუფლების შეცვლის წინაპირობებს.

**- თქვენი გადადგომის შემდეგ რა იყო ყველაზე უარყოფითი მოვლენა საქართველოში და ვინ იყო ამის ავტორი?**

- უარყოფითი მოვლენების მთელი ნუსხაა: რუსეთის კონტროლის ქვეშ ენერგეტიკის გადასვლა, საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციის რღვევა, საბიუჯეტო დავალიანების მკვეთრი ზრდა, ახალი საპენსიო და სახელფასო დავალიანებები... ყველაზე უარყოფითი არის ის, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ხელისუფლებამ, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით, მოახერხა და ქართული სახელმწიფოებრიობის ასე თუ ისე მყარი ჩანასახი საფუძვლიანად შეარყია.

უარყოფითი მოვლენების ნუსხა ერთ მთავარ პრობლემაში იყრის თავს - ჩვენ გავხდით სახელმწიფო, რომელიც არ იმართება, რომელსაც, პრაქტიკულად, ხელისუფლება არ ჰყავს - ყოველ შემთხვევაში, ხალხის ინტერესებზე ორიენტირებული ხელისუფლება.

**- ავტორი, რა თქმა უნდა, ცნობილია...**

- აბა, გამოიცანით...

**- ადამიანებს სრულიად ახლებური წარმოდგენა აქვთ საკუთარ უფლებებზე, არჩევნებზე და ეს უდავოდ ოპოზიციის დამსახურებაა. ელოდით თუ არა ხალხის ასეთ აქტივობას და არჩევნებით დაინტერესებას, თუნდაც, ორი თვის წინ, როდესაც წინასაარჩევნო კამპანიას იწყებდით, არის ეს თქვენი მოლოდინის მაქსიმუმი?**

- მართალი გითხრათ, საზოგადოების აქტივობის მაღალ ხარისხს თავიდანვე ვვარაუდობდი. ეს ცხადი იყო, რადგან ყველა ხვდება, რომ ამ არჩევნებით ედუარდ შევარდნაძე უნდა გავაცილოთ.

სვეტი



# პირადი ბიბლიოთეკა

პატრიკ ზიუსკინდი,
"კონტრაბასი"
(1984)

მალხაზ ხარბედია

პატრიკ ზიუსკინდის პირველი წარმატება სწორედ ამ ერთაქტიან პიესასთანაა დაკავშირებული და მკითხველისთვის არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ 1949 წელს დაბადებულ მწერალს სპეციალური მუსიკალური განათლება აქვს მიღებული. 1968-1974 წლებში იგი მიუნჰენის უნივერსიტეტში ისტორიას სწავლობდა, შემდეგ კი ფირმა "სიმენსის" საპატენტო განყოფილებაში მუშაობდა. ერთი ხანობა ზიუსკინდი პინგ-პონგსაც ასწავლიდა, სანამ "კონტრაბასი" არ დაიდგა 1980 წელს.

ამ პიესაში ოსტატურადაა გათამაშებული ფროიდისტული ტვინისჭყლეტები და მასში სნობური შარავანდედით შემოსილი კომპოზიტორების გრძელი სიისა თუ სხვა, ყოფითი ხუმრობების გარდა, შედარებით არქაული პლასტებიც შეგვიძლია აღმოვაჩინოთ. ეს არქაიკა, უპირველეს ყოვლისა, თავად მთხრობელთანაა დაკავშირებული და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთავარი მოვლენა - ბერძნული ტრაგედიების ყაიდაზე - სცენის მიღმა ხდება (ან არ ხდება), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მოვლენა არამხოლოდ სცენიური სივრცის, არამედ დროის მიღმაც გადის. გმირი "დაპირებით" ტოვებს სცენას, მანამდე კი, კვანძის გახსნის მოლოდინში, სხვადასხვა ამბებს გვიყვება. არადა, ანტიკურ ტრაგედიაში პირიქით იყო, ჯერ ამბები ხდებოდა, შემდეგ კი მაცნეები ჩნდებოდნენ ხოლმე სცენაზე და მომხდარის შესახებ მოგვითხრობდნენ.

ევრიპიდეს ტრაგედიები deus ex machina-თი სრულდებოდა. აქ, თანამედროვე ტრაგედიაში კი პირიქით, მახინათი იწყება ყველაფერი და ეს მახინა კონტრაბასის სახით (თუ კორპუსით) გვევლინება. გმირი ამბობს, ჩემი ბედი ზედგამოჭრილია კონტრაბასისტისთვისო და ფროიდისტული მეტაფორიკით გაჯერებულ თავის ამბავს გვიყვება: ჰყავდა მკაცრი მამა და სუსტი დედა, რომელსაც აღმერთებდა, თუმცა დედას მამა უყვარდა, მამას კი უმცროსი ქალიშვილი. მამის ზიზღით იგი გადაწყვეტილებას იღებს გახდეს არა მოხელე, არამედ ხელოვანი, დედაზე შურის საძიებლად კი ყველაზე დიდ, ყველაზე მოუხეშავ და "არასოლისტურ" ინსტრუმენტს ირჩევს და ბოლოს, მამის ჯინაზე მაინც მოხელე ხდება – სახელმწიფო ორკესტრის კონტრაბასისტი მესამე პულტთან. ამ როლში მყოფი კი, როგორც თავად ამბობს, ყველაზე დიდი მდედრობითი საკრავის, კონტრაბასის სახით, ყოველდღე აუპატიურებს საკუთარ დედას.

საბრალო მთხრობელს ამ პერმანენტული მორალური კატასტროფის პირობებში უწევს ცხოვრება და ეს მის ნევროტულ საქციელზეც აირეკლება. იქვე აღნიშნავს, სიკეთესა და ჭეშმარიტებაზე ორიენტირებული ხელოვანი ვარ და არაფერს ისე არ გავურბივარ, როგორც თავისუფალი იმპროვიზაციის ანარქიასო და მთელი მისი მონოლოგიც ზუსტად ერგება კეთილგონიერების ადამიანურ ნორმებს, რომ არა უკანასკნელი, სამომავლოდ გადადებული წარმოსახვითი "ინციდენტი", სადაც მან, მთელი ორკესტრისა და სახელოვანი დირიჟორის წინაშე თავისი საყვარელი ქალის სახელი უნდა დაიღრიალოს, რათა ყურადღება მიიქციოს. არადა, მისი სიტყვით, ეს ქალი არაფრით გამოირჩევა, ძალზე უფერული ვინმეა და არც ხასიათი უვარგა, სამაგიეროდ, როცა მღერის...!!!

საერთოდაც, მთლიანად ეს მონოლოგი მუსიკის ჰიმნად აღიქმება, უფრო სწორად კი, ამ ჰიმნზე შეთხზულ პაროდიად, და რიტორიკული მრავალსიტყვაობის შემდეგ ("მუსიკა იარსებებს მუდამ და ყველგან – აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც, სამხრეთ აფრიკაშიც და სკანდინავიაშიც, ბრაზილიაშიც და გულაგის არქიპელაგშიც. მუსიკა მარადიული.") მთხრობელი თავის სანუკვარ ოცნებასაც გაგვანდობს: იგი შუბერტის ფორელ-კვინტეტის შესრულებაზე ოცნებობს და იქვე აცნობიერებს, რომ ამის მისაღწევად მან უნდა დაივიწყოს თავისი გიჟური ახირება და ახალ გზას უნდა დაადგეს: სიბეჯითე და მოთმინება, პირველი კონტრაბასისტობა მეორე კატეგორიის ორკესტრში, მეორე კონტრაბასი პირველი კატეგორიის ორკესტრში და ა.შ. ვიდრე საბოლოოდ არ მომწიფდება კვინტეტისთვის. თუმცა, მთხრობელი იმასაც აღნიშნავს, ჩემხელა რომ იყო, შუბერტი უკვე სამი წლის მკვდარი იყოო.

ნაწარმოებში ძალზე საინტერესოდ არის არეკლილი სხვადასხვა "კულტუროლოგიური" პლასტი. ფსიქოანალიზის გარდა, უნდა აღინიშნოს ე.წ. ვაგნერის თემა, 1968 წლის მაისის ახალგაზრდული გამოსვლები, მოცარტი, ვებერის საორკესტრო რევოლუცია, ბეთჰოვენი და ეს ყველაფერი "ფუნდამენტური სიღრმის მქონე მთავარი ფუძემდებლური ინსტრუმენტის", კონტრაბასის თანხლებით ხდება, ინსტრუმენტისა, რომელსაც ოდესღაც ნაწლავის სიმი ჰქონია, ახლა კი მოქრომული მეტალისა აქვს. იგია მისი საყვარელიც და მისი მარტოობის გამზიარებელიც, მისი უეცარი შიშებისა და ნევროზების წამალი. იგი ვერ იტანს ამ ინსტრუმენტს, მაგრამ მაინც იძულებულია თავისი გახევებული თითები უფათუროს და ტილიანი ხემი უსვას მას.

# "კავკასიური წყვილის" კავკასიური გადაღებები

სალომე კიკალეიშვილი

"სტუდია 99"- ის სახელი უცხოელი რეჟისორებისთვისაც ცნობილია. ამ საპროდუქციო კომპანიას, ჟანა სარდლიშვილის ხელმძღვანელობით, არაერთ მნიშვნელოვან პროექტში მიუღია მონაწილეობა. სწორედ ამ კომპანიაში გადაიღეს ფილმები - ნანა ჯორჯაძემ, ჟული ბერტუჩელიმ, ინეკე სმიტმა... ამჯერად "სტუდია 99" გერმანულ კომპანია "ეგოლთან" ერთად ახალ პროექტზე, კერძოდ კი, გერმანელი რეჟისორის - ტატიანა ბრანდრუპის ფილმზე მუშაობს. "კავკასიური წყვილი" - ასე ერქმევა ფილმს, რომლის სიუჟეტიც 90-იან წლებში ვითარდება; მთავარ როლებს დანიელი მსახიობი ან ელეონორე იორგენსონი და დუტა სხირტლაძე ასრულებენ. ფილმის გადაღება თვის ბოლომდე - თბილისში, შემდეგ - მიუნჰენში, ახალქალაქსა და გუდაურში, საბოლოოდ კი გერმანიაში გაგრძელდება.

ფილმის რეჟისორს ტატიანა ბრანდრუპს ბარნოვზე, ერთ გერმანულ კაფეში შევხვდი. არ ვიცოდი, როგორ გამოიყურებოდა – მხოლოდ ის ვიცოდი, რომ გაშლილი თმა და დიდი მუცელი უნდა ჰქონოდა. კაფეში შესვლისთანავე დავინახე მაგიდასთან მარტოდ მჯდომი 7 თვის ორსული ტატიანა, რომელიც მოუთმენლად ელოდებოდა ცხელ წვნიანს.

**- ტატიანა, როგორ უთავსებთ ფეხმძიმობის არცთუ მარტივ პერიოდს რეჟისორის რთულ საქმიანობას?**

- ჩემი აზრით, ეს ძალიან ინდივიდუალურია. ეს ხომ ბუნებრივი პროცესია და არა - ავადმყოფობა. მე კი იმდენ ხანს ველოდი ამ ფილმისთვის საჭირო თანხას, და იმდენად მინდოდა ამ ფილმზე მუშაობა, რომ ფეხმძიმობას ხელის შემშლელ ფაქტორად არ აღვიქვამ. მიმუშავია სატელევიზიო და მოკლემეტრაჟიან ფილმებზე; ვყოფილვარ სცენარისტიც. ეს ფილმი ჩემი პირველი სრულმეტრაჟიანი ნამუშევარი იქნება.

**- საინტერესოა, როგორი იქნება თქვენ ფილმში საქართველო. გარკვეულ წილად, ალბათ, იცნობდით კიდეც ამ ქვეყანას, რადგან ფილმის გადაღება აქ გადაწყვიტეთ?**

- საქართველოზე ჯერ კიდევ ბავშვობიდან მსმენოდა; დედაჩემი რუსია და ჩვენ ყოველთვის ბევრი ნაცნობი გვყავდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. სტუდენტობისას ლიანა ისაკაძის ორკესტრთან ვმუშაობდი თარჯიმნად. 1989 წელს კი, როცა პირველად ჩამოვედი თბილისში, უკვე ფილმის შექმნის იდეა დამებადა. თუმცა, გერმანიაში ჩასულს დაფინანსებაზე უარი მითხრეს, რადგან ბევრმა მაშინ ისიც კი არ იცოდა, სად იყო საქართველო - ჯორჯია მათთვის ამერიკის ჯორჯია იყო. არც იმის სჯეროდათ, რომ ვინმე დაინტერესდებოდა ამ ფილმით დასავლეთში. ასე რომ, მთელი 10 წელი დამჭირდა საჭირო თანხის შესაგროვებლად.

**- თქვენი პირველი ჩამოსვლიდან დიდი დრო გავიდა. რა შეიცვალა თბილისში ამ 13 წლის მანძილზე?**

- თბილისი, მართლაც, შეცვლილია - ზოგი რამ უკეთესობისკენ, ზოგიც - პირიქით. ეს არ არის მარტივი გზა - კომუნიზმიდან დემოკრატიამდე. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ხალხს იმედი აქვს დაკარგული - არაფრის და აღარავის არ სჯერა. მაგალითად, ქართული ჯგუფის წევრებიდან, ვისაც კი ვკითხე, არავინ არ მიდის არჩევნებზე, - ამით მაინც არაფერი შეიცვლებაო.

**- ეს რთული, კრიზისული პერიოდი კინოზეც აისახა. დღეს საქართველოში კინოინდუსტრია, თითქმის, არ არსებობს. "პრომეთეს" კინოფესტივალზე გერმანელმა სტუმრებმაც გერმანულ კინოში არსებულ კრიზისზე ისაუბრეს...**

- კინემატოგრაფიული კრიზისი, მხოლოდ ჩვენი ან თქვენი კი არა, მთელი ევროპის პრობლემაა. თუმცა, გერმანიაში კინოინდუსტრია მაინც არსებობს და ამაზე ისიც მეტყველებს, რომ წელიწადში, დაახლოებით, 60 ფილმი კეთდება, რომელთაგან ეკრანამდე მხოლოდ 20 თუ აღწევს. ასე რომ, არც ისე რთული მდგომარეობაა. ფული კი, მართლაც, ძნელი საშოვნია...

**- ისევ თქვენს ფილმს მივუბრუნდეთ; სცენარის წაკითხვისას შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ეს იქნება სენტიმენტალურ-რომანტიკული ფილმი ამერიკული happy end-ით.**

- დიახ, ეს არის კომედია - თუ შეიძლება ასე ითქვას, ფილმი-ზღაპარი, სადაც გერმანელი ქალისა და ქართველი მამაკაცის - ანუ ზედმეტად რაციონალური ქალისა და ზედმეტად ემოციური კაცის სასიყვარულო ისტორია ვითარდება. მე სწორედ ასე ვხედავ ქართველ და დასავლელ ხალხს. დასავლეთში დღეს ყველა ფულის შოვნაზე, კარიერის შექმნაზეა გადასული და თავისი ცხოვრების დიდ ნაწილს მარტოობაში ატარებს. აქ ყველაფერი სხვაგვარადაა. შესაძლოა, ეკონომიკურად აყვავებული ქვეყანა არ გაქვთ, მაგრამ, სამაგიეროდ, გაქვთ ის, რაც ჩვენ, დიდი ხანია, დავივიწყეთ: ოჯახი, სიყვარული, ტრადიცია, კულტურა... სწორედ ამან მომხიბლა - ამიტომ გადავწყვიტე აქ გადაღება და ქართველი გმირის არჩევა. დუტასთან მუშაობა ნამდვილად სასიამოვნოა; მასთან ერთად მერაბ ნინიძესა და დოდო ჭიჭინაძესაც იხილავთ.

**- მალე გერმანიაში მიემგზავრებით გადაღებების დასასრულებლად. იმედია, პრემიერით მალევე გვეწვევით.**

- თუ ყველაფერი კარგად იქნა, რისი იმედიც მაქვს, მაშინ ზაფხულისთვის გეწვევით.

მეორე დღეს გუდაურში გადაღებებზე წასასვლელად დავიწყე მზადება. გუდაურში გარიჟრაჟზე, 8 საათისთვის ჩავედით. საშინლად ციოდა; გადაუღებელმა წვიმამ ჯგუფს მუშაობის საშუალება არ მისცა; ნახევარი დღე უქმად დაიკარგა. ეს რეჟისორისთვის და ჯგუფის წევრებისთვის, რომლებიც, როგორც წესი, საათივით აწყობილი გეგმის მიხედვით მოქმედებენ, ტრაგედიის ტოლფასი აღმოჩნდა. სამაგიეროდ, მე ვისარგებლე და სცენარით ხელში მანქანაში თბილად მოკალათებულ დუტა სხირტლაძეს გავესაუბრე:

**- დუტა, ეს შენი პირველი პროექტი არ არის უცხოელებთან. როგორ ეწყობი გერმანულ პუნქტუალურობას ქართველი კაცი?**

- არც ისე გამიჭირდა, რადგან ბუნებით ყოველთვის ძალიან პუნქტუალური ვიყავი. თუმცა, როცა საქართველოში მუშაობ, პუნქტუალურობა არც ისე საჭიროა - მოგცემენ ერთ-ორ შენიშვნას და მერე წყნარად ეგუებიან ყოველ დაგვიანებას. ასე რომ, პირიქით, ჩემ ძველ ყაიდაზე მომიწია გადასვლა. და იცი, უფრო კარგად ვმუშაობ - ასე ნამდვილად ჯობს.

**- ამჯერად როგორი იქნება დუტა სხირტლაძე?**

- ჩემი გმირი ძალიან დადებითი, ბავშვური ტიპია; და მე სრულებით არ მიხდება თამაში, იმიტომ, რომ თავიდან ბოლომდე მას ვგავარ - უბრალოდ, სცენარიდან ტექსტებს ვამბობ. მაგრამ, საქმე ის არის, რომ არც მე და არც ჩემმა დანიელმა პარტნიორმა არ ვიცით გერმანული და ტექსტის გერმანულად დაზეპირება გვიწევს (და უცებ იწყებს აბზაცების კითხვას სცენარიდან გერმანულად - ს. კ.)

ამ დროს ვიღაცამ დაიძახა, - წვიმამ გადაიღოო, - და უცებ, მთელი ჯგუფი გადაღების ადგილზე გაჩნდა... გვიან ღამით წამოვედით. გადამღები ჯგუფი არც ისე კმაყოფილი ჩანდა, რადგან, ცუდი ამინდის გამო რამოდენიმე მნიშვნელოვანი სცენა გადაუღებელი დარჩათ. ენით აუწერლად ლამაზი, უზარმაზარი, "ჩაძინებული" მთების ფონზე, პატარ-პატარა ფარებით განათებული, მწყობრში ჩამწკრივებული მანქანებით დავეშვით და მე, ჩემი რესპონდენტებისგან განსხვავებით, გუდაურში გატარებული ამ შაბათი დღით მაინც ვისიამოვნე.



# HOMO SAPIENS-ი სამხეცეში

ნანა ბასილაშვილი

თეატრისა და კინოხელოვნების უნივერსიტეტის პატარა დარბაზში გუშინ ჩემი, ფოტოკორესპონდენტისა და, ალბათ, კიდევ რამდენიმე ადამიანის გარდა, სულ "შინაურებმა" მოიყარეს თავი. ისინი გეგა ქურციკიძის სადიპლომო ნამუშევრის სანახავად და შესაფასებლად მოვიდნენ. თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა, რომელსაც უკვე თამამად შეიძლება რეჟისორი ვუწოდოთ, გუშინ თავისი საანგარიშო ჩვენებით ცხოვრების ერთი ეტაპი დაასრულა.

ეგრეთ წოდებულ სადიპლომო სპექტაკლზე რეჟისორი მცირერიცხოვან შემოქმედებით ჯგუფთან (სცენოგრაფი ქეთი ღამბაშიძე, მუსიკალური გაფორმება - თამრიკო სალუქვაძე, მსახიობები - ნიკა ქაცარიძე, გიორგი კაკალია) ერთად, დაახლოებით, ორი თვის განმავლობაში მუშაობდა. ჩვენებამ, რომელიც გეგა ქურციკიძისათვის ორმაგად საპასუხისმგებლო იყო, წარმატებით ჩაიარა. სპექტაკლის ბოლოს გეგას მისამართით ბევრი მადლობა და მილოცვა გაისმოდა, თუმცა არა მარტო მისი მისამართით - მაყურებელი მთელი შემოქმედებითი ჯგუფით კმაყოფილი იყო.
გეგა ქურციკიძემ თავის სადიპლომო სპექტაკლისათვის ედუარდ ოლბის პიესა, "რა მოხდა სამხეცეში," შეარჩია. ამავე სახელწოდების ფსიქოდრამაში რეჟისორი შეეცადა, მხოლოდ ორი გმირით "შერკინებოდა" ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ პრობლემას. როგორც თავად ამბობს, მან პრობლემა აჩვენა, მის გადასაჭრელად კი საზოგადოებას მოუწოდებს. ადამიანის ურთიერთობა ადამიანთან, საზოგადოებასთან და, პირიქით – სპექტაკლი ამაზეა; როგორ ერთიანდება, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული, სხვადასხვა შეხედულებებისა და გემოვნების მქონე, ორი ადამიანი.



სცენა სპექტაკლიდან.

პატარა სცენა საკმაოდ სადა დეკორაციითაა გაფორმებული. თუმცა, ფინალში სპექტაკლის მთავარ არსსა და იდეას სწორედ დეკორაცია ჰფენს ნათელს. ეს არის გალია, რომელიც, წარწერის მიხედვით, homo sapiens-ისთვისაა და რომელშიც უზარმაზარი სარკე კიდია. სპექტაკლის ერთ-ერთი გმირი საბოლოოდ სწორედ ამ გალიაში შეძვრება.

"მე მაინც ვფიქრობ, ადამიანებს უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერ ზოოპარკში არსებობს გალია, რომელიც ცარიელია და რომლის კარიც, სამწუხაროდ, ჯერ ღიაა...", - ამბობს გეგა ქურციკიძე.

თუ "რა ხდება სამხეცეში," მაყურებელი მეორედ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოხელოვნების უნივერსიტეტში სტუდენტურ ფესტივალზე იხილავს. შარშან გეგა ქურციკიძე, თავისი სადებიუტო ნამუშევრით, ამ ფესტივალის ლაურეატი გახდა საუკეთესო რეჟისურისა და სცენოგრაფიისთვის.

# პიკასოს მუზეუმის ინაუგურაცია მალაგაში

ამ დღეებში ესპანეთის მეფემ ხუან კარლოსმა და დედოფალმა სოფიამ მხატვრის მშობლიურ ქალაქ მალაგაში პაბლო პიკასოს (1881-1973) მუზეუმი გახსნეს.

პიკასოს ახალი მუზეუმის მუდმივმოქმედი გამოფენა 204 ნამუშევარს შეიცავს, რომელთაგან 160 ტილო ესპანელი ხელოვანის შვილიშვილებმა (კრისტინ რუის პიკასომ და ბერნარმა) მუზეუმს მემკვიდრეობით გადასცეს.

XVI საუკუნის რენესანსის სტილის შენობის გვერდით, რომელიც მალაგის შუაგულში, ისტორიულ ადგილას მდებარეობს, თავის დროზე თანამედროვე სტილის ნაგებობაც ააგეს, რომელშიც ბიბლიოთეკა და აუდიტორიუმია განთავსებული. ამჟამად ამ გრანდიოზულ შენობაში, რომელიც თანამედროვე და შუა საუკუნეების არქიტექტურულ სტილთა ნაზავი გახლავთ, მალაგის ხელოვნების მუზეუმმა დაიდო ბინა.

მუზეუმის თორმეტ დარბაზში პიკასოს შემოქმედების, თითქმის, ყველა ჟანრია წარმოჩენილი - ფერწერა, სკულპტურა, კერამიკა და გრავიურა. ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში გამოფენილი ექსპოზიცია, სახელად "პიკასოთა პიკასო", მნახველს სთავაზობს ბარსელონას, პარიზის, მადრიდის "რეინა სოფიას" მუზეუმებიდან და ჟორჟ პომპიდუს ცენტრიდან დროებით ნათხოვარ ნამუშევრებს.

პიკასოს მუზეუმის ინაუგურაცია მალაგაში დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა. ესპანეთის მეფე და დედოფალი მალაგის პორტში ესპანეთის საზღვაო-სანავიგაციო, სასწავლო გემით – "ხუან სებასტიან ელკანოთი" შევიდნენ. ამ რიტუალით მათ ხუან კარლოს I-ის პაპის, მეფე ალფონსო XIII-ის, ხსოვნას მიაგეს პატივი.

# აბსტრაქციები "ფოტოშოპში"

თეონა ჭაფარიძე

- გათბობა ჩართეს აკადემიაში?

- არა, ვიყინებით და საწყალ გაყინულ ნატურას ვხატავთ," – ყური მოვკარი "ძველი გალერეის" წინ შეგროვილ ხალხში აკადემიის სტუდენტების "აკადემიურ" დიალოგს, რომელმაც უნებურად მოლბერტის, ფუნჯის მონასმებისა და ფერწერის ასოციაცია გამოიწვია. ყოველივე ამის პარალელურად და საპირისპიროდ, გალერეაში კომპიუტერის პირმშო - "ფოტოშოპში" შესრულებული ნამუშევრები გამოეფინათ. არ გეგონოთ, რომ ფერწერასა და ახალ ტექნოლოგიებზე ტრადიციულ კამათს ვაპირებდეთ. ეს, უბრალოდ, ყურმოკრულმა საუბარმა მოიტანა. "ძველი გალერეა" მიშა ბერძენიშვილის გამოფენას მასპინძლობდა.



გამოფენიდან

ავტორი პროფესიით დიზაინერია და, როგორც შევიტყე, ამჟამად რეკლამის დიზაინზე მუშაობს. მისი საქმიანობიდან გამომდინარე, ჩემი პირველი შეკითხვაც წინასაარჩევნო პლაკატებსა და ბილბორდებს შეეხო. "უმეტესობა ულიმღამოდ და უინტერესოდაა შესრულებული, მაგრამ ეს, ჩემი აზრით, უფრო დამკვეთის ბრალი უნდა იყოს. ჩემს დღევანდელ გამოფენას კი პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არ აქვს," – მითხრა ავტორმა.

ნამუშევრებმა 90-იანი წლების დასაწყისში დამაბრუნა - იმ დროში, როცა ქართველმა მხატვრებმა კომპიუტერს გემო გაუსინჯეს და უხარისხოდ ან იდეის გარეშე შესრულებული ნამუშევარიც კი ნოვატორულად რომ ითვლებოდა. გუშინდელი გამოფენაც ძველის გახსენება გახლდათ, უფრო სწორად – ახალი ტექნოლოგიებით შესრულებული ძველი ვერსიები. განსხვავება ის იყო, რომ კომპიუტერული აბსტრაქციების ავტორმა ექსპოზიცია გამოაცოცხლა - დამთვალიერებელთა ფანტაზიაზე იზრუნა; "დამასათაურე"- ასე ერქვა გამოფენას და გამოფენაზე მოსულებიც ერთობოდნენ. "სამყაროს შექმნა"; "კვერცხი გავარვარებულ ტაფაზე"; "შავი ხვრელი"; "ბუ"; "ვირტუალური შემოდგომა," – ვკითხულობდი ნამუშევრების ქვეშ დამთვალიერებელთა აპოლიტიკურ ვერსიებს.

გამოფენას, როგორც ჩვენში მიღებულია, აუცილებელი კომპონენტი - ფურშეტიც ახლდა. გალერეა ხალხით იყო გადაჭედილი; ამინდის პროგნოზი გამართლდა - გარეთ წვიმდა.

# წინანდალიდან ბიჭვინთამდე

## არია წინასაარჩევნო თემიდან

ვერა ნეფარიძე

*გუშინ საღამოს საქართველოს პრეზიდენტი პოლიტიკური დაძაბულობისგან ოპერისა და ბალეტის თეატრში განიტვირთა. ამჯერად ეს არ ყოფილა მეგზევეებთან თუ მშენებლებთან შეხვედრა. გუშინ ედუარდ შევარდნაძემ ახალგაზრდა და უფროსი თაობის შემოქმედები შეკრიბა, მაგრამ - არა წინასაარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდისთვის (ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად შეხვედრის მიზეზი სხვა იყო). გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა 1998 წელს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად დაარსებული წინანდლის პრემია აღადგინა. წინანდლის პრემიის 17 ლაურეატს გუშინ კიდევ რვა შეემატა - შვიდი რეალური და ერთი სიმბოლური: ოცდაათ წლამდე აზალგაზრდებისთვის განკუთვნილი ჯილდო გადაეცა, სახელმწიფოს მართვის, თითქმის,ოცდაათწლიანი სტაჟის მქონე, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს.*

ვიცი, ყველაფრის არჩევნებთან დაკავშირება არ შეიძლება. წინასწარ წარმომიდგენია, რამდენს გააღიზიანებს გუშინდელი მოვლენის ასეთი ქვეტექსტი, მაგრამ უამისობაც არ იქნება, რადგანაც ღონისძიების დასასრულს თავად ედუარდ შევარდნაძეც დიდად არ მორიდებია დაპირებებს, რომელიც ყოველთვის არჩევნებთან ასოცირდება. **“დღეს ძნელი გასარჩევია, გამარჯვებული რომელია და ნომინანტი - რომელი. ეს იმაზე მიუთითებს, რომ უნიჭიერესი ახალგაზრდობა მოვიდა საქართველოში. ასე იყო და ასე იქნება. ისტორიულ ექსკურსს დიდ დროს არ მოვანდომებ. აქ გაიხსენეს ბაკურიანის შეხვედრები. ეს, მართლაც, უნიკალური იყო. დღეს ის თაობა, ძირითადი ნაწილი კიდევ მწყობრშია, ქმნის შესანიშნავ ნაწარმოებებს და ჩვენი ხალხის კულტურის დიდი მოამაგეა. ვფიქრობ, გარკვეული წლების შემდეგ ის ახალგაზრდები, რომლებიც დღეს აღინიშნენ პრემიებით, გახდნენ ლაურეატები, ასევე, ბევრს გააკეთებენ ქართული კულტურისათვის, საქართველოს ხელოვნებისათვის. ძალიან კარგად ვიცი, დღეს ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ ყველა ოჯახს თავისებურად უჭირს. მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ უკვე გამოიკვეთა შესანიშნავი ძვრები - კიდევ ცოტა, ორი წელი, სამი წელი და საქართველო იცხოვრებს ნორმალურად. მაგრამ, ყველაზე დიდი უბედურება ერისათვის არის სულიერი სიღატაკე. თუ გაწყდა ძაფი კულტურულ მემკვიდრეობასა და დღევანდელობას შორის, ამის აღდგენას საუკუნეები დასჭირდება. დღევანდელი დღე იმის დასტურია, რომ ეს არ მოხდება; ჩვენ ეკონომიკურად აღორძინებული და სულიერად მდიდარი ქვეყანა ვიქნებით. გილოცავთ დღევანდელ დღეს. პრიზისათვის მადლობელი ვარ. მართალია, მე ეს არ დამიმსახურებია, მაგრამ, ალბათ, ყველაფერი პირობითია. და კიდევ ერთი რამ, რაც დღეს არც ერთ გამომსვლელს არ უთქვამს. ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფესტივალი იყო ბიჭვინთის შეხვედრები, ბიჭვინთის ფესტივალი. იქ ვიყავით ქართველები, აფხაზები, ხანდახან რუსებიც ჩამოდიოდნენ. ეს იყო შესანიშნავი თაობა, შესანიშნავი შეხვედრები. მინდა, ჩემი გამოსვლა დავამთავრო იმით, რომ ბაკურიანიც გაგრძელდება, წინანდალიც გაგრძელდება და მოვა დრო, არც თუ ისე შორს იქნება ეს დრო, როცა საშუალება გვექნება, ბიჭვინთაშიც განვაახლოთ ჩვენი ფესტივალები”,** - ასეთი ოპტიმისტური განწყობით დაასრულა პრეზიდენტმა შევარდნაძემ გუშინ წინანდლის პრემიების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი ოპერაში. განწყობა დარბაზსაც გადაედო და პრეზიდენტის სიტყვების დასრულებისთანავე მქუხარე ტაში გაისმა. თუმცა, ტაში ისმოდა მანამდეც, როდესაც მოწვეული სტუმრები თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულებს გვაცნობდნენ და მათ სამი ათასით განსაზღვრულ ფულად ჯილდოებთან ერთად საგანგებოდ დამზადებულ მინიატურულ ქანდაკებებს ურიგებდნენ. ამაში კი, მართლაც, იყო რაღაც სასიხარულო...





*წინანდლის პრემიის ლაურეატები – გიორგი ყიფშიძე და თეონა ბეგიშვილი.*

წინანდლის პრემია პირველად 1998 წელს (წინა საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე) აღდგა, როდესაც პრეზიდენტმა შევარდნაძემ ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტსა და მის ხელმძღვანელს ზურაბ გაიპარაშვილს დაავალა, შეეკრიბა ახალგაზრდა შემოქმედები ბაკურიანში. თუმცა, მას შემდეგ პრემიების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი მხოლოდ ერთხელ გაიმართა - 1999-ში. გუშინ წინანდლის პრემიით მესამედ დააჯილდოეს ახალგაზრდები (ასაკობრივი შეზღუდვა 30 წლით განისაზღვრება). ლაურეატების წარსადგენად შერჩეული იყო წარმდგენი კომისია (თითო ნომინაციაზე სამკაციანი შემადგენლობით), გამარჯვებულის გამოსავლენად კი, ასევე, დამატებითი სამკაციანი შემადგენლობა მუშაობდა. ასე გამოვლინდნენ გუშინ ექვსი ძირითადი და ერთი დამატებითი ნომინაციიდან ე.წ. სპეციალური პრემიის ლაურეატები. წელს განახლებულ დაჯილდოების ცერემონიალზე მნიშვნელოვანი ცვლილება პრეზიდენტმა შეიტანა. ლაურეატებთან ერთად ფინანსურად წახალისდნენ ნომინანტებიც (ხუთასი ლარით).

საუკეთესოთა გამოსავლენად საკმაოდ მრავალრიცხოვანმა და კომპეტენტურმა ჟიურიმ იმუშავა. მგონი, საზოგადოება შედეგებით უკმაყოფილო არ უნდა დარჩენილიყო: ერთადერთი გამონაკლისის სახით, მუსიკალური ნომინაციისთვის განსაზღვრული ჯილდო ორმა ნომინანტმა - გია ონიანმა და ნატო მეტონიძემ გაიყო; დანარჩენ ნომინაციებს თითო გამარჯვებული ჰყავდა. გთავაზობთ ჩამონათვალს: **პოეზია: თეონა ბექიშვილი; პროზა: ზაზა ბურჭულაძე, იგივე “ზამზა”; კინოსა და თეატრის ნომინაცია: გიორგი ყიფშიძე; ფოლკლორი: ქორეოგრაფიული ანსამბლი “როკვა”; სახვითი და ვიზუალური ხელოვნება: ავთანდილ გურგენიძე; სპეციალური პრიზი სამხატვრო აკადემიის სტუდენტური კავშირის ხელმძღვანელს ირაკლი წულაძეს ერგო** (მისი შექმნილია წინანდლის პრემიის ქანდაკება); ლაურეატების დასაჯილდოებლად კი ოპერაში მიწვეულები იყვნენ უფროსი თაობის წარმომადგენლები: გურამ დოჩანაშვილი, ფრიდონ სულაბერიძე, რეზო ესაძე, თამაზ ხუციშვილი, გივი ალხაზიშვილი, მანანა დოიჯაშვილი. საღამოს მუსიკალურ გაფორმება ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ორკესტრთან და გუნდთან ერთად ითავეს - ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტებმა, აკადემიის სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა (ზოგიერთი პრეზიდენტის სტიპენდიანტიც იყო), ანსამბლმა “ლაშარმა” და ახალგაზრდა მომღერალმა მარიამ როინიშვილმა.

დავიჯერო, ბიჭვინთაშიც შევხვდებით?

# შოკ-ხელოვნების ახალი ტალღა

## კიდევ ერთხელ კონცეპტუალიზმის შესახებ

თამარ ბაბუაძე

*წელს ბრიტანეთში მეოცედ გაიცემა “ტერნერის პრიზი” ოცი ათასი გირვანქა სტერლინგითურთ, რომელიც ყოველწლიურად ახალგაზრდა ხელოვანებს გადაეცემათ. ამ პრესტიჟულ ჯილდოს წელს ოთხი ნომინანტი ჰყავს; გამარჯვებულს 7 დეკემბერს გამოავლენენ. მანამდე კი ოთხივე ხელოვანის ნამუშევრების გამოფენა ლონდონში, ტეიტის გალერეაში მიმდინარეობს.*



*ძმები ჩეპმენების ვარიაცია “მაკდონალდსის” თემაზე.*

“ეს კონცეპტუალური ხელოვნება კი არა, კონცეპტუალური ნაგავია,” – ბრიტანეთის კულტურის მინისტრის ეს სიტყვები დღესაც კარგად გემახსოვრებათ, თუ შარშანდელი “ტერნერის” პრიზის ამბებს ადევნებდით თვალს. მინისტრმა ჰოუველსმა მაშინ, მხატვარ კით ტაისონის შემოქმედების (ამ სიტყვას ახლაც ბევრი ჩასვამდა ბრჭყალებში) გამო თავი ველარ შეიკავა – ვერაფრით გაიგო, რატომ ერქვა ხელოვნება კენტუკის შემწვარი ქათმის მენიუს მოტივებზე შექმნილ ინსტალაციას და სათქმელი ხმამაღლა თქვა კიდეც.

წელს აღარ არის კენტუკის ქათამი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელოვანები კონცეპტუალური იდეების ნაკლებობას უჩივიან.

წელს კონსერვატორთა გამოწვევა-გაღიზიანებას საკუთარ თავზე იღებს ნახევარფინალში გასული ოთხი ცნობილი ხელოვანი – ძმები ჩეპმენები, კერამიკოსი გრეისონ პერი, ფოტოგრაფი ვილი დოერთი და მოქანდაკე ანია გალაციო.

მათგან ჯეიქ და დინოს ჩეპმენებს თანამედროვე ხელოვნებაში გაუთვიცნობიერებლებიც კარგად იცნობენ – ძმებმა 90-იანი წლების დასაწყისში გოიას ნამუშევრების “გადაკეთებით” გაითქვეს სახელი. მათ ომის საშინელებებზე შექმნილ გოიას გრავიურებს კომიკური სახეები ერთი კონკრეტული მიზნით მიახატეს – გაეუბრალოებინათ ის ტრაგიზმი, რაც მხატვრის ნამუშევრებში იგრძნობოდა. ეს “ვანდალური აქტი” (სწორედ ასე შეფასდა ექსპერტთა ნაწილის მიერ ეს აქცია) ძმებმა კიდევ ორჯერ გაიმეორეს.

მათი შემოქმედება დღემდე პროვოკაციულად მიიჩნევა. რიგ შემთხვევაში, ვულგარულობამდე მისული შავი იუმორის გამო, ჯეიქი და დინოსი წლევანდელი “ტერნერის” მთავარ პრეტენდენტებადაც ითვლებიან.

ტეიტში გუშინ გახსნილ გამოფენაზე ჩეპმენებს რამდენიმე ნამუშევარი აქვთ წარდგენილი, მათგან ყველაზე მეტი მნახველი ორს – “სიკვდილსა” და “სექსს” ჰყავს. აი, სწორედ ამ ორ ექსპონატშია ჩადებული ის პროვოკაცია, რომელიც ბევრს აფრთხობს, გალერეის ხელმძღვანელებს კი, რჩევის სახით, სპეციალური განცხადების გაკეთებას აიძულებს: “16 წლამდე ბავშვებს გამოფენაზე ნუ მოიყვანთ”.

“სიკვდილი” – ეს გახლავთ ქალისა და მამაკაცის ბრინჯაოს ქანდაკება სექსუალური აქტის დროს. ამ ნამუშევარს ბი-ბი-სი ასე აფასებს: ქანდაკება იმდენად იუმორისტული და აბსურდულია, რომ შოკი, რომელსაც ეს ვულგარული სქესობრივი სცენა უნდა იწვევდეს, ნელდება.

“სიკვდილი” კი მას ძმების ერთი ფილოსოფიური მოსაზრების გამო ჰქვია – თითოეულ სქესობრივ აქტს სიცოცხლის აღსასრულის განცდაც ახლავს.

იქნებ, ამ აზრის სიღრმე დიდად არ გხიბლავთ და ვერც იმას ხვდებით, თუ რატომ უნდა აღმოჩნდეთ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ამ ვულგარული თოჯინების დანახვისას. თუმცა, ექსპონატს ბი-ბი-სი მავნე თვალისგან ერთი მოსაზრებით იცავს: კომპოზიცია, თურმე, ძალზედ მაღალ დონეზეა შესრულებული, რადგან ბრინჯაოს ქანდაკებები პლასტმასის თოჯინების ეფექტს ქმნის – პლასტმასი კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ტრივიალურობის განცდის გამოწვევას ემსახურება...

თუ, თოჯინების ერთ ჩვეულებრივ სექსს “სიკვდილი” ჰქვია, მაშინ სექსი რაღა არის? ჩეპმენებისთვის ეს კონდიცია ასოცირდება ხეზე ჩამოკიდებულ, მატლდასეულ, ლპობაშეპარულ გვამებთან (გაკეთებულია ისევ გოიას შთაგონებით).

უკეთეს განწყობას ტეიტის სტუმრებს არც დანარჩენი ნახევარფინალისტების ექსპონატები ჰპირდება. ანია გალაციოც სიკვდილისა და სიცოცხლის, სურვილისა და სევდის შესახებ აყალიბებს კონცეფციებს და ამისთვის მინის მიღმა დაპრესილ 1600 წითელ გვირილასა და ხეზე ძაფით ჩამოკიდებულ წითელ ვაშლებს იყენებს.

არანაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს გრეისონ პერის კერამიკული ლარნაკებიც – მათზე ჩვენი დროის ყველა “შავი ჭირია” ასახული – დეპრესიული ადამიანები თავს იხრჩობენ, პედოფილები ბავშვებს აუპატიურებენ, გოგოები ნარკოტიკს იკეთებენ, ხის ძირას თოთო ბავშვების გვამები ყრია...

ამ საყოველთაო გაგიჟების ფონზე, გაზეთი “გარდიანის” აზრით, განსაკუთრებულად გამოირჩევა ირლანდიელი ფოტოგრაფის ვილი დოერთის ვიდეო-არტი “ხელახალი გარბენი”. ის ირლანდიის რელიგიურ-პოლიტიკური შუღლით არის შთაგონებული, მაგრამ გაცილებით უფრო გლობალურ განცდებს აღძრავს. ღამეა, ალაგ-ალაგ განათებულ ხიდზე მთელი ძალით ეკრანისკენ მორბის შეშლილსახიანი კაცი. მეორე მონიტორზე თამაშდება ზუსტად იგივე სცენა, ოღონდ კაცი ამჯერად უკან მირბის. გარდიანი კი წერს: “ამ არტის შემხედვარე კონფუცის მიმდევარი დაასკვნიდა, რომ სიცოცხლე ხიდია, რომელზეც სახლი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ააშენო. ფროიდის მომხრე კი დაგვარწმუნებდა, რომ რაღაცისგან გაქცევა ყოველთვის რაღაცისკენ სწრაფვას ნიშნავს...”. ერთი სიტყვით, გაყოფილ ირლანდიაზე გადებული ხიდი და მასზე ქრონიკულად მორბენალი კაცი, მართლაც, ათასგვარი ინტერპრეტაციის საბაბი ხდება. თუმცა, ამ ღამეული, საზარელი რბოლის დიდ მონიტორზე ცქერა, ალბათ, კონცეფტუალურ იდეებთან ერთად არითმიასაც იწვევს.

აი, სწორედ ამ ოთხი ნახევარფინალისტიდან უნდა აირჩიოს ჟიურიმ გამარჯვებული. “გარდიანი” და “დეილი ტელეგრაფი” წარმატებას ჩეპმენებს უწინასწარმეტყველებენ. მეტიც, “ტელეგრაფი” მათ “უიშვიათეს ბრიტანულ მოვლენას” უწოდებს, რომელსაც ანალოგი საერთოდ არ აქვს. ჩეპმენების სასარგებლოდ გაკეთებული პროგნოზის მიუხედავად კი, “გარდიანის” მიმომხილველი ასკვნის, რომ ძმების მხატვრული ხედვა სულაც არ არის ისეთი დახვეწილი და განვითარებული, როგორც ჰგონიათ. კიდევ უფრო კრიტიკულია “თაიმსი”, რომლის მიმომხილველიც აცხადებს, რომ ჩეპმენების შემოქმედება მისთვის უკვე პროვოკაციულიც აღარ არის: “უყურებ მათ ნამუშევრებს და ფიქრობ, - მერე რა?”

P.S. ბრიტანული პრესის ამ “კონცეპტუალური დაიჯესტისთვის” უკვე, თითქმის, ყველაფერი მზად მქონდა, როდესაც გადავაწყდი ბი-ბი-სი-ს ფორუმს, რომლის მონაწილეთა უმრავლესობაც ტეიტის გამოფენას ლანძღავდა:

“ადამიანის დამპალი, მატლებდასეული სხეული ხელოვნებაა?”;

“გაცილებით მეტი ხელოვნება მიედინება ბრიტანეთის კანალიზაციის მილებში, ვიდრე ამ შოუშია”;

“კომპიუტერის ეკრანზე გამოიტან ბავშვის ფოტოებს და პედოფილის იარლიყს მოგაკრავენ, დახატავ მათ ლარნაკზე და – ხელოვანი ხარ”;

“მედიამ რომ თავი დაანებოს მსგავსი შოუების გაშუქებას, თავისით გაეცემოდა პასუხი კითხვას, – არის თუ არა ეს ხელოვნება? ეს მიმდინარეობა თავისივე, ბუნებრივი სიკვდილით მოკვდებოდა”.

სწორედ ამ ბოლო კომენატრმა გულიანად გამაცინა საკუთარ თავზე, – თუ ტერნერის პრიზი და მისი ნახევარფინალისტები ბრიტანეთშიც არაფერში სჭირდებათ, აქ ვიღას დასჭირდება ეს ყველაფერი, მით უმეტეს, 2 ნოემბრის მოლოდინში-მეთქი. თუმცა, ბოლოს თავი იმით დავიმშვიდე, რომ მიმდინარეობა, რომელსაც ეს წერილი მივუძღვენით, ჩვენთანაც საკმაოდ ფეხმოკიდებული გახლავთ. ამიტომ, ალბათ, თბილისშიც ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდებოდა ბრიტანელი მინისტრის მოსაზრებას, რომ არსებობს კონცეპტუალური ნაგავი და არა კონცეპტუალური ხელოვნება.

ასე რომ, მე სწორედ ამ მეორე ფრთის გასაგონად გავისარჯე – მათთვის, ვისაც უყვარს სიმბოლოების გამოცნობა და ფიქრი, თუნდაც კონცეპტუალური...

მოკლედ

## კორუფცია ამერიკაშიც ყოფილა

სამშაბათს აშშ-ის კოლორადოს შტატში დაიწყო სასამართლო პროცესი, რომელიც უკავშირდება სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიურ თამაშებსა და კორუფციულ სკანდალს. საქმეში გადის ორი ადამიანი, რომელთა გამოისობითაც იუტას შტატის დედაქალაქმა კინაღამ დაკარგა 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები.

ტომ უელჩი და დეივ ჯონსონი სოლტ-ლეიკ-სიტიში ზამთრის ოლიმპიური თამაშების განაცხადის მომზადებაზე აგებდნენ პასუხს. მათ თაღლითობასა და რეკეტში სულ 15 ბრალდება წაუყენეს. მათვე ოლიმპიური კოდექსის დარღვევაც ედებათ ბრალად. თუ დანაშაული დამტკიცდება, შესაძლოა, უელჩსა და ჯონსონს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა და 250 ათასი დოლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა მიესაჯოს.

წინასაარჩევნო ოლიმპიური კამპანია მეტად რთული და ძვირფასი საქმეა. ამა თუ იმ ქალაქის განაცხადის წარმდგენებს მარტო კონკურენტ ქალაქებთან კი არა, პოლიტიკოსებთანაც უწევთ ბრძოლა. აქ გამარჯვებული იღებს ყველაფერს: ფულს, ინვესტიციას, რეკლამას და ადგილს სპორტის ისტორიაში.

გამარჯვების მოსაპოვებლად უელჩისა და ჯონსონისთვის აუცილებელი იყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრთა მხარდაჭერა. როგორც ბრალმდებლები აცხადებენ, განსასჯელებმა პირად ურთიერთობებში არნახულ სიმაღლეებს მიაღწიეს. მათ ბრალი ედებათ იმაში, რომ შექმნეს მილიონდოლარიანი სპეციალური ფონდი და ამ ფონდიდან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პასუხისმგებელ პირებს ძვირფას საჩუქრებს უძღვნიდნენ, აფინანსებდნენ მათ საზღვარგარეთულ მივლინებებს, ეხმარებოდნენ მუშაობაში და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრთა შვილებს უმაღლეს სასწავლებლებშიც კი აფინანსებდნენ.

როცა კორუფციის შესახებ ინფორმაციამ პრესაში გაჟონა, აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის ბევრი თანამშრომელი თანამდებობიდან გადადგა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 10 წევრი კი სამსახურიდან გაათავისუფლეს იმისთვის, რომ ისინი უელჩისა და ჯონსონისგან საჩუქრებს იღებდნენ. მეტიც: ჩაშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მთლიანად ოლიმპიური მოძრაობა. სპონსორები იმუქრებოდნენ, რომ სოლტ-ლეიკ-სიტის თამაშებს ინვესტიციასა და მხარდაჭერას შეუწყვეტდნენ.

თავის არგუმენტებად განსასჯელები ამბობენ, რომ არასოდეს დაუმალავთ, თუ სად მიდიოდა ფული და ყველას თავიდანვე კარგად მოეხსენებოდა საჩუქრების შესახებ. ისინი აღიარებდნენ, რომ ეს შეიძლება არც ისე ეთიკური იყო, მაგრამ დაჟინებით ამტკიცებენ, თითქოს კანონი არ დაურღვევიათ. ვარაუდობენ, რომ სასამართლო თვენახევარში დამთავრდება.

სოლტ-ლეიკ-სიტისთან დაკავშირებული სკანდალი გახდა იმის მიზეზი, რომ გადაეხედათ კრიტერიუმებისთვის, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიური თამაშების მასპინძელს არჩევს. ამჟამად ოლიმპიურ კომიტეტს ჰყავს ეთიკის კომისია, რომელიც კორუფციასთან და ბნელ საქმეებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს განიხილავს.

## დოპინგის მსხვერპლნი

არ ცხრება დოპინგ-სკანდალი ამერიკის შეერთებულ შტატებში. აკრძალული დოპინგ-პრეპარატის, მოდაფინილის მიღებაში კიდევ რამდენიმე ამერიკელი მძლეოსანი ამხილეს. პრეპარატის გამოყენებაზე, რომელიც სტეროიდების ჯგუფს განეკუთვნება, დადებითი შედეგი აჩვენეს კრისტი გაინესის (ოლიმპიური ჩემპიონი ესტაფეტაში - 4x100 მეტრზე სირბილში), სანდრა გლობერის (მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი 400 მეტრ დისტანციაზე ბარიერებით სირბილში), ერიკ ტომასის (აშშ-ის ჩემპიონი 400 მეტრ დისტანციაზე ბარიერებით სირბილში) და კელვინ ჰარისონის (ოლიმპიური ჩემპიონი ესტაფეტაში - 4x400 მეტრზე სირბილში) ანალიზებმა.

სპორტსმენთა სია, რომელიც ამ პრეპარატის მიღებაში ამხილეს, ზაფხულში 100 და 200 მეტრ დისტანციაზე მსოფლიო ჩემპიონმა კელი უაიტმა გახსნა. ამ დღეებში კი რამდენიმე ამერიკელი სპორტსმენისა და ბრიტანელი დუეინ ჩემბერსის დოპინგ-ტესტებმა დადებითი შედეგი აჩვენეს აკრძალულ პრეპარატზე ტეტრაჰიდროგესტრინონზე.

## კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ

სამშაბათს სარაგოსაში მადრიდის "რეალმა" ქვეყნის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი გამართა ადგილობრივ "სარაგოსასთან" და ნულოვანი ფრე იკმარა. სარაგოსაში სამეფო კლუბი ჩქაროსნული მატარებლით (მადრიდი-ლერიდა) უნდა გამგზავრებულიყო სუპერჩქაროსნულ სარკინიგზო ხაზზე, რომელიც 11 ოქტომბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა.

ესპანური "მარკას" ინფორმაციით, ესპანეთის მრეწველობის სამინისტროს, რომელიც ამ გზის უსაფრთხოებასა და სიმტკიცეზე აგებს პასუხს, სურდა, მადრიდის "რეალის" მგზავრობა ამ ახალი მაგისტრალის რეკლამისთვის გამოეყენებინა. მადრიდისა და სარაგოსას რკინიგზის სადგურებზე ჟურნალისტები შეიკრიბნენ. რკინიგზის მთელი მომსახურე პერსონალი მოეწყო სამეფო კლუბის გასაცილებლად და დასახვედრად. სადგურებს გულშემატკივრებმაც მიაშურეს. ამიტომ, ის ფაქტი, რომ "რეალის" ხელმძღვანელობამ უკანასკნელ მომენტში გადაწყვიტა, ფეხბურთელები არაგონის დედაქალაქში თვითმფრინავით გაეშვა, ახალი მაგისტრალის იმიჯისთვის სერიოზული დარტყმა აღმოჩნდა.

საქმე ის არის, რომ ამ ტრასაზე ხშირია ჩავარდნები. ტრასა ისეთ რაიონებზე გადის, სადაც წვიმები და მიწისქვეშა წყლები უდაბური ადგილების წარმოქმნას უწყობს ხელს. ამიტომ მშენებლობის დროს ხშირი იყო საგანგებო მდგომარეობა და არცთუ იშვიათია მისი ექსპლუატაციის შემდეგაც. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ტრასაზე ბევრი დაუსრულებელი მონაკვეთია, რაც გამოწვეულია მშენებელთა სურვილით, ობიექტი, რაც შეიძლება, სწრაფად შეეყვანათ ექსპლუატაციაში.

"რეალმა" კი, რომელიც სარაგოსას თვითმფრინავით ეწვია, ვერ შეძლო ადგილობრივი გუნდის დამარცხება, ვერ გამოიყენა შანსი, ცოტა ხნით მაინც სათავეში მოქცეოდა სატურნირო ცხრილს. სამეფო კლუბი 20 ქულით ლიდერთა სამეულშია.

TV-სპორტი

**ხუთშაბათი. 30 ოქტომბერი**

**НТВ + ФУТБОЛ**
07:30 NBA TV. "Golden State Warriors" – "Dallas Mavericks". პირდაპირი ტრანსლაცია
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ესპანეთის ჩემპიონატი
15:00 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:00 "დარტყმა გოლისთვის"
16:15 "პოსტსკრიპტუმი"
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 განვლილი კვირის ჰიტ-ალლუმი. გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" – "კაიზერსლაუტერნი"
18:45 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალლუმი. "იუვენტუსი" – "რეალ სოსიედადი"
20:30 სახვალიო ტელეპროგრამა
20:35 საუიკენდო მატჩების ანონსი
20:40 თავისუფალი დარტყმა
20:55 "FUTBOL MUNDIAL"
21:25 განვლილი კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "ფულჰემი"
23:20 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
23:50 თავისუფალი დარტყმა
00:05 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:00 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:55 01:55-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. საკალათბურთო არხი. NBA-ს ამბები
04:30 NBA-ს ამბები
05:00 NBA TV. "HOUSTON ROCKETS" - "DENVERNUGGETS"

**НТВ + СПОРТ**
06:30 06:30-დან 11:00-მდე შესვენება
11:00, 14:00, 15:45, 17:15, 19:45 პრეს-ცენტრი
11:15, 20:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "PHILADELPHIA FLYERS" - "FLORIDA PANTHERS"
14:15 ათენის გზაზე
15:15 "Power week – NHL-ის კვირა"
16:15 წრიული ავტორბოლები. მსოფლიო ჩემპიონატი სპორტულ ავტომობილებს შორის
17:30 ჩოგბურთი. "Masters Series" პარიზში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 "ჩქაროსნული სამყარო"
20:05 სახვალიო ტელეპროგრამა
20:15 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
20:45 "მოტოვებული კვირა"
21:30 ჩოგბურთი. "Masters Series" პარიზში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
23:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "PHILADELPHIA FLYERS" - "FLORIDA PANTHERS". შესვენებისას (01:15) ახალი ამბები
02:15 "ჩქაროსნული სამყარო"
02:45 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
03:10 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "SKATE CANADA". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
11:30 ოლიმპიური თამაშები
12:00 გოლფი. ჩელენჯ ტურნირი
13:00 ექსტრემალური სპორტი. ექსტრემალური თამაშები 2003
14:00 ექსტრემალური სპორტი. ექსტრემალური თამაშები 2003
15:00 ფეხბურთი. უეფა
16:00 ფეხბურთი. უეფა
17:00 სპიდვეი. ნორვეგიის გრან-პრი
18:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
19:00 ფეხბურთი. უეფა
20:00 ფეხბურთი. უეფა
21:00 ფეხბურთი. უეფა
22:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
01:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
03:00 ახალი ამბები
03:15 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# რაული - 9 წელი მადრიდის "რეალში"

*"რეალში" მას "ოქროს ბიჭუნა" უწოდეს. ვარსკვლავებით განებივრებული მადრიდის პუბლიკა მას ყოველთვის ყველაფერს პატიობს. "რაულიტოს" მისამართით არასოდეს არავინ უსტვენს, "რაულიტო" ყოველთვის მართალია. გუშინ, 29 ოქტომბერს, ზუსტად 9 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მან თავისი პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა სამეფო კლუბის შემადგენლობაში. დღეს ის "რეალის" კაპიტანია და განვლილ 9 წელიწადს დიდი სიამოვნებით იხსენებს...*



**- "რეალის" შემადგენლობაში ესპანეთის ჩემპიონატის პირველი მატჩი ზუსტად 9 წლის წინათ, 1994 წლის 29 ოქტომბერს ჩაატარე. ეს "რომარედას" სტადიონზე, "სარაგოსას" წინააღმდეგ მოხდა.**

- დიახ, ასეა. იმ დღესთან უამრავი მოგონება მაკავშირებს. ეს იყო ჩემი დებიუტი ესპანეთის ჩემპიონატში. მაშინ ჩემს ოჯახს უდიდესი სიამოვნება მივანიჭე. მახსოვს, ვნერვიულობდი, მომეცემოდა თუ არა თამაშის საშუალება... მას შემდეგ 9 წელიწადი გავიდა და უამრავი კარგი რამ გადამხდა თავს. უამრავი ტიტული მოვიგე და მეამაყება, რადგან უმაღლეს დონეზე განვაგრძობ თამაშს.

**- როგორ დაგამახსოვრდა ის დღე?**

- ვცდილობდი, არც ერთი დეტალი არ გამომრჩენოდა. თანაგუნდელები ძალიან დამეხმარნენ, მეუბნებოდნენ, რომ მშვიდად უნდა ვყოფილიყავი. როდესაც მინდორზე გავედი, მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი: წინა კვირას შინ ვიჯექი და მატჩების მიმოხილვას ტელევიზორით ვუცქერდი. არ მჯეროდა, რომ ეს ყველაფერი ჩემს თავს ხდებოდა. ეს ისეთი გრძნობა იყო, რომ მიჭირს მისი სიტყვებით გადმოცემა.

**- რაიმე განსაკუთრებული რჩევა ხომ არ მოუცია ვალდანოს, "რეალის" მაშინდელ მწვრთნელს?**

- ბევრს მესაუბრებოდა. წინა დღით ფორმა მომცა და მითხრა, რომ თამაში მომიწევდა. მითხრა, რომ თამაშით სიამოვნება უნდა მიმეღო. ვალდანო მართალი იყო, ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთი ხომ თამაშია. უამრავი პასუხისმგებლობა გაკისრია, გუნდს უნდა მიეხმარო, მაგრამ მოედანზე სიამოვნების მისაღებად უნდა გახვიდე.

**- ფიქრობ თუ არა, რომ ახლა შეძლებდი იმ მომენტების გამოყენებას, რომლებიც იმ მატჩში გქონდა?**

- საგოლე მომენტებს ახლაც ვაფუჭებ *(იცინის)*. ჩემს პირველ მატჩში ხუთი საგოლე მომენტი მქონდა, აქედან სამი ასპროცენტიანი იყო. ერთ შემთხვევაში ცედრუნი მოვატყუე და მარჯვენა ფეხით დავარტყი. ზემოდან ავაცილე კარს. ვფიქრობ, რომ იმ მომენტს ახლა გოლად ვაქცევდი. და მაინც, დიდი სიამოვნებით ვიხსენებ იმ დღეს, მიუხედავად იმისა, რომ წავაგეთ. თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობდი და ვხედავდი, რომ ფეხბურთის თამაში შემეძლო. გოლი ვერ გავიტანე, მაგრამ მაინც ძალიან ბედნიერი ვიყავი.

**- მაშინ წარმოგედგინა, რომ მოგვიანებით ასეთ სიმაღლეებს მიაღწევდი?**

- მაშინ ძირითად შემადგენლობაში თამაშიც კი წარმოუდგენლად მეჩვენა. მით უმეტეს, ვერ ვიფიქრებდი, რომ მივაღწევდი ყოველივე იმას, რასაც მივაღწიე. თავიდან ყველაფერი სიზმარს ჰგავდა, ახლა კი ვაცნობიერებ, რომ სამი ჩემპიონთა თასი, ესპანეთის ჩემპიონის ოთხი ტიტული, ორი საკონტინენტთაშორისო თასი და რამდენიმე სუპერ-თასი მოვიგე. ეს თითქოს დაუჯერებელია. ჩემთვის კი დიდი გამოწვევაც არის. ახლა ვცდილობ, შევინარჩუნო ის, რაც აქამდე დავაგროვე. ვაპირებ, ფეხბურთით კიდევ მრავალი წლის მანძილზე მივიღო სიამოვნება.

**- რა იყო უმთავრესი გაკვეთილი მთელი ამ ხნის განმავლობაში?**

- საკუთარი გამოცდილება. მე იმ გუნდში ვცხოვრობ, რომელსაც თავისებური "ჟღერადობა" აქვს. უბრალო განცხადებაში შეცდომას დაუშვებ და მეორე დღეს მთელი მსოფლიო ამ განცხადებაზე საუბრობს. მეგობრებისა და იმ ადამიანების წრე, რომელსაც შენ ენდობი, თავიდან ფართო იყო, მერე კი ცოტათი შეიცვალა. ვფიქრობ, ეს ცხოვრების კანონია, ყველგან ასე ხდება. როდესაც ფეხბურთში მოდიხარ, ყველანი მხარზე გირტყამენ ხელს და გაქებენ. მაგრამ როცა პირველ ჩავარდნას იგემებ, ზოგიერთი ადამიანი უჩინარდება და მათ ველარსად პოულობ.

**- როგორ ფიქრობ, რა განხრით განვითარდა შენი ფეხბურთი?**

- ყოველთვის ბომბარდირი ვიყავი, თუმცა, თუ უკანასკნელ წლებს დავაკვირდებით, ჩემი ფეხბურთი მხოლოდ გოლების გატანის მხრივ არ განვითარებულა. შესაძლოა, ოთხ ან ხუთ მატჩში გოლი ვერ გაიტანო (თავდამსხმელისთვის ეს ცოტა უცნაურია), მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვარ იმით, რაც გუნდისთვის გავაკეთე. ცხადია, ქულების მოსაპოვებლად გოლების გატანაა საჭირო. ჩემი უმთავრესი ამოცანაც იმ შეტევების დასრულებაა, რომელთაც ჩემი მეგობრები იწყებენ. ამავდროულად გამოცდილებაც შევიძინე. ადრე უფრო მეტად ვირჯებოდი, ახლა კი ძალებს ვანაწილებ, წინასწარ ვიცი, თუ როდის არის საჭირო გაქცევა და როდის ჯობს დასვენება.

**- რომელ მატჩს იხსენებ განსაკუთრებული სითბოთი?**

- ამდენი მნიშვნელოვანი მატჩის შემდეგ მაინც პირველთან რჩები. განსაკუთრებით თბილად სწორედ "სარაგოსასთან" მატჩი მახსენდება. ასევე განსაკუთრებული იყო პირველი გოლი "ბერნაბეუზე". ეს "ატლეტიკოს" წინააღმდეგ მოხდა. იმ მატჩში ჩემი პირველი გოლი გავიტანე, საგოლე პასი გავაკეთე, პენალტი მოვიპოვე... ეს არასოდეს დამავიწყდება. მეორე დღეს ამ ყველაფერს ვიხსენებდი და არ მჯეროდა, რომ ეს ყველაფერი მართლა მოხდა. დადებით ემოციას ყოველი მატჩი გიტოვებს, მაგრამ მე მაინც ამ ორ თამაშს გავიხსენებდი.

**- რომელ გოლს მიიჩნევ ყველაზე მნიშვნელოვნად?**

- ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი საკონტინენტთაშორისო მატჩში, "ვასკო და გამას" კარში გატანილი გოლი იყო. ამ გოლმა ტიტული მოგვაპოვებინა და, ამავე დროს, ის მატჩი ცუდად ვითამაშეთ. მატჩის დამთავრებამდე 7 წუთი იყო დარჩენილი და ეს იყო მომენტი, როდესაც, მატჩის სცენარიდან და თავად შექმნილი მომენტიდან გამომდინარე, ნებისმიერი ფეხბურთელი ისურვებდა გოლის გატანას. გარდა ამისა, ეს გოლი შესრულების მხრივაც ლამაზი იყო. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი მგონია პარიზში, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გატანილი გოლი "ვალენსიას" კარში. ის გოლი მივუძღვენი ჩემს ვაჟს, რომელიც რამდენიმე თვით ადრე გაჩნდა.

**- შეიძლება ითქვას, რომ შენ უკვე გაიტანე შენი ოცნების გოლი?**

- არა, ჯერ არა. ჩემი ოცნების გოლი იმ გოლს ჰგავს, რომელიც მარადონამ გაიტანა. არ ვიცი, იცით თუ არა მის შესახებ *(იცინის)*. მაგრამ, ვფიქრობ, ამ გოლის გატანას ვერ შევძლებ.

**- წინასწარ არასოდეს იცი...**

- მართალია, მაგრამ...

**- როგორც ფეხბურთელმა, უკვე მიაღწიე თუ არა შენს მწვერვალს?**

- არ ვიცი. ძალიან ძნელია, რომ ერთხელაც თქვა: "ეს არის მაქსიმუმი, რისი მიღწევაც შემიძლია". არის ეტაპები, რომელთაც თითოეული ფეხბურთელი გადის. კარგად ჩანს, თუ როდის მიიწევს ფეხბურთელი მაღლა, როდის ინარჩუნებს დონეს და როდის აქვს ჩავარდნა. მაგრამ, ამასთანავე, არ არსებობს რაღაც პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც ახსნი, თუ როდის, რომელ ასაკში, როგორ ფორმაშია ფეხბურთელი. ეს ყველაფერი დამოკიდებულია თავად ადამიანზე, გარემოებებზე და იმაზე, თუ როგორ გრძნობს ეს ადამიანი ფეხბურთს. ახლა მე კარგი პერიოდი მაქვს, თუმცა, ვფიქრობ, რომ ჩემი კლუბისა და ნაკრებისთვის მეტის მიცემა შემიძლია. ეს არის ის, რისი გაკეთებაც მინდა.

**- ახლა შენ მადრიდის "რეალის" კაპიტანი ხარ. რას ნიშნავს ეს შენთვის?**

- ეს იმას ნიშნავს, რომ შენ ფეხბურთის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან კლუბს წარმოადგენ. ბევრი გულშემატკივარი შენზე და შენს კლუბზეა დამოკიდებული. ამ გუნდში არიან უდიდესი გამოცდილების ადამიანები, ჩემზე უფროსები, რომლებთანაც მე არაფერი მაქვს სათქმელი. მაგრამ იმ ახალგაზრდა ბიჭებს, რომლებიც გუნდში ახლა მოდიან, აკლიმატიზაციაში, გუნდთან შეჩვევაში უნდა დაეხმარო. ეს არ ნიშნავს იმას, რომ შენ აქ მეთაური ხარ. საუბარი და საკუთარი აზრის გამოთქმა ყველას შეუძლია, მე, უბრალოდ, ამ ჯგუფის წარმომადგენელი ვარ.

**- მიგაჩნია თუ არა, რომ ამ კლუბში გარკვეული ეპოქა შექმენი?**

- ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მოვიცადოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს. ერთადერთი, რაც მინდა, ის არის, რომ ჩემი თავი მადრიდის "რეალს" მივუძღვნა. მხოლოდ ასე შემიძლია, ჩემს მეგობრებთან ერთად, სიხარული მივანიჭო ხალხს. დროთა განმავლობაში გამოჩნდება, მართალია თუ არა ის, რაზეც ახლა მკითხეთ. არის საკითხები, რომლებიც მხოლოდ დროთა განმავლობაში ირკვევა.

**- ზემოთ თქვი, რომ კლუბისა და ნაკრებისთვის მეტის გაკეთება გინდა. რა მნიშვნელობას ანიჭებს რაული ესპანეთის ნაკრებთან ერთად ტრიუმფს?**

- ძალიან დიდს. ახლა ჩვენ ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებისთვის ვიბრძვით. ეს საკითხი ყველას გვადარდებს, რადგან ისეთ სიტუაციაში მოვხვდით, რომ თავს კომფორტულად ვერ ვგრძნობთ. მაგრამ იმასაც ვათვითცნობიერებთ, რომ მეტოქის დამარცხება შეგვიძლია. ცხადია, ნორვეგია ადვილი მეტოქე არ იქნება, დიდ პრობლემებს შეგვიქმნის. მაგრამ თუ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა გვინდა, მათ აუცილებლად უნდა მოვუგოთ. თუ ამას ვერ შევძლებთ, ჯობს, სახლში დავრჩეთ. თუ ესპანეთი პორტუგალიაში ვერ გაემგზავრება, ჩვენ ყველაფერს დავკარგავთ, რადგან ორი თვის განმავლობაში ფეხბურთის გარეშე დავრჩებით. მე არ ვიცი, რა მოხდება მაშინ... *(იცინის)*.

კრივი

# სამი ქამარი ჰოლიფილდისთვის

კრივის გულშემატკივარს კარგად ემახსოვრება ჯორჯ ფორმენი. ერთ-ერთი უდიდესი მოკრივე კრივის ისტორიაში. მღვდლობიდან ერისკაცობაში დაბრუნებული და მსოფლიო ჩემპიონობის ოცნებას ჩაჭიდებული. ფორმენმა ერთწლიანი ვარჯიშის შემდეგ, 40 წლის ასაკში, ზედიზედ 24 ბრძოლა მოიგო, ყველა ნოკაუტით და მაინც მიაღწია სატიტულო ბრძოლამდე, სადაც მისი მეტოქე დუგლასის დამმარცხებელი ევანდერ ჰოლიფილდი იყო.

მეტოქეებმა 12 რაუნდი იჩხუბეს. გამარჯვებას ორივე ერთნაირად იმსახურებდა, მაგრამ რეფერიმ ჰოლიფილდის ხელი ასწია. ფორმენმა მაინც მოიგო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. WBA-ის ვერსიით სატიტულო ბრძოლის მე-13 რაუნდში მაიკლ მურერი დაამარცხა და მრევლს დაუბრუნდა.

ფორმენი ამჟამად 53 წლისაა და თავის მიერვე აგებულ ჰიუსტონის ეკლესიაში ქადაგებს, მაგრამ თავისი შეუპოვრობით ბევრი მოკრივისთვის მოსაბაძი მაგალითი გახდა. მათ შორის თავისუფლად შეიძლება მოვიხსენიოთ 41 წლის ევანდერ ჰოლიფილდი, რომელიც ამას წინათ ჯეიმს ტონიმ გალახა. სპეციალისტები იმასაც ამბობენ, სანამ რომელიმე მოკრივე რინგზე სამუდამოდ არ დატოვებს, ჰოლიფილდი არ მოისვენებსო. ევანდერიც ხვდება, რომ წასვლის დრო დაუდგა, მაგრამ სურს, ფორმენივით ლამაზად დაასრულოს სიურპრიზებით აღსავსე კარიერა.

ჰოლიფილდმა თქვა, - იქამდე ვიჩხუბებ, სანამ მსოფლიო ჩემპიონის რომელიმე ტიტულს არ მოვიგებო. ამას წინათ კი საზოგადოება შოკში ჩააგდო, როცა განაცხადა: ვიდრე მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი არ გავხდები, რინგს თავს არ დავანებებო. ამის შესახებ ჰოლიფილდმა თავის ოფიციალურ საიტზე გაავრცელა ინფორმაცია. თუმცა, ტონისგან დამარცხების შემდეგ ჰოლიფილდს გაუჭირდება არასაჩემპიონო კალიბრის ღირსეული მეტოქის მოძიება.



*ჰოლიფილდი უქამროდ წამსვლელი არ არის.*

"ღრმად მწამს, რომ წარუმატებლობას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის არის, რომ დაბრუნების შესაძლებლობა არსებობს. ამ წარუმატებლობის შემდეგ ვიცი, რომ მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალება გამარჯვებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ სიარულია. მას შემდეგ, რაც საჭირო კორექტირებას მოვახდენ, საჩემპიონო გზაზე პირველ ნაბიჯს გადავდგამ", - წერს 41 წლის ვეტერანი.

"ეს ჩემი ცხოვრებაა და არავის მივცემ უფლებას, ჩემს ნაცვლად მიიღოს გადაწყვეტილება. მე ყოველთვის ყურადღებით ვეცნობი იმ ადამიანების აზრს, ვინც ჩემზე ზრუნავს. მათ აზრს ყოველთვის გავითვალისწინებ, მაგრამ თვითონ გადავწყვეტ, როდის წავიდე კრივიდან და ვერავითარი ზეწოლა ჩემს გადაწყვეტილებაზე ვერ იმოქმედებს. მე მსურს, გავაგრძელო მოკრივის კარიერა. ამ გადაწყვეტილებას შეიძლება დაეთანხმო, შეიძლება არა, მაგრამ ასეთია ჩემი გადაწყვეტილება", - აღნიშნა ჰოლიფილდმა.

ამას წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე ჰოლიფილდმა განაცხადა: "ერთ-ერთი უკანასკნელი მარცხის შემდეგ ჩემს შვილს შევპირდი, რომ მსოფლიო ჩემპიონი კიდევ გავხდებოდი. სამწუხაროდ, ისევ დავმარცხდი, მაგრამ ვიჩხუბებ მანამ, სანამ რომელიმე ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს არ მოვიპოვებ. კრივიდან წასვლა ჩემს გეგმებში არ შედის, რადგან ვგრძნობ, ძველებურად ჯანმრთელი და ძლიერი ვარ".

შეგახსენებთ, რომ ოქტომბრის დასაწყისში ლას-ვეგასში ლეგენდარული მოკრივე დებიუტანტ ჯეიმს ტონისთან დამარცხდა. მეცხრე რაუნდის დასრულებამდე 1:42 წუთი რჩებოდა, როცა ჰოლიფილდის მწვრთნელს მობეზრდა თავისი აღსაზრდელის ფორმალური ცემის ცქერა და რინგზე პირსახოცი ისროლა.

ჰოლიფილდი მეტისმეტად ბებერი იყო იმისთვის, რომ ჩვეულ რიტმში ეჩხუბა. ბრძოლამდე ბევრს მიაჩნდა, რომ ჰოლიფილდს ჯერ კიდევ შეეძლო ძლიერი დარტყმების მიყენება და ასევე საშინელი დარტყმების ატანა, მაგრამ რაც უფრო დიდხანს გაგრძელდა ჩხუბი, მით უფრო ნათელი გახდა, რომ ჰოლიფილდის დარტყმას არავითარი ეფექტი არ ჰქონდა, ტონიზე ისინი საჭირო ზემოქმედებას ვერ ახდენდნენ.

შეგახსენებთ, რომ ტონისთან ბრძოლა 47-ე იყო ჰოლიფილდის კარიერაში. ამათგან ვეტერანმა 38 მოიგო და შვიდჯერ დამარცხდა. ოთხჯერ კი კარგავდა და იბრუნებდა საჩემპიონო ტიტულებს. თუმცა, როგორც ჩანს, ეს იყო უკანასკნელი დღე, როცა ჰოლიფილდმა რინგზე ხელფასი გამოიმუშავა.

ჰოლიფილდისა არ იყოს, იმედგაცრუებულია უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკოც. გაირკვა, რომ 20 დეკემბერს დაგეგმილი ბრძოლა კლიჩკოსა და ლამონ ბრიუსტერს შორის აღარ გაიმართება. WBO-მ გადაწყვიტა, რომ ამ ვერსიით ჩემპიონის ტიტულს გაითამაშებენ ბრიუსტერი და დევიდ ტუა, რომლებიც ორგანიზაციის რეიტინგის მიხედვით პირველ და მეორე ადგილზე არიან (კლიჩკო-უმცროსი მესამეა). თავად კლიჩკომ განაცხადა, რომ ძალიან წუხს ბრიუსტერთან ბრძოლის ჩაშლის გამო.

ამრიგად, გაირკვა, რომ წლის ბოლომდე კლიჩკო ვერ დაიბრუნებს WBO-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს, რომელიც მან მარტში, კორი სანდერსთან დამარცხების შემდეგ დაკარგა. თავის მხრივ, სანდერსმაც უარი განაცხადა, ვერსიის ოფიციალურ პრეტენდენტთან, ბრიუსტერთან ბრძოლაში დაეცვა თავისი ტიტული და საჩემპიონო ქამარიც მოულოდნელად ვაკანტური აღმოჩნდა.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ინგლისის "ლივერპულის" ფრანგმა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ განაცხადა, რომ გუნდის ფორვარდი მაიკლ ოუენი კლუბს უახლოეს მომავალში არ დატოვებს. მწვრთნელის თქმით, ოუენი და სტივენ ჯერარდი გუნდის წამყვანი ფეხბურთელები არიან და "ლივერპულთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად იბრძოლებენ. ამიტომ ამ ფეხბურთელებთან დამშვიდობება კლუბის ხელმძღვანელთა ინტერესებში არ შედის. "ისინი ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან, საუკეთესო წლები ჯერ კიდევ წინა აქვთ, მაგრამ მათ უკვე მიაღწიეს კარგ საერთაშორისო დონეს და, მიხარია, რომ ამ ფეხბურთელებს გუნდში დარჩენა სურთ", - განაცხადა ჟერარ ულიემ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჰოლანდიელი იაპ სტამი დაშავდა და ორი კვირით გამოეთიშა აქტიურ ფეხბურთს. "ლაციოს" ჰოლანდიელ მცველს ბარძაყის კუნთი გაუწყდა. სტამმა "ბოლონიასთან" მატჩში მიიღო ტრავმა. ის გამოტოვებს მატჩებს "უდინეზესა" და ლონდონის "ჩელსის" წინააღმდეგ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "შალკე 04"-თან შეხვედრაში დაშავდა "ჰამბურგის" მცველი ბერნდ ჰოლერბახი, რომელიც ოთხიდან ექვს კვირამდე დაისვენებს. ამ კვირის ბოლოს ფეხბურთელს შვეიცარიაში ოპერაციას გაუკეთებენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფიფამ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციისგან ოფიციალური შეტყობინება მიიღო თხოვნით, მიუხედავად იმისა, რომ სატრანსფერო დერეფანი უკვე დაიხურა, ფაბიენ ბარტეზს ნება დართონ, იჯარის წესით ითამაშოს მარსელის "ოლიმპიკის" შემადგენლობაში. როგორც ჩანს, დღეს ბარტეზი ამ უფლებას მიიღებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** დორტმუნდის "ბორუსიას" ნახევარმცველმა სებასტიან კელმა 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია დაიმსახურა. ფეხბურთელმა "ბოხუმთან" მატჩში მეტოქეს ერთი გემრიელად უთავაზა და ამისთვის დაისაჯა. ეს კელისთვის ამ სეზონში მიღებული უკვე მეორე ხანგრძლივი დისკვალიფიკაციაა. სეზონის დასაწყისში მან ხუთი მატჩი გამოტოვა.

■ ■ ■

**ჭადრაკი.** სწრაფ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატზე ყველა ნახევარფინალისტი გამოვლინდა. ვლადიმირ კრამნიკსა და ვიშვანათან ანანდს ალექსანდრ გრიშჩუკი და პეტრ სვიდლერი შეუერთდნენ. გრიშჩუკმა ძირითად დროში ვერ მოახერხა ეტიენ ბაკროს წინააღმდეგობის დაძლევა, მაგრამ ტაი-ბრეიკზე - 2:0 მოიგო. სვიდლერმა კი ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი - 1,5:0:5 დაამარცხა.

■ ■ ■

**კრივი.** WBO-ის ვერსიით მძიმე წონაში ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის კორი სანდერსის (რომელიც, ამავე დროს, WBC-ის რეიტინგში მეორეა) და ამავე რეიტინგის მე-14 ნომრის ფრეზ ოკვენდოს მატჩი გადაიდო. ეს ბრძოლა 15 ნოემბერს სამხრეთ აფრიკაში უნდა გამართულიყო. თავის დროზე დააანონსეს, მაგრამ მოგვიანებით გააუქმეს მატჩები კორი სანდერსსა და როი ჯონსს, აგრეთვე, კორი სანდერსსა და ლემონ ბრიუსტერს შორის. ახლა იგივე მეორდება ოკვენდოსთან დაკავშირებით. რაშია საქმე? კორი სანდერსი ცოტა ხნის წინათ დაშორდა თავის დიდი ხნის პრომოუტერს როდნი ბერმანს და შემდეგ სასამართლო საქმე წააგო გერმანულ პრომოუტერულ ფირმა "იუნივერსუმ ბოქს პრომოუშენთან". სწორედ ამის გამო ჩაიშალა ბრძოლა ოკვენდოსთანაც.

■ ■ ■

**კრივი.** კრივის ნაციონალურმა ასოციაციამ (NBA) როი ჯონსი ქვემძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის სტატუსში აღადგინა. საყოველთაოდ აღიარებულ ჩემპიონს ადრე ანალოგიური ქამარი IBO-ის ფედერაციამაც დაუბრუნა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** მალე "მინარდი" კონტრაქტს გააფორმებს იტალიელ მრბოლთან, ჯანმარია ბრუნისთან, რომელიც მომავალ სეზონში გუნდის ძირითადი პილოტი უნდა გახდეს. ივლისში ბრუნი "მინარდის" ტესტ-პილოტი გახდა და, სტოდარტის თქმით, მზად არის სერიოზული სამუშაოსთვის. ეს სეზონი გუნდმა იოს ფერსტაპენითა და ნიკოლას კიესათი დაასრულა. გუნდის ხელმძღვანელობა მათი გამოსვლით კმაყოფილია, მაგრამ უახლოეს პერიოდში ფერსტაპენი, ალბათ, "იაგუარში" ან "ჯორდანში" გადავა. სწორედ მისი ადგილი უნდა დაიკავოს ბრუნიმ. "ერთ-ერთი მრბოლის ვინაობას ჩვენ ნოემბერში დავასახელებთ, - განაცხადა სტოდარტმა, - ამ ადგილის ყველაზე რეალური პრეტენდენტი ბრუნია".

■ ■ ■

**კარტი.** კარტის უკანასკნელი რბოლა, რომელიც California Speedway-ის ტრასაზე უნდა გამართულიყო, განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. მიზეზი ხანძარია, რომელიც ლოს ანჯელესის აღმოსავლეთით მძვინვარებს.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "კოლორადო" - "კალგარის" მატჩის დაწყების წინ გაიმართა "ეველანშის" მეკარის პატრიკ რუას პატივსაცემი ცერემონიალი. "წმინდა პატრიკის" მაისურა ალიმართა დენვერში, "პეპსი ცენტრის" სახურავზე, სადაც რეი ბურკის გვერდით დაიმკვიდრა ადგილი. რუამ 19 სეზონისა და სტენლის 4 მოგებული თასის შემდეგ წლეულს, მაისში დატოვა NHL-ი. ის ერთადერთია ლიგის ისტორიაში, ვინც ზედიზედ სამჯერ მოიგო "კონი სმაიტ ტროფეი", რომელიც პლეი-ოფის საუკეთესო მოთამაშეს გადაეცემა. მას ეკუთვნის ისეთი მიღწევები, როგორიც ჩატარებული და ზედიზედ მოგებული მატჩების რაოდენობაა.

## ჭადრაკი

# ვაჟები აღარ ხუმრობენ

ბიბა გურასაშვილი

პლოვდივში (10-21 ოქტომბერი), ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე, ქართველმა მოჭადრაკე ვაჟებმა, პირველად ქართული ჭადრაკის ისტორიაში, მესამე ადგილი დაიკავეს.

ვაჟ მოჭადრაკეებში აღმავლობაა. გუშინ ჭადრაკის სასახლეში ამას არაერთხელ გაესვა ხაზი. მართლაც, თუ ბოლოდროინდელ წარმატებებს გავიხსენებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრებმა ერთგვარი ესტაფეტა ჩაიბარა კოლეგა ქალებისგან, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ერთპიროვნულად ლიდერობდნენ ნებისმიერი რანგის დაფებზე. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი მეძმარიაშვილმა აღნიშნა კიდეც: სულ იმას ვფიქრობდი, ნუთუ ქალები ჩვენზე ჭკვიანები არიან-მეთქი. ფაქტია: გასული წლიდან ვაჟი მოჭადრაკეები დაწინაურდნენ. ჯერ ოლიმპიადაზე მეოთხე ადგილი დაიკავეს. რამდენიმე თვეში კი ზურაბ აზმაიფარაშვილი, ასევე პირველად ქართული საჭადრაკო სკოლის ისტორიაში, ევროპის ჩემპიონი გახდა. ევროპის პირადი ჩემპიონატიდან გუნდურ ჩემპიონატამდეც ნახევარი წელიწადი გავიდა და ამჯერად ნაკრებმა "ბრინჯაო" დაისაკუთრა. ევროპაში ასეთი შედეგის მიღწევა კი სულაც არ არის უბრალო ამბავი. ყოველ შემთხვევაში, მან, ვინც მსოფლიო ჭადრაკის ამბები კარგად იცის, ისიც ეცოდინება, თუ რას ნიშნავს ევროპის ზესამეულში ადგილის დაკავება. ფაქტობრივად, საჭადრაკო სიმძიმის ცენტრი ევროპაზე მოდის. ყველა უძლიერესი მოჭადრაკე ევროპელია და ეს საჭადრაკო ოლიმპიადებზეც არაერთხელ დამტკიცებულა.

"მჯერა ამ ბიჭების. ეს არ არის ამბიციური განცხადება. გაისად მეონორკა (ესპანეთი) საჭადრაკო ოლიმპიადას უმასპინძლებს. იქ, ესპანეთში, ბლედში მიღწეული შედეგის გასაუმჯობესებლად გავემგზავრებით. ამისთვის უკვე გეგმას ვამუშავებთ", - ომახიანად ამბობს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ნინო გურიელი.

ასპარეზობა შვეიცარიული სისიტემით, 9 ტურად ჩატარდა. ზურაბ აზმაიფარაშვილი, მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ მჭედლიძე, გიორგი ყაჭეიშვილი და ბაადურ ჯობავა, ზურაბ სტურუას კაპიტნობით, ორ ტურში (აზერბაიჯანთან და რუსეთის სუპერგუნდთან) დამარცხდნენ. არ შეიძლება, არ აღინიშნოს გიორგი ყაჭეიშვილის ოსტატობა. მან ევროპის ჩემპიონატი დაუმარცხებლად განვლო და ინდივიდუალურ დაფაზე მცირე ოქროს მედალს დაეუფლა. სხვათა შორის, ყაჭეიშვილი ბლედის საჭადრაკო ოლიმპიადაზე ნაკრებს მიღმა აღმოჩნდა. ახლა კი დაამტკიცა, რომ მისი ადგილი ნაკრებშია და ეს გურიელმაც აღნიშნა. ყაჭეიშვილის წარმატებამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა მერაბ გაგუნაშვილს, რომელსაც მცირე ვერცხლის მედალი ერგო. ურიგოდ არც ნაკრების სხვა წევრებს უასპარეზიათ. ჩვენს გუნდს ყველა იმ ნაკრებთან მოუწია თამაშმა, რომლებიც დღეს ამინდს ქმნიან საჭადრაკო სამყაროში. არ გვითამაშია მხოლოდ ისრაელის ნაკრებთან, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა. რაც შეეხება დანარჩენებს: ფინეთმა, რომელსაც, ჩვეულებრივად, საჭადრაკო გრანდებს შორის არ მოიხსენიებენ, საქართველოს ნაკრებს არაერთი თავსატეხი გაუჩინა - 2:2; შვედეთი (სამი ყაიმი და ერთი მოგება), უნგრეთი (მას ორი ძირითადი მოთამაშე აკლდა, თუმცა, ეს მათი თამაშის ხარისხზე არ ასახულა). წარმატებული სტარტის შემდეგ, როგორც ნაკრების კაპიტანმა აღნიშნა, საქართველოს ნაკრები ვერაფრით ვერ განეწყო აზერბაიჯანთან სათამაშოდ. თუ მიხეილ მჭედლიშვილის მიერ დათმობილ მატჩს არ ჩავთვლით, სამივე შეხვედრა საყაიმო ანგარიშით დასრულდა - 1,5:2,5; აზაერბაიჯანელებთან მარცხის შემდეგ კი ბიჭები გამოფხიზლდნენ და ათამაშდნენ – მეხუთე ტურში ესტონელები დაამარცხეს. ესტონელების ბედი გაიზიარეს ესპანელებმა და ფრანგებმა. მერვე ტური საბედისწერო აღმოჩნდა. აქაც, ისევე როგორც აზერბაიჯანელებთან, სამი შეხვედრა ყაიმით, ხოლო ერთი წაგებით დასრულდა. საჭირო იყო დასკვნით ტურში წარმატება, რათა მესამე ადგილის შანსი შეგვენარჩუნებინა. ასე რომ, ფსიქოლოგიურმა ზეწოლამაც იმატა. მიუხედავად ამისა, 2,5:1,5, გამარჯვება და 37 გუნდს შორის მესამე ადგილი საქართველოს ნაკრებს დარჩა.

ქალთა ნაკრებმა წარუმატებლად იასპარეზა (მე-12 ადგილი).



პრესკონფერენციაზე.

## ჩოგბურთი

# მეორე დღე პარიზში

სანდრო ნავერიანი

გრძელდება პარიზის მასტერსის ტურნირი. პირველი წრის ყველა მატჩი დასრულდა. ცნობილი გახდა მეორე წრის ყველა შეხვედრის მონაწილეთა ვინაობა. პირველი წრის უკანასკნელი ოთხი მატჩი საინტერესოდ წარიმართა. ბრაზილიელმა გუსტავო კუერტენმა ამერიკელი მარდი ფიში დაამარცხა (6:4, 7:6). ბრაზილიელი აგრძელებს მოგებათა სერიას. მან ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო. დღეს მოქმედ ჩოგბურთელთაგან, ბრაზილიელს ყველაზე მეტი ტურნირი აქვს მოგებული – 19-ჯერ გაიმარჯვა. პარიზული მასტერსის მოგების შანსი ნაკლებად აქვს, თუმცა, თუ ასე გააგრძელა, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა ძალიან ძნელი იქნება ნებისმიერი ჩოგბურთელისთვის. მეორე წრეში კუერტენი ეისების მეფედ წოდებულ ავსტრალიელ მარკ ფილიპუსისს დაუპირისპირდება. სლოვაკმა დომინიკ ჰრბატმა ამერიკელი სპადეა გამოთიშა ტურნირს. ფელისიანო ლოპესმა რუს მიხაილ იუჟნის სძლია და გავიდა მეორე წრეში, სადაც არგენტინელ გილიერმო კორიასთან წააგო. იონას ბიორკმანმა არგენტინელ კალერის სძლია.

გაიმართა მეორე წრის ზოგიერთი შეხვედრა. ყველაზე საინტერესო ესპანელ ხუან კარლოს ფერეროსა და ფრანგ ნიკოლა მაიუს შორის გაიმართა. ახალგაზრდა ფრანგი, რომელიც შემთხვევით მოხვდა ტურნირზე, არაფერს უთმობდა მსოფლიოს ნომერ პირველ ჩოგბურთელს. პირველ სეტში პატარა ფრანგს სამი სეტბოლი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. ფრანგმა მატჩი კი წააგო, მაგრამ პრესკონფერენციაზე ფერერომ განაცხადა, რომ აღფრთოვანებულია ფრანგის თამაშით. თავისი შეხვედრები მოიგეს ენდი როდიკმა, ნიკოლას მასუმ, ტომი რობრედომ, პარადორნ შრიჩაპხანმა და ჰიხამ არაზიმ. ეს უკანასკნელი თავის თანამემამულეს იუნას ელ აიანუის შეხვდა. ორივემ თითო სეტი მოიგო, რის შემდეგაც უფრო ცნობილმა მაროკოელმა ტრავმა მიიღო და მეორე წრეში ავტომატურად ჰიხამ არაზი გავიდა. ენდი როდიკმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა რუმინელი ვიქტორ იანესკუ (7:6, 7:6). მეორე წრის მატჩებში ყველაზე იოლად ესპანელმა ტომი რობრედომ გაიმარჯვა – დაამარცხა არგენტინელი გასტონ გაუდიო (7:5, 6:3). ტაილანდელმა პარადორნ შრიჩაპხანმა სლოვაკი კაროლ ბეკი გამოთიშა პირველობას. ჩილელმა ნიკოლას მასუმ კი ესპანელ ალბერტო კოსტას გადაუღობა გზა (3:6, 6:1, 7:5). წყვილთა გათამაშებაში გაიმარჯვა ლოდრა/სანტოროს ტანდემმა. უაღრესად დაძაბულ მატჩში მათ დამი/სუკის წყვილს სძლიეს. მარცხი განიცადა წყვილთა შორის ერთ-ერთმა ფავორიტმა რობრედო/შუტლერის დუეტმა. ამ ტურნირზე ყველაზე საინტერესო ჯერ არ დაწყებულა. ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის.



**გთავაზობთ შედეგებს.**

| | |
|---|---|
| **პირველი წრე 28 ოქტომბერი** | |
| გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) - მარდი ფიში (აშშ) | 6:4, 7:6 |
| დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) - ვინსენტ სპადეა (აშშ) | 7:6, 6:1 |
| ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) - მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 7:6, 6:3 |
| იონას ბიორკმანი (შვედეთი) - ავგუსტინ კალერი (არგენტინა) | 6:4, 7:6 |
| **მეორე წრე 28 ოქტომბერი** | |
| პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი) - კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) | 7:6, 6:3 |
| ჰიხამ არაზი (მაროკო) - იუნას ელ აიანუი (მაროკო) | 4:6, 6:3, 1:2-ზე თამაში შეწყდა. |
| ტომი რობრედო (ესპანეთი) - გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 7:5, 6:3 |
| ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) - ნიცოლა მაიუ (საფრანგეთი) | 7:6, 6:4 |
| ენდი როდიკი (აშშ) - ვიქტორ იანესკუ (რუმინეთი) | 7:6, 7:6 |
| ნიკოლას მასუ (ჩილე) - ალბერტო კოსტა (ესპანეთი) | 3:6, 6:1, 7:5 |
| **მეორე წრე 29 ოქტომბერი** | |
| გილიერმო კორია (არგენტინა) - ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) | 6:3, 3:6, 6:3 |
| იონას ბიორკმანი (შვედეთი) - ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) | 6:4, 6:1 |
| ანდრეა პაველი (რუმინეთი) - ფელიქს მანტილა (ესპანეთი) | 7:5, 7:6 |
| **წყვილთა თანრიგი 28 ოქტომბერი** | |
| ლოდრა/სანტორო - დამი/სუკი | 7:6, 7:6 |
| არტურსი/ჰენლი - რობრედო/შუტლერი | 6:3, 6:4 |

## კალათბურთი

# ფავორიტები და აუტსაიდერები ახალ სეზონში

სანდრო კუპრავა

გუშინ, ჩვენი დროით დილის ხუთ საათზე, სტარტი აიღო ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის 58-ე სეზონმა. გუშინვე ჩატარდა სამი მატჩი. ლოს ანჯელესში ადგილობრივმა "ლეიკერსმა" დალასელ მავერიკებს უმასპინძლა და დაამარცხა – 109:93. ფილ ჯექსონის გუნდის შემადგენლობაში მოედანზე გამოვიდა ორივე ახალწვეული ვარსკვლავი - კარლ მელოუნი და გერი პეიტონი. ეს უკანასკნელი ლოსანჯელესელთა რიგებში საუკეთესო იყო. მან თავის გუნდს 21 ქულა შესძინა. ყოფილმა ჯაზმენმა, კარლ მელოუნმა, თავის გუნდს 15 ქულა შესძინა, ხოლო შაკილ ო`ნილმა "ლეიკერსს" 16 ქულა მოუტანა. ლოსანჯელესელთა კიდევ ერთი ლიდერი, კობი ბრაიანტი, მხოლოდ მეოთხე პერიოდში გამოჩნდა სათადარიგოთა სკამზე, მაგრამ მოედანზე მაინც არ გამოსულა. დალასელთა შემადგენლობაში გამოირჩეოდნენ ბოსტონიდან სულ ახლახან გადმოსული ანტუან უოკერი და გერმანელი დირკ ნოვიცკი. ასევე მოგებით დაიწყო რეგულარული ჩემპიონატი მოქმედმა ჩემპიონმა "სან ანტონიო სფარზმა". ტეხასელებმა თავის მოედანზე ფენიქსელი მზეები დაამარცხეს – 83:82. მატჩის მსვლელობისას მასპინძლები 15 ქულასაც კი აგებდნენ, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე 28,4 წამით ადრე "სან ანტონიოს" ახალწვეულმა ენტონი კარტერმა თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა. ბოლო ორი რეგულარული ჩემპიონატის ყველაზე ძვირად ღირებულმა კალათბურთელმა, ტიმ დანკანმა, 26 ქულა, 12 მოხსნა და 6 დაფარება თავის ანგარიშზე მიიწერა. მესამე მატჩში ერთმანეთის წინააღმდეგ წარდგნენ ფილადელფიელი "სევენთისიქსერზი" და "მაიამი ჰიტი". ეს უკანასკნელი სტუმრად თამაშობდა. მაიამელები კი, როგორც ცნობილია, სტუმრად მაინცდამაინც სახარბიელოდ არ გამოიყურებიან. ფილადელფიელთა შემადგენლობაში, როგორც ყოველთვის, გამოირჩეოდა ალან აივერსონი. უკანასკნელ პერიოდში გუნდის მიერ მოპოვებული 26 ქულიდან მან ცამეტი თავის ანგარიშზე მიიწერა.

სეზონის დაწყებასთან ერთად დაიწყო იმაზე საუბარი, თუ ვინ არის გამოკვეთილი ფავორიტი. "ლეიკერსი", "სან ანტონიო", "საკრამენტო", "დალასი" და "პორტლენდი" დასავლეთ კონფერენციის აშკარა ლიდერები არიან, აღმოსავლეთის ფავორიტებად კი "ნიუ ჯერსი", "დეტროიტი" და "ინდიანა" სახელდებიან. თუ ზემოხსენებული გუნდები ფავორიტები არიან, მაშინ გამოდის, რომ დანარჩენ გუნდებს არავითარი შანსი არა აქვთ, მაგრამ არც ასეა საქმე! ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში არიან ისეთი გუნდები, რომლებიც სენსაციებს ახდენენ. ჰოდა, ახლა სწორედ მათზე მინდა გითხრათ ორიოდე სიტყვა.

### "მილუოკი ბაქსი"

ბოლო ორ წელიწადში "მილუოკიმ" დაკარგა "დიდი სამეული" და მწვრთნელი "დიდი პირით". საუბარია გლენ რობინსონზე, რეი ალენსა და სემ კასელზე. ასეთი სასაცილო მეტსახელის პატრონი მწვრთნელი კი ჯორჯ კარლია. სანამ "მილუოკი" ამ ხალხს გაყიდდა, აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალშიც კი იყო, სადაც "ფილადელფიასთან" დამარცხდა. ახლა გუნდს ჰყავს ახალი მწვრთნელი, რომელიც, სავარაუდოდ, თავისი მოთამაშეების წინააღმდეგ ავტორიტეტს არ გამოიყენებს (როგორც ეს ჯორჯ კარლის დროს იყო). გუნდიც საშუალო კალათბურთელებით დაკომპლექტდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წლეულს მილუოკელები გუნდურ თამაშს შემოგვთავაზებენ, როგორც ამას თავის საუკეთესო წლებში ბოსტონური გუნდი აკეთებდა.

არ შეიძლება დავივიწყოთ ვეტერანები – ტონი კუკოჩი და ჯო სმიტი, რომელიც 1994 წელს დრაფტის პირველ ნომრად დაასახელეს. ბევრი იქნება დამოკიდებული გუნდის ახალწვეულზე ჯეი ტი ფორდზე. თუ ფორდმა საშუალო დისტანციიდან ტყორცნები გააუმჯობესა, მაშინ ფლეი-ოფზე ლაპარაკიც შეიძლება.

### "ტორონტო რეფტორზი"

ვინს კარტერი. გახსოვთ ვინმე ასეთი? ვინც ახლა შემოგვიერთდა, ვეტყვი, რომ ის ძალიან კარგი კალათბურთელია, უბრალოდ, ტრავმის გამო შარშანდელი სეზონი გამოტოვა. ანტონიო დევისმა, როგორც იქნა, გაიგო, რომ "ტორონტო" თითქმის ამერიკაა და კალათბურთის თამაში აქაც შეიძლება, მით უმეტეს, თუ ამერიკულ ჩემპიონატში თამაშობ. დაბოლოს, ლემონდ მიურეი, რომელსაც ჯერ არ დავიწყებია ქულების მოგროვება. გუნდში ყველა ცვლილება "ტორონტოს" ახალი მწვრთნელის, კრის ო`ნილის დამსახურებაა. ის ამ სეზონის დაწყების წინ ჩაუდგა გუნდს სათავეში. ახალწვეულებიც ცნობილი და კარგი მოთამაშეები არიან – კრის ბოში და მაიკლ კარი, რომელზეც უნდა აეწყოს მთელი დაცვის ხაზი.

### "იუტა ჯაზი"

ეს სახელი უკვე დიდი ისტორიაა. მახსოვს კარლ მელოუნი, ჰორნეჩეკი, სტოქტონი, ოსტერტაგი – ესენი ხომ უდიდესი კალათბურთელები იყვნენ. დღეს ეს გუნდი დაშლის პირას არის მისული. ჯაზმენები ნამდვილად ვერ მოხვდებიან ფლეი-ოფში, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გუნდს დაშლისგან გადაარჩენს, მათ მწვრთნელს, სლოანს, შეუძლია, წლის საუკეთესო მწვრთნელი გახდეს. გუნდში თითქმის აღარ არიან შავკანიანი კალათბურთელები. საერთოდ, შავკანიანებს ამ შტატში არ სწყალობენ. მეტიც – ძალიან არ უყვართ. ასე რომ, პოსტ-მელოუნურ და პოსტ-სტოქტონურ ერას მხოლოდ იმედგაცრუება ელის.

### "მემფის გრიზლის"

ბევრი ამბობს, რომ მემფისელები ველარ შეძლებენ რეგულარულ ჩემპიონატში 30 მატჩის მოგებას, მაგრამ მემფისელები რომ აღმოსავლეთ კონფერენციაში გამოდიოდნენ, კლუბის შერჩეული მოთამაშეები, რომლებიც ელვის პრესლის სამშობლოდან არიან, გუნდს პირველ ადგილს გაუნაღდებდნენ. "მემფისის" მწვრთნელმა გადაწყვიტა, გუნდის ტაქტიკა შეცვალოს – ყველა კალათბურთელი დაეხმაროს ერთს, რომელზეც აეწყობა მთელი თამაში. "მემფისში" ბევრი უნივერსალური მოთამაშეა – მაიკ მილერი, შეინ ბატიე, ჯეიმს პოსი. მათ შესწევთ ძალა, გააძლიერონ დაცვის ხაზი. ფარიდან მოხსნაზე კარგად მოქმედებს ბო ოუტლოუ, ხოლო სტომაილ სვიფტს შეუძლია, მატჩში შვიდჯერ მაინც დააფაროს მოწინააღმდეგს. თავდასხმის ხაზი საკმაოდ ძლიერი ჰყავს მემფისურ კლუბს – პოუ გაზოლი, უესლი პერსონი და ჯეისონ უილიამსი. ეს კალათბურთელები ამინდს ქმნიან გუნდში. ერთი სიტყვით, კლუბს მშვენიერი მოთამაშეები ჰყავს. მთავარია, სეზონის მსვლელობისას არ გადაიწვნენ და მაშინ ფლეი-ოფზეც შეიძლება ფიქრი.



REUTERS

შაკილ ო'ნილს ფარქვეშ ვერავინ შეეცილება.

# ნასა მეორე თაობის "შატლებზე" მუშაობს

მერაბ ლორთქიფანიძე

"შატლის" სისტემის მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსურ ხომალდ "კოლამბიას" დაღუპვის შემდეგ დაიბადა ბუნებრივი კითხვა – რა იქნება შემდეგ? რა თქმა უნდა, ეს კითხვა მას შემდეგაც აქტუალური დარჩა, რაც გადაწყდა, რომ "შატლები" მალე განაახლებენ ფრენას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღეისათვის კოსმოსური კვლევის საქმეში უპირატესობა სწორედ მრავალჯერადი გამოყენების ხომალდებს ენიჭებათ. ამერიკის შეერთებულ შტატებს ამგვარი ხომალდების, მართალია მოძველებული, მაგრამ მაინც მთელი პარკი გააჩნიათ, რითაც სხვა ქვეყნები ვერ დაიკვეხნიან. მაგრამ დრო მიდის და ეს ხომალდებიც თანდათან ამოწურავენ თავიანთ რესურსს და ჯერი მომდევნო თაობის ხომალდებზე მიდგება.

აშშ-ის კოსმოსური კვლევის ეროვნულმა სააგენტომ (ნასა) მომდევნო თაობის მრავალჯერადი ხომალდების შექმნაზე ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო ზრუნვა, როცა 1986 წელს, აფრენისას კატასტროფა განიცადა "ჩელენჯერმა". დღეისათვის ნასა-ს ამოქმედებული აქვს პროგრამა სახელწოდებით "სპეის ლაუნჩ ინიციატივ" (SLI), რომელიც მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდების მეორე თაობის შექმნას ითვალისწინებს.

ამ პროგრამის ფარგლებში, დღეისათვის ნასა-ს განხილვის საგანი გახდა სხვადასხვა კომპანიის მიერ შემუშავებული, რეალობასთან მეტ-ნაკლებად ახლოს მდგარი 15-მდე კონცეპტუალური პროექტი. ნასა და ეს კომპანიები რიგ ამოცანებს ისახავენ მიზნად, რომელთაგან, გასაგები მიზეზების გამო, ბევრი ჯერაც შეუსრულებელია.

წინასწარი ინფორმაცია იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ნასა-ს განზრახული აქვს, უარი თქვას მზიდი რაკეტების გამოყენებაზე, რომლებიც ხომალდის კოსმოსში გასაყვანად ერთჯერადად გამოიყენება. ჯერ ერთი, ამგვარი სქემა დედამიწის მახლობელი კოსმოსის დაბინძურებას იწვევს. მეორეც, მაგალითად, სისტემა, რომელსაც კომპანია "ლოკჰიდ მარტინი" სთავაზობს ნასა-ს, გაცილებით იაფი იქნება, ვიდრე ერთჯერადი მზიდი რაკეტების გამოყენება. ნასა იმედოვნებს, რომ ამ პროექტით შესაძლებელი იქნება ერთი გირვანქა (გირვანქა 453.6 გრამს შეადგენს) ტვირთის გადატანის ფასის 10 ათასიდან ათას დოლარამდე შემცირება.

"ლოკჰიდ მარტინის" მიერ შემოთავაზებულ პროექტში ხომალდის კოსმოსში გაყვანა ერთდროულად ორ მძიმეწონიან თვითმფრინავს ევალება. ეს თვითმფრინავები რალაცით სტრატეგიულ ბომბდამშენ B2-ს მოგვაგონებს. ისინი ატმოსფეროს ზედა ფენებში გაიყვანენ გაცილებით მოკრძალებული გაბარიტების მქონე კოსმოსურ ხომალდს, რომელიც საკუთარი ძრავების საშუალებით შეძლებს კოსმოსში გასვლას. ამასთან, მას თავადვე შეეძლება იქიდან უკან მობრუნება. უკან დაბრუნებას შეძლებენ "ბომბდამშენებიც", რომლებიც გარკვეული დროისა და მომსახურების შემდეგ კვლავ შეძლებენ კოსმოსში მორიგი ხომალდის გაყვანას.

განსხვავებულ პროექტს გვთავაზობს კომპანია "ბოინგი", რომელიც მსუბუქი ორბიტალური აპარატის, სახელად X-37, ორბიტაზე ჩვეულებრივი წესით – მზიდი რაკეტით გაყვანის მომხრეა.

კოსმოსური კვლევის ღირებულების შემცირების გარდა ნასა-ს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ფრენის უსაფრთხოების მნიშვნელოვანი გაზრდა. მაგალითად, თუ დღეისათვის ეკიპაჟის დაღუპვის ალბათობა 250-500:1-ზე შეადგენს, მომავლის მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდების შესაბამისი ალბათობა ათი ათას გაფრენაზე ერთი კატასტროფა იქნება. ამ კუთხით, ზოგიერთი პროექტი გვთავაზობს გაფრენების არა ვერტიკალური პოზიციიდან განხორციელებას, არამედ ჩვეულებრივს, ჰორიზონტალური მდგომარეობიდან. ამასთან, ასეთი ხომალდების გასაშვებად ნებისმიერი სტანდარტული ასაფრენი ზოლი გამოდგება. გაშვების ამგვარ ხერხს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია.

დადებითია ის, რომ ასეთი აპარატები ნაკლებად იქნებიან დამოკიდებულნი ამინდსა და ეგრეთ წოდებულ "გაშვების ფანჯარაზე". სამაგიეროდ, იმისათვის, რომ ხომალდმა ჩვეულებრივი რეაქტიული თვითმფრინავის დარად შეძლოს აფრენა და დაშვება, ისინი უნდა იყოს მსუბუქი და რაც მთავარია, გააჩნდეს მძლავრი და მსუბუქი ძრავები.

ნასა-ში ჯერაც არ გადაუწყვეტიათ, თუ რომელ ვარიანტს მიანიჭებენ უპირატესობას. ორივეს გააჩნია თავისი განსაკუთრებული უპირატესობანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაკლოვანი მხარეები. რაც შეეხება მათი დამზადების ტექნოლოგიებს, ეს პროგრამა უახლოეს ათწლეულზეა გათვლილი და ამ პერიოდში ამ ტექნოლოგიების შემუშავება პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

დღეისათვის ნასა-სთვის შეთავაზებული პროექტებიდან ყველაზე მეტად გამოირჩევა ორი – ორბიტარული ტაქსი და ტექნიკური მხარდაჭერის უპილოტო ხომალდი. კოსმოსური ტაქსის იდეა კორპორაცია "ნორტროპ გრუმენსა" და მის პარტნიორ "ორბიტალ საიენს კორპორეიშნს" ეკუთვნით. მათი პროექტის უფრო მართებული დასახელებაა ორბიტარული თვითმფრინავები. გარეგნულად ამგვარი თვითმფრინავები "შატლებს" მოგვაგონებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მათზე დაახლოებით ოთხჯერ მცირე გაბარიტისანი არიან. მათში მაქსიმუმ ხუთი ასტრონავტის მოთავსებაა შესაძლებელი. ამასთან, ამგვარი ტაქსით დიდ ტვირთსაც ვერ გადაიტან. შესაბამისად, მათი გამოყენება მხოლოდ მგზავრების (ასტრონავტების) ორბიტაზე გასაყვანად და უკან დასაბრუნებლად იქნება შესაძლებელი.

სავარაუდოდ, ორბიტარული კოსმოსური ხომალდების გასაშვებად გამოყენებულ იქნება ყველაზე იაფი რაკეტა-მზიდები. რაც ყველაზე მთავარია, იმის გამო, რომ ასეთი ხომალდებით მხოლოდ მცირე ტვირთის გადატანა იქნება შესაძლებელი, ნასა ამ პროექტით შემოთავაზებულ საშუალებებს განიხილავს, როგორც დამატებით სატრანსპორტო საშუალებებს. თუ სამუშაოები გეგმის მიხედვით განხორციელდა, პირველი ამგვარი "ტაქსი" პირველ გაფრენას, ალბათ, 2006 წლისთვის შეასრულებს.

რაც შეეხებათ "შატლების" უპილოტო ალტერნატივას, აქ ფიგურირებს ორი ცნობილი პროექტი, რომლებიც აღინიშნება ინდექსებით – X-33 და X-37.

ამ პროგრამებიდან პირველზე უკვე უზარმაზარი თანხებია დახარჯული, რაც სულაც არ არის გასაკვირი – ამ აპარატს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. პროექტის მიხედვით, მისი გაშვება "შატლისაზე" 90 პროცენტით იაფი დაჯდება, რამდენადაც ეს ხომალდი რაკეტა-მზიდის გარეშე ახერხებს აფრენას. ამასთან, ნავარაუდევია, რომ X-33 ბგერისაზე 18-ჯერ მეტ სიჩქარეს განავითარებს.

თუმცა, ყოველივეს მიუხედავად, პროგრამა ჩავარდა – 1999 წელს, ხომალდის ტესტირებისას მწყობრიდან გამოდიოდა საწვავის ავზები, რომლებიც ჰაერში სკდებოდა. ნაკლის აღმოფხვრას კონსტრუქტორებმა ორი წელი და მილიარდი დოლარი მოანდომეს, მაგრამ ყველაფერი ამაოდ. სამწუხაროდ, 2001 წელს პროგრამა დაიხურა.

სამაგიეროდ, დარჩა "შთამომავალი" – X-37. თუმცა, აქ სიტყვა შთამომავალი აშკარად ზედმეტია, რადგან ამ აპარატის გაშვებას კვლავ რაკეტა-მზიდი ემსახურება, რაც X-33-ის ყველა ღირსებას აბათილებს. სამაგიეროდ, X-37 უპილოტო ხომალდია და ამდენად, მისი გაშვება მაინც "შატლისაზე" გაცილებით იაფი დაჯდება.

ბოლოს იმასაც დავსძენთ, რომ ნასა-ს მიერ დასმული ამოცანის განსახორციელებლად უახლოეს ხუთწლეულში კომპანიები "ლოკჰიდ მარტინი", "ბოინგი", "ნორტროპ გრუმენი" და "ორბიტალ საიენსი", საერთო ჯამში დაახლოებით 5 მილიარდ დოლარს დახარჯავენ. წინასწარი ვარაუდით, მრავალჯერადი კოსმოსური ხომალდების მეორე თაობის გაშვების სისტემები პირველად კოსმოსში ხომალდებს 2012 წელს გაიყვანენ.



"ნორტროპ გრუმენის" პროექტი



"ლოკჰიდ მარტინის" პროექტი



"ბოინგ X-37"

# წითელი ღვინო – უკვდავების ელექსირი

წითელი ღვინო რომ სასარგებლო ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ეს მეცნიერებისთვის დიდი ხანია, ცნობილია. თუმცა, ამის მიუხედავად, კვლავაც გრძელდება გამოკვლევები, რომელთა მიზანსაც ღვინის ადამიანზე ზემოქმედების უფრო კონკრეტული შესწავლა წარმოადგენს.

ამ მიმართულებით მუშაობს ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც ირწმუნება, რომ ღვინოში შემავალ ქიმიურ ელემენტებს ზედმეტი კალორიების "დაწვის" უნარი შესწევთ, რაც ადამიანის ჯანმრთელობაზე სიცოცხლის გახანგრძლივების ეფექტს ქმნის. უფრო მეტიც, ჰარვარდელები იმედოვნებენ, რომ წითელ ღვინოში აღმოჩენილი ნივთიერებების საშუალებით პერსპექტივაში შესაძლებელი იქნება ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება.

"ჯერ კიდევ სამოცდაათი წლის წინ აღმოჩენილ იქნა, რომ ორგანიზმში კალორიის შემცირებას სიცოცხლის გახანგრძლივება შეუძლია. ამ 70 წლის განმავლობაში კაცობრიობა ცდილობდა ამ ფენომენის ახსნას, დღეს კი ჩვენ მოლეკულის დონეზე სიცოცხლის ხანგრძლივობის გაკონტროლება შევძელით", - აცხადებს ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მკვლევარი დევიდ სინკლერი.

ნივთიერება მიეკუთვნება პოლიფენოლთა ჯგუფს, მას რესვერატროლს უწოდებენ და იგი აღმოჩენილია ყურძნის მტევანში. წინა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ამ ნივთიერებას ადამიანების გულის დაავადებათა განკურნება შეუძლია. მაგრამ აქამდე უცნობი იყო, რამდენად შეეძლო მას სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ზემოქმედება.

"რა თქმა უნდა, ჯერ ნაადრევია იმაზე ლაპარაკი, რამდენად შესაძლებელია ამ ნვთიერებათა საშუალებით ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის კონტროლი, მაგრამ ჩვენი გამოკვლევები ამ მიმართულებით სწორ გზას გვაჩვენებს", - ამბობს აშშ-ის ეროვნული ინსტიტუტის ასაკის გამოკვლევების განყოფილების მეცნიერი დევიდ ფინკელშტაინი.

ადამიანის ორგანიზმში კალორიების შეზღუდვა ააქტიურებს ფერმენტს სახელად SIR2, რომელიც დნმ-ს (დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა) სტაბილიზებას და აქედან გამომდინარე, უჯრედის სიცოცხლისუნარიანობის ზრდას განაპირობებს. სინკლერმა და მისმა ჯგუფმა აღმოაჩინეს პოლიფენოლთა ჯგუფი, რომელსაც აღნიშნული გენის გააქტიურება შეუძლია. მათ შორის ყველაზე ძლიერი მოქმედების უნარი გააჩნია რესვერატროლს, რომელიც უჯრედის ხანგრძლივობას 70 პროცენტით ზრდის.

უფრო მეტიც, მეცნიერების მიერ აღმოჩენილია, რომ რესვერატროლი აქტიური ანტიოქსიდანტია, რომელიც მავნე თავისუფალ რადიკალებისგან წმენდს ორგანიზმს, ამ უკანასკნელს კი უჯრედის დაზიანება ხელეწიფება. და მაინც, სინკლერი ამბობს, რომ შენაერთი იმდენად ანტიდამჟანგავის თვისებებით არ გამოირჩევა, რამდენადაც იმით, რომ მას პროტეინ SIR2-ის გააქტიურება და ამით უჯრედის სიცოცხლის გახანგრძლივება შეუძლია. ამასთან, სინკლერი დარწმუნებულია, რომ წითელი ღვინის წყალობით შესაძლებელია ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება.

ლაბორატორიულმა ცდებმა აჩვენა, რომ წითელი ღვინის წყალობით საცდელი თაგვები გაცილებით დიდხანს ცოცხლობენ. თუმცა, ჯერჯერობით ანალოგიური ცდები უფრო დიდი ზომის ძუძუმწოვარებსა და ადამიანებზე არ ჩატარებულა, რადგან ეს გაცილებით დიდ დროს მოითხოვს.

სინკლერი აცხადებს, რომ ჩილესა და ესპანეთის მშრალჰავიან რეგიონებში მოწეული წითელი ღვინო გაცილებით მეტ რესვერატროლს შეიცავს, ვიდრე რბილი ჰავის რეგიონების ღვინო.

სანამ მეცნიერები წითელი ღვინის ეფექტებს უფრო დაწვრილებით შეისწავლიან, ნამდვილად არ გვაწყენს, თუკი დღეში ერთ ჭიქა წითელ ღვინოს მივირთმევთ, ფილკენშტაინი კი ყოველი შემთხვევისთვის ამბობს: "სისულელე იქნება იმის თქმა, რომ ყოველდღიურად ჭიქა ღვინის დალევა ადამიანს 150 წლამდე აცოცხლებს. სამაგიეროდ, ისიც ფაქტია, რომ ამ სასმელს, სულ მცირე, სიამოვნების მოტანა შეუძლია".



# აღმოჩენილია თაგვები, რომლებსაც კიბოს თვითმკურნალობა შეუძლიათ

აშშ-ის უეიკ ფორესტის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ექსპერიმენტების დროს შემთხვევით აღმოაჩინეს, რომ ზოგიერთ თაგვს ყოველგვარი გარე ჩარევის გარეშე შეუძლია ავთვისებიანი სიმსივნის დამარცხება. რაც ყველაზე მთავარია, ექსპერიმენტების დროს გამოჩნდა, რომ ამ თვისებას მღრღნელები მემკვიდრეობითაც გადასცემენ.

ჰოდა, მეცნიერებმა, რომლებსაც სათავეში უდგას უნივერსიტეტის ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერი, პროფესორი სუი, ამ თვისების მქონე თაგვების მომრავლებაც მოასწრეს და ახლა ეძებენ იმ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც ამ პატარა ცხოველს აქამდე უძლეველი სენის დამარცხება შეუძლია.

მკვლევართა ათკაციან ჯგუფს თაგვების ორგანიზმში სხვადასხვა რაოდენობით კიბოს უჯრედები შეჰყავდა, მაგრამ ისინი მაინც არ ავადდებოდნენ. როგორც აღმოჩნდა, კიბოს უჯრედების გადანერგვის შემდეგ თაგვის ორგანიზმში რეფლექსურად აქტიურდებოდა მანამდე უცნობი დამცავი მექანიზმი, რომელშიც არ იყო ჩართული ადამიანის იმუნური სისტემის ეგრეთ წოდებული წინა ხაზი – სისხლის თეთრი უჯრედები, ანუ როგორც ხშირად უწოდებენ T-უჯრედები.

"კიბოს უჯრედების განადგურებას ისე, რომ არ დაზიანდეს ჯანმრთელი უჯრედები, დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალში ამ დაავადებასთან გასამარჯვებლად. ამ გამოკვლევებმა გვიჩვენა ჩვენთვის მანამდე უცნობი მექანიზმი პროცესისა, რომლითაც ადამიანის ორგანიზმს თავადვე შეუძლია კიბოსთან ბრძოლა", - ამბობს სუი.

კიბოსთან ბრძოლის უნარის გენეტიკურად გადაცემის შესაძლებლობა კი ადამიანებში ამ ავადმყოფობის პროფილაქტიკისა და პრევენციის მეთოდების გამომუშავების საშუალებას მისცემს მეცნიერებს. აღმოჩენამ შეიძლება მეცნიერებს აპოვნინოს მექანიზმი, რომლითაც ადამიანი სპონტანურად, მკურნალობის გარეშე შეძლებს კიბოსთან გამკლავებას.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ სუი და მისი კოლეგები სულ სხვა თემაზე მუშაობისას წააყდნენ ამ აღმოჩენას. მათ თაგვების ორგანიზმში სხვადასხვა რაოდენობით, სხვადასხვა ტიპის კიბოს უჯრედები შეჰყავდათ და დაკვირვებას ახდენდნენ მათზე. სწორედ ამ ექსპერიმენტების დროს აღმოჩენილ იქნა თაგვი, რომლის დაავადებაც არ ხერხდებოდა. მეცნიერებმა მალე ისიც აღმოაჩინეს, რომ ამ თაგვმა კიბოსადმი მედეგობა მემკვიდრეობით გადასცა შთამომავლობას. ჰოდა, სუიმ და მისმა ჯგუფმა ეს შანსი შესანიშნავად გამოიყენა – მათ კიბომედეგი თაგვების მთელი კოლონია შექმნეს, რომელშიც ზაფხულის დასაწყისისთვის 700-მდე მღრღნელი ირიცხებოდა.

რაც შეეხება პირველ თაგვს, რომელმაც კაცობრიობა შეიძლება კიბოსთან ბრძოლაში გამარჯვებამდეც კი მიიყვანოს, მის ორგანიზმში კიბოს უჯრედების მრავალჯერადი გადანერგვების მიუხედავად, სიბერემდე შეინარჩუნა ჯანმრთელობა და თაგვის სიცოცხლის ხანგრძლივობის ამოწურვის შემდეგ, სიბერით მოკვდა.

საინტერესოა ისიც, რომ ჩვეულებრივ თაგვებთან შეჯვარების შემდეგ კიბომედეგი მღრღნელების შთამომავლობის თითქმის ნახევარი ასევე კიბოსთან ბრძოლის უნიკალურ შესაძლებლობებს ავლენდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული თვისება დომინანტურია და აქედან გამომდინარე, მას, ალბათ, ერთი ან რამდენიმე მონათესავე გენი განაპირობებს. ჯერჯერობით დადგენილია, რომ კიბოსადმი მედეგობის თვისებას თაგვები მეშვიდე თაობამდე გადასცემენ.

გარდა ამისა, თაგვის ასაკზე ბევრად იყო დამოკიდებული კიბოსთან ბრძოლის უნარი და ინტენსივობა. ზოგს საერთოდ არ ეკარებოდა დაავადება, ზოგის დაავადებას კი რამდენიმე კვირა მაინც სჭირდებოდა. თანაც მათი დაავადების შემთხვევაში მათი ორგანიზმი სულ რაღაც 24 საათში უმკლავდებოდა ავადმყოფობას!

სუიმ და მისმა ჯგუფმა კიდევ ერთ საინტერესო თვისებას მიაგნო – თუ თაგვი ერთხელ მაინც დაავადდებოდა და შეძლებდა კიბოსგან განკურნებას, შემდგომში კიბოს უჯრედებით მათი ინექცირების შემთხვევაშიც კი ორგანიზმი უკვე შეუღწევადი იყო დაავადებისადმი.

სუი ასევე იმედოვნებს, რომ თაგვების მეშვეობით პასუხს გასცემს კიდევ ერთ კითხვას – რატომ ხდება კიბო უფრო საშიში და აგრსიული ადამიანების ასაკის ზრდის პარალელურად. დღეისათვის ეს იმით აიხსნება, რომ ადამიანის ორგანიზმში მუტაციები წლების განმავლობაში გროვდება, მათი საშუალებით კი სხეული წინაკანცეროგენულ მდგომარეობაში გადადის, რაც მოგვიანებით კიბოში გადაიზრდება.

უეიკ ფორესტის მკვლევარებმა კი საწინააღმდეგოს მიაგნეს – თაგვის ორგანიზმის კიბოსადმი მედეგობა ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება. "ჩვენი გამოკვლევა ჯერ მხოლოდ პირველ ფაზაში იმყოფება, მაგრამ დღესვე დიდ იმედებს იძლევა. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს აღნიშნულ პროცესებს ადამიანების საკეთილდღეოდ გამოვიყენებთ", - ამბობს უეიკ ფორესტის მკვლევართა ჯგუფის წევრი, პროფესორი მარკ უილინგემი. იგი დასძენს, რომ ჯგუფის პრიორიტეტი დღეისათვის იმ გენის აღმოჩენაა, რომელიც პასუხს აგებს თაგვების კიბომედეგობაზე. შემდეგ კი ჯერი ადამიანის ორგანიზმში მისი მონათესავე გენის აღმოჩენაზე მიდგება.



# "ალორძინება" საარჩევნო კამპანიის რეკორდს ამყარებს



ყურებიანი რეკორდსმენი.

პირველი გვერდიდან

ლაშას შვილს ნიკას უნდა, რომ მამასავით ძლიერი ყურები ჰქონდეს - ჯერჯერობით კი, ყურებს მხოლოდ გავრცელებული დანიშნულებით იყენებს და მშობლების დარიგებას ყურად იღებს ხოლმე. "როცა დავქორწინდით, ყურებს უკვე ავარჯიშებდა,"- გვითხრა ლაშა პატარაიას მეუღლემ.

რამდენ მოჭიდავეს აქვს ყურის ხრტილი გაძვალებული, მაგრამ ამგვარად მათი გამოყენება ყველას როდი უცდია. შესაძლებელია, მალე ამ სახეობაში საქართველოს ჩემპიონატიც გაიმართოს და ადამიანის ყურებმა სულ უფრო მძიმე საგნებთან გამართონ ასპარეზობა.

ორგანიზატორები იყვნენ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობი კავშირი "გიორგი".

ყურებზე დადგნენო, - ამ ღონისძიების სპონსორებზეა ნათქვამი. ნემსის ყუნწშიც გაძვრნენ და დემოკრატიული ალორძინების კავშირმა საქართველო "გაახარა": "ჩვენ მსოფლიოს უკვე მერამდენე ქართველი რეკორდსმენი ვაჩუქეთ. ორგანიზაციაში ნიჭიერი ადამიანები არიან გაერთიანებულები," - გვითხრა დაკის თბილისის ოფისის აღმასრულებელმა მდივანმა დავით აბაშიძემ; შემდეგ ისიც დასძინა, - წინასაარჩევნო კამპანიის დროს ოფიციალური საჩუქრის გადაცემა გამორიცხულია და რეკორდსმენს სახლიდან ვინ რას აჩუქებს, ვისი რა საქმეაო.

მართალია "ალორძინების" წარმომადგენელი: ნიჭიერ ადამიანებს ყურადღება სჭირდებათ, თორემ ნიჭმა ხომ საზღვარი და უხერხულობა არ იცის - სად, სხეულის რომელ ნაწილში გამოაჩნდება კაცს და, ვინმემ თუ არ უპატრონა, ზედ რას დაიკიდებს, ვინ იცის...

# "ყოვლისშემძლე" კომპანიები იაპონიაში სერიოზულ წარმატებებს აღწევენ

ბიზნესის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანებისთვის "თემატური" შეზღუდვა რომ არ არსებობს, ამას "ყველაფრისმკეთებელი კომპანიების" არსებობის ფაქტიც ადასტურებს.

რამდენიმე თვის წინათ იაპონიაში გამოჩნდა კომპანია, რომელიც ყველა სახის (!) მომსახურებას სთავაზობს მოსახლეობას. ერთადერთი შეზღუდვა ის არის, რომ მოთხოვნილი მომსახურება კანონიერი უნდა იყოს. უნივერსალურ თანამშრომლებს, რომლებიც ასეთ კომპანიაში მუშაობენ, თანამემამულეები "ბენრიას" უწოდებენ, რაც, დაახლოებით, "ყოვლისშემძლეს" ნიშნავს.

კომპანიის თანამშრომელმა ტამამი ონომ ანაზღაურება მხოლოდ იმისთვის მიიღო, რომ მან ერთ-ერთი საპატარძლოს სკოლის მეგობრის როლი მშვენივრად შეასრულა. ახლადდანიშნული გოგონა შიშობდა, რომ მას ძალიან ცოტა მეგობარი ჰყავდა და მომავალი მეუღლის თვალში, ამის გამო, ცუდად გამოჩენა არ სურდა. ამიტომაც მან კომპანიიდან იქირავა ონო და კიდევ რამდენიმე ქალი. "ბენრია" მზად არის, შეასრულოს თქვენი ნებისმიერი დავალება - მათ შეუძლიათ ნებისმიერი თქვენი პრობლემა გადაჭრან.

დაუჯერებელია, არა? ასეთი რამ ხომ მხოლოდ ფილმებში ხდება. ხსენებული კომპანიის თანამშრომლებს შეუძლიათ - ტვირთის გადატანა, რემონტი, ცხოველების, მოხუცების ან ბავშვების მოვლა, საქორწილო და დაკრძალვის ცერემონიალებში მონაწილეობის მიღება და კიდევ გაცილებით რთული დავალებების შესრულება.

ამისთვის კი საჭიროა, აიღოთ ტელეფონის ყურმილი და შესაბამის ნომერზე დარეკოთ. კომპანიის მომსახურება ერთი საათით, დაახლოებით, 40 ევროს უტოლდება. გარდა ამისა, კომპანიას აქვს საკუთარი სკოლა, სადაც მსურველებს ყველაფერს ასწავლიან. პროფესიონალი ბენრიები იაპონურ საზოგადოებაში სულ უფრო დიდი წარმატებით სარგებლობენ და საზოგადოების მაღალ წრეებში საკუთარ ადგილს იკავებენ. მათი რაოდენობა მხოლოდ იაპონიაში 1000-ს აღემატება; მსოფლიოში სულ 5000-მდე ბენრიაა. ბენრიები, ძირითადად, მამაკაცები არიან, თუმცა ბოლო დროს ამ პროფესიის ქალებიც გამოჩნდნენ, რომლებმაც საკუთარი პროფკავშირიც კი ჩამოაყალიბეს.

ბენრიების შესაძლებლობებს საზღვარი, მართლაც, არ აქვს - ისინი არიგებენ გაბუტულ მეზობლებს, უთვალთვალებენ მეუღლეებს, თქვენს ნაცვლად შეასრულებენ სადიპლომო ნამუშევარსაც..... ოღონდ, მიუხედავად დიდი კონკურენციისა, არც ერთი ბენრია კანონსაწინააღმდეგო დავალებას არასდროს არ შეასრულებს. მაგალითად, რაც უნდა ბევრი გადაუხადოთ, ის არასდროს არავის სცემს, არ დააშანტაჟებს, არ დაემუქრება და სხვა...

**24 საათი**

# „რეიდიოჰედი" კონტრაქტებისგან გათავისუფლდა

როგორც "რეიდიოჰედის" ლიდერმა ტომ იორკმა განაცხადა, ჯგუფის შემდეგი ჩანაწერი მინიალბომი იქნება. "ადამიანებს ურჩევნიათ, მოუსმინონ საყვარელ სიმღერებს და არა - ალბომებს. საიდან ვიცი? თავად ასე ვიქცევი", - ასე "ამართლებს" საკუთარ გადაწყვეტილებას იორკი.

"რეიდიოჰედმა" უკანასკნელი ალბომით დაასრულა კონტრაქტი ხმის ჩამწერ კომპანია "პარლაფონთან". ასე რომ, ამჟამად ჯგუფი ვალდებულებებისგან სრულიად თავისუფალია და მისი წევრები ყველანაირი ექსპერიმენტისთვის მზად არიან.

ჯგუფს წლის ბოლომდე ევროპული ტურნე ექნება, შემდეგ კი იაპონიაში გაემგზავრება. უკანასკნელი ალბომის Hail To The Thief-ის მხარდამჭერი ტურნე ავსტრალიაში 2004 წლის აპრილში დასრულდება.



"რეიდიოჰედი"

## სკანვორდი



## TV პროგრამა

30 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი „პაწაწინა ონავრები" **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი „გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი „სოპრანოს კლანი" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი „ასულ ტეკილა" **17.30** სერიალი „ჯადოქარი" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.25** სერიალი „მაშველები" **19.15** დოკ. ფილმი „ჯაზი" **19.45** სერიალი „სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი „შავი ზეცა" **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში" **00.40** მხ.ფილმი „24 საათი ქალის ცხოვრებიდან". მთ. რ-ში: ანეს ჟაუი, მიშელ სერო.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი „ეჟვნიანი ბავშვი" **10.00** საპარლამენტო არჩევნები **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „კორდიეების ოჯახი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.30** „გაცოცხლებული სურათები" **15.15** მხ. ფილმი „სპირალი" **16.45** დოკ. სერიალი „ბუნებაში სტეფან პეირონთან ერთად" **17.15** რამპა **17.20** რეალური სამყარო **17.40** მულტსერიალი „კიტუ" **18.00** ვესტნიკი **18.25** შეხვედრები ფიქრის გორაზე **19.15** ჯანმრთელობა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში „იმღერე რამე" **21.35** ავიაშოუ **21.45** ეკონომიქსი **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი „გალია ბორცვებისთვის".

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ბეტმენი სამუდამოდ" მთ.რ-ში ველ კილმერი, ტომი ლი ჯონსი **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** „ბრავო" „ღმერთი დიდია, მე პატარა ვარ". მთ. რ-ში ოდრი ტოტუ, ედუარდ ბაერი. **01.50** „ღამურა" „ჯიპერს კრიპერსი" მთ. რ-ში ჯინა ფილიპსი, ჯასტინ ლონგი. **03.00** პაუზის გარეშე.

### მზე

**09.00** „ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი „მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება „მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი „არგაი" **19.00** სერიალი „მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება „მზერა" **20.45** მხ. ფილმი „დრაკულა 2. ჯანყი" **22.45** საინფ. გამოშვება „ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი „კა-19".

### მეორე არხი

**19.00, 22.00** „მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი „ფრენის სიჩქარე" **21.00** საუკუნის გიგანტები - ადამიანები და მისი უფლებები **22.10** მხ. ფილმი „მოწიფული ცხოვრება".

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი „სკარლეტი" მე-2 ნაწილი **15.00** მხ. ფილმი „არც ცოცხალი, არც მკვდარი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს" **17.15** მხ. ფილმი „ადამიანი შავებში" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „შერკინება".

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **11.00** სერიალი „საჰაერო პოლიცია" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.50, 21.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი „ქრონოსი" **18.45** ბუნების ფერები **20.00** ტელე-სინე-ვიდეო (განმ.) **21.00** მხ. ფილმი „საჰაერო პოლიცია" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი „ავალონი".

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა „დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** ანონსი ჩანახატი „ნეკრესი" **10.15, 16.20, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი „მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი „აჩრდილთა დრო" **13.00** კინოგადაცემა „ნუმერატორი" **13.30** მოკლ. მხ. ფილმი „გაწყვეტილი გრაფიკი" **14.00** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა" **14.50** „ევროპის სტადიონებზე" **15.10** სერიალი „პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი „ღამის ექიმები" **16.35** დოკ. სერიალი „უჩვეულო კოლექცია" **17.00** მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა" **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი „ღამის ექიმები" **20.00** „ქართული ფეხბურთი" **21.15** სერიალი „მოჯადოება" **22.20** „ტელემეტრი" **22.30** „ყვითელი კვადრატი" **23.00** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** „ცხელი ცხრიანი" **00.30** რუს. მხ. ფილმი „ძაღლის წელიწადი".

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 17.20, 01.10** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის" დილა **09.30** სერიალი „სიყვარული უდაბნოში" **10.30** ერთხელ ჰოლივუდში **11.05** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის" **12.10** სერიალი „გამოძიების საიდუმლოებანი" **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი „იმპერია ნობლ ჰაუზი" 1-ლი ს. **15.15** მხ. ფილმი „ღმერთი დიდია მე კი პატარა" **17.00, 18.00, 19.00, 22.00, 00.55** ქრონიკა **17.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი „სიყვარული უდაბნოში" **19.20** სერიალი „გამოძიების საიდუმლოებანი" **20.15** სპ. პროგრამა „ესტაფეტა" **20.40** „დროებითი ზღვარი" **23.15** პრემიერა: „ღმერთო რისი გულისათვის" მე-2-3 ფილმები.

### აჭარა

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება „დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი" **09.30** დოკუმენტური ფილმი **10.25** კომედია „ზაფხულის ხალხი" **11.50, 21.50, 02.45** მუსიკა **12.20** ისტორიული ფილმი „ყელსაბამის ისტორია" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** „ყელსაბამის ისტორია" (ფილმის გაგრძელება) **14.25** ბოევიკი „უხმო რისხვა" **16.20** მულტფილმი „მოგზაურობა დროში" **17.40** მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მისტერ ბინის პრობლემა" **18.05** დოკუმენტური ფილმი **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **19.30** „დღეს მსოფლიოში" **20.00** მელოდრამა „ყველა ნამდვილი გოგონა" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.10** „ექსკლუზივი" **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00** მელოდრამა „ანჟელიკა და მეფე" **03.40** კომედია „ცხრა იარდი" **05.15** დოკუმენტური ფილმი.

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.15** „აჩიკუდა" **09.35** მობილურები **10.20** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (გამეორებით) **10.55** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **11.20** მელოდია . **11.30** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.20** ტელესერიალი - „გრაფინია დე მონსორო" - მე-20 სერია **13.05** დისნეი და მისი მეგობრები **13.30** მელოდია **13.45** კომპიუტერული ტექნიკა **18.20** მობილურები **19.00** „აჩიკუდა" **19.30** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.25** კომპიუტერული ტექნიკა **21.00** „ღამის კაპრიზი" **22.05** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.50** „კინოკლუბი „ - „მერაკეტე". მძაფრსიუჟეტიანი. **00.25** მელოდია **00.30** ტელესერიალი - „ჯვაროსნული ლაშქრობა" -მე-4 სერია **01.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა.

### OPT

**07.00** Телеканал "Доброе утро" **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10, 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 10.20** Сериал "Убойная сила: Чертово колесо". **11.30 Сериал "ТАЙНЫ ТРЕТЬЕГО РЕЙХА" 12.40** Дисней-клуб: "Базз и его команда" **13.20** "Город женщин" **14.00 Отечественный боевик "ОХОТА НА ЕДИНОРОГА" 15.30** "Снежный человек. Русский след" **16.20, 01.50** "Фабрика звезд-3" **16.30** "Угадай мелодию" **17.00 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 18.00** "Большая стирка" **19.30** Просто смех! **20.50 Сериал "ПОБЕГ" 22.00, 00.30** Время. **22.30** Сериал "Убойная сила: Аномальная зона". **23.40** "Человек и закон" **00.50** Ударная сила. "Последняя преграда". **01.20** Максим Никулин в программе "Форганг". **02.10 Триллер "БЕГ НА МЕСТЕ".**

### PTP

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45 Телесериал "ВСЕГДА ГОВОРИ "ВСЕГДА" 10.45** Комната смеха **11.45, 14.45, 17.25, 01.15** „Вести. Дежурная часть" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** „Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** „Местное время. Вести - Москва" **12.50** Короткое замыкание **13.50, 23.00 Телесериал "БАЯЗЕТ" 15.30** Что хочет женщина **16.30 Телесериал "ЛЕДИ БОСС" 18.10 Телесериал "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ" 19.10 Телесериал "УНДИНА" 20.00 Телесериал "КОМИССАР РЕКС" 21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55 Телесериал "ВСЕГДА ГОВОРИ "ВСЕГДА" 00.00** Вести+ **00.20** "Исторические хроники". "1905. Граф Витте" **01.30** Народный артист **01.40 Худ. фильм "ОПАСНЫЕ СВЯЗИ" 04.10** Дорожный патруль **04.25 Сериал „АНГЕЛЫ ЧАРЛИ" 05.15 Сериал "ТИТАНЫ".**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ **09.50 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2" 11.00** Сегодня утром **11.25** Квартирный вопрос: летят утки. **12.15** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.10** Сегодня **13.35 Комедия "АКСЕЛЕРАТКА" 15.35** По праву **16.35** "Не хочу жить среди людей". Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" 19.35** "Цыгане". "Профессия - репортер" **20.35 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ" 21.45 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2" 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела **23.50** "К барьеру!" Ток-шоу Владимира Соловьева **01.05 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ" 02.35** Гордон **03.25 Сериал "ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО".**

# რობი ვილიამსს ჟირინოვსკისთან სურს შეხვედრა

რობი ვილიამსმა, რომლის კონცერტიც მოსკოვში 9 ნოემბერს გაიმართება, წინასწარ დაგეგმა მოსკოვში ყოფნის განრიგი. ამისათვის პოპულარული ბრიტანელი მომღერალი რუსეთის დედაქალაქს კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე ეწვევა. პოპ-ვარსკვლავი არამარტო "ოლიმპიურის" დარბაზში აპირებს გამოსვლას, არამედ განზრახული აქვს რუს მსახიობებთან და პოლიტიკოსებთან შეხვედრა.

ამჟამად განიხილება რობი ვილიამსისა და ჟირინოვსკის შეხვედრის შესაძლებლობა. მომღერალი ცნობილ რუს პოლიტიკოსთან აპირებს ისაუბროს სხვადასხვა მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე. ორგანიზატორები ამ შეხვედრის დროსა და ადგილს ათანახმებენ.



## ზურაბ წერეთლის ახალი ჯილდო

კულტურის მოღვაწეთა გაერთიანებულმა კონვენტმა რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი დააჯილდოვა. დაჯილდოების ცერემონიალი სამშაბათს რუსეთის სამხატვრო აკადემიაში გაიმართა. კულტურის მოღვაწეთა გაერთიანებული კონვენტი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის სათაო ოფისიც აშშ-შია და პრემიებს ანიჭებს კულტურის სფეროს იმ მოღვაწეებს, რომელთაც გარკვეული წვლილი მიუძღვით მშვიდობისათვის ბრძოლაში. "ზურაბ წერეთელს კარგად იცნობენ აშშ-ში, ეს პრემია "იუნესკოს" კეთილი ნების ელჩის მრავალწლიანი მუშაობის შედეგია, - ნათქვამი იყო პრემიის მინიჭების ცერემონიალზე.

როგორც ცნობილია, ამჟამად ცნობილი სკულპტორი 11 სექტემბრის ტერაქტის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ქანდაკებაზე მუშაობს. ავტორის სურვილით, მონუმენტი გუძონის სანაპიროზე, "ტყუპების" ყოფილი ადგილსამყოფელის მოპირდაპირე მხარეს დაიდგმება.

## პორნო-ოპერა ბარბის მონაწილეობით



დრეზდენის თეატრალური ფესტივალის მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა სპექტაკლი XXX Live Nude Girls, სადაც მთავარი გმირები ბარბის თოჯინები არიან.

წარმოდგენა შექმნილია ახალგაზრდა ირლანდიელი კომპოზიტორის ჯენიფერ უელშის ოპერის მიხედვით. დადგმის მიზანია აუხსნას გოგონებს, სინამდვილეში რა ხდება, როდესაც ისინი ბარბით თამაშობენ და რა იმალება თოჯინებთან მათი ურთიერთობისას. სპექტაკლში მოქმედება ხდება სახლში, სადაც ბარბი და მისი პარტნიორი (რომელიც ასევე ბარბის თოჯინაა) სექსით არიან დაკავებულნი. ვიდეოპროექტორი მოქმედების ტრანსლირებას ახდენს. მოქმედება გულის შემაღონებელი მუსიკის თანხლებით მიმდინარეობს და პიკს ბარბის გაუპატიურების სცენის დროს აღწევს.

"გარდიანის" მიხედვით, წარმოდგენას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა ფესტივალზე. დრეზდენის შემდეგ სპექტაკლს ოქსფორდსა და ვენაში წაიღებენ. ჯერჯერობით უცნობია როგორი რეაქცია ჰქონდა კომპანია Mattel-ს; სწორედ ეს კომპანია ფლობს საავტორო უფლებებს ბარბის სამარკო ნიშნის გამოყენებაზე. ახლო წარსულში კომპანიის წარმომადგენლებმა უჩივლეს ამ უფლებების დარღვევისთვის მუსიკალურ ჯგუფს Aqua, რომელთაც კომპანიის წარმომადგენლების აზრით, სიმღერით Barbie Girl თოჯინების ეროტიკული სახე შექმნეს.

## ვარსკვლავი ნიჭიერი მოცეკვავეებისთვის

დიდი თეატრის საქვეყნოდ ცნობილმა ბალერინამ ნინო ანანიაშვილმა და ყველაზე ტიტულოვანმა შვეიცარიელმა იუველირმა ჟილბერ ალბერმა ახალი საბალეტო პრემია "ვარსკვლავი" დააწესეს. საიუველირო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში ყოველწლიურად გადაეცემათ რუსეთის ქორეოგრაფიული აკადემიის საუკეთესო კურსდამთავრებულებს.

"ამ პრემიის იდეა უდიდეს ბალერინასთან ნინო ანანიაშვილთან შეხვედრის შემდეგ მომივიდა. "ვარსკვლავი" ახლანდელი და მომავალი ნიჭიერი საბალეტო მოცეკვავეების მიმართ არსებული ჩემი სიყვარულის გამოხატვაა", - თქვა ცნობილმა იუველირმა. ჟილბერ ალბერი ალმასის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ათი პრემიის მფლობელია.



# ყველაზე ნორჩი კეთილი ნების ელჩი

ყველაზე ცნობილი კოლუმბიელი პოპ-ვარსკვლავი ქალბატონი ამიერიდან ახალი სოციალური სტატუსის მქონეა. შაკირა პირველი კოლუმბიელია, რომელიც კეთილი ნების ელჩი გახდა. 26 წლის მომღერალი ყველაზე ახალგაზრდა ელჩია მათ შორის, ვინც კი "იუნისეფის" არსებობის განმავლობაში აურჩევიათ.

"ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა შევუერთდე ცნობილი ადამიანების იმ ნუსხას, რომლებიც "იუნისეფთან" თანამშრომლობენ. ასევე მიხარია, ჩემი წვლილი შევიტანო კეთილ საქმეებში", - თქვა მომღერალმა. როგორც "იუნისეფის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, მათი არჩევანის მიზეზი მომღერლის გლობალურ საკითხებზე მუშაობის აქტიურობა გახდა.



## აშშ საელჩოს განცხადება

აშშ საელჩო თბილისში 2003 წლის 15 ნოემბერს აწყობს ღია აუქციონს. აუქციონზე წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ტიპის ნახმარი ავეჯი, საოჯახო და კომპიუტერული ტექნიკა, ნახმარი ავტომობილები. ყველა წარმოდგენილი ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში," ნებისმიერი გარანტიის გარეშე. მყიდველი პასუხისმგებელია აუქციონზე გამოტანილი ნივთების შემდგომ განბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს. ნივთების დათვალიერება მოხდება დილის 9-დან 11 საათამდე.

**აუქციონი დაიწყება 11 საათზე.**
**აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე:**

დიღომი, რუსთაველის ქუჩა 4. აშშ საელჩოს საწყობის ტერიტორია.
ცნობებისათვის დარეკეთ: 98-99-67, 98-99-68, შიდა 4201.

"60 წუთის" საგამომძიებლო ჟურნალისტიკის სკოლა აცხადებს ჟურნალისტთა მიღებას 2003-2004 წლისათვის. დარეკეთ: 25-31-81







განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ ... MS Word.
■ ... MS Excel.
■ ... Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ... №25 ტელ: 29-48-61

ESM თბილისის საბაზო სკოლა-ლიცეუმი „ლიდერი“
აცხადებს მსმენელთა მიღებას შემდეგ კურსებზე:
1. ინგლისური ენა დონეების მიხედვით (Starter-დან Upper Intermidiate-ს დონის ჩათვლით). დონის დადგენა უფასოა;
2. ინგლისური ენის სწრაფშემსწავლელი კურსები (სასაუბრო ინგლისური);
3. ბიზნეს-ინგლისური (ქართული და ინგლისური სექტორი);
4. კომპიუტერის შემსწავლელი კურსები:
■ საოფისე პროგრამები (Word, Excel),
■ Windows,
■ ბუღალტერია,
■ ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა.
მეცადინეობა დაიწყება 3 ნოემბერს.
დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 32 97 83.
მისამართი: წერეთლის 223.

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.